http://www.tsu.ge/newspaper

ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 დეკემბერი
ორშაბათი
N5 (2050)
2006 წელი

გაზეთი გამოდის
თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი | გამოდის 1927 წლიდან | ფასი 30 თეთრი

საქართველო ქარის წისქვილებთან ბრძოლას თავს არიდებს

რა რისკთან არის დაკავშირებული ალტერნატიულ საწვავზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

მაია ტორა ე

ენერგეტიკული პრობლემა მსოფლიოში იმდენად დიდია, რომ მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ხასიათს. თანამედროვე პოლიტიკა ნავთობის პოლიტიკაა. იმის გამო, რომ გლობალური ენერგეტიკული ბაზარი არ არის დაბალანსებული, სახელმწიფოთა ის ნაწილი, რომელსაც დიდი რაოდენობით ენერგორესურსები გააჩნია, თავის პირობებს კარნახობს დანარჩენ მსოფლიოს, რაც იწვევს დაძაბულობის ესკალაციასა და კონფლიქტების გაღვივებას. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ტერიტორიული მთლიანობაც ნავთობის პოლიტიკას შეეწირა, რადგან კავკასიის რეგიონში არსებული მარაგი მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოხვდა და საფრთხე დაემუქრა მეზობელი ქვეყნების — ირანისა და რუსეთის ინტერესებს.

ეს ორი ქვეყანა ენერგორესურსების დეფიციტს არ განიცდის. პირიქით, რუსეთი ნავთობის მარაგით მსოფლიოში მესამე ადგილზეა, ფლობს საერთო რაოდენობის 10%-ს და მისი მოპოვების დონით თითქმის უტოლდება ლიდერს — საუდის არაბეთს. რაც შეეხება ბუნებრივ აირს — აქ რუსეთი აბსოლუტური ლიდერია, რადგან მასზე მოდის მსოფლიო მარაგის ერთი მესამედი და ექსპორტის ოცდაათი პროცენტი.

ცხადია, ნავთობრესურსების ასეთი ლოკალური გადანაწილება საშუალებას აძლევს მის მფლობელ ქვეყნებს, დაიმკვიდრონ გავლენის სფეროები გეოსტრატეგიულ ტერიტორიებზე, რაც ხშირად ქმნის წინააღმდეგობებს. მაგალითად, 1973 წელს დედამიწის მოსახლეობა დადგა მწვავე პრობლემის წინაშე, რადგან ნავთობმომპოვებელი აზიური ქვეყნები (საუდის არაბეთი, საემიროები, ირანი, ერაყი, კუვეიტი, კატარი, ინდონეზია, ნიგერია, ალჟირი, ლიბია, ვენესუელა) გაერთიანდნენ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთო ორგანიზაციაში (ოპეკი) და ემბარგო დაადეს ნავთობსა და მის პროდუქტებს.

ანალოგიური სიტუაცია მეორდება დღესაც, როცა მსოფლიო იძულებულია აიტანოს რუსეთის კაპრიზები. ბევრი ქვეყანა, და, განსაკუთრებით, ევროპა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსულ გაზზე, რომლის ექსპორტის დონე 2007 წლისათვის 260 მილიონ ტონას მიაღწევს.

ასეთი მეზობლის გვერდით მშვიდი ცხოვრება არც საქართველოს აქვს

და არც აზერბაიჯანს. მით უფრო, რომ კავკასიაში რუსეთის ინტერესები მხოლოდ ნავთობითა და მისი ტრანსპორტირების გზებით არ ამოიწურება. აქ ერთმანეთს კვეთს თეთრი სახლისა და ყოფილი „უფროსი საბჭოთა ძმის“ ინტერესები. ამ უკანასკნელის მიზანი ცნობილია — როგორმე აღადგინოს რუსეთის იმპერია, თუნდაც მოდერნიზებული სახით, რაშიც კავკასი-

გაგრძელება მეექვსე გვერდზე

ანონსი

სტუდენტი – უმაღლესი განათლების სისტემის ცენტრი

შეხვედრა ალექსანდრე ლომაიასთან

ÌÄ-3 ÂÀ.

„პატიება არის ხელოვნება, რომლის ნახვაც შეიძლება არა მუზეუმებში, არამედ დიპლომატიის პარკეტზე“

ინტერვიუ ჰროფესორ ტილმან ალერტთან

ÌÄ-11 ÂÀ.

სტანა კაცობრიობის წინააღმდეგ ნარკოტიკზე უკეთეს იარაღს ვერ გამოიგონებდა

უნივერსიტეტის სტუდენტებმა შიდს-თან ბრძოლის დღე აღნიშნეს

ÌÄ-12 ÂÀ.

საქართველო რუსეთის აგრესიის შენელებას არ უნდა დაელოდოს

მარი გეთლემი ე

8 დეკემბერს უნივერსიტეტში აქტუალურ ეკონომიკურ საკითხებზე ლექციათ-დისკუსია გაიმართა. რუსეთის ემბარგოსა და საქართველოს გაზმომარაგების საკითხებზე სასაუბროდ უნივერსიტეტს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ეროვნული ბანკისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ეკონომიკური სკოლის“ წარმომადგენელები ესტუმრნენ. თბილისის უნივერსიტეტთან არსებული „ახალი ეკონომიკური სკოლის“ ეგიდით მიმდინარე ლექციაზე, რომელსაც დისკუსიის ხასიათი უფრო ჰქონდა, დროის სიმცირის მიუხედავად, საკუთარი აზრის გამოთქმა თითქმის ყველა მსურველმა შეძლო.

საქართველოში ვიზიტად მყოფი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა ჯონ ვეიკმენ-ლინმა საკუთარ მიმოხილვაში რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული ეკონომიკური ზეწოლა პირობითად ოთხ კატეგორიად დაყო.

„გაზის ფასის მომატება, სამომხმარებლო საქონლის იმპორტის შეზღუდვა, ფულადი გზავნილების შეწყვეტა და, ბოლოს, ქართული კომპანიებისათვის რუსეთის საექსპორტო ბაზრის დაკარგვა“, — ასეთი კლასიფიკაციით წარმოადგინა ბატონმა ვეიკმენ-ლინმა რუსეთის ეკონომიკური სანქციები.

სსფ-ის მისიის ხელმძღვანელის აზრით, ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკურ ზრდას მხოლოდ 3 პროცენტით შეაფერხებს. შეხვედრის თითოეულმა მონაწილემ საუბრისას რამდენჯერმე გაამახვილა ყურადღება რუსეთის ეკონომიკური სანქციების პოლიტიკურ ხასიათზე. არსებული მდგომარეობიდან ერთ-ერთ გამოსავლად სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი ექსპორტის გაზრდას ასახელებს. „ამისათვის ხელისუფლებამ, პირველ რიგში, უნდა გამოავლინოს ის კომპანიები, რომელთაც, ექსპორტის მხრივ, საუკეთესო შესაძლებლობები აქვთ და, შემდეგ, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს საერთაშორისო ბაზარზე მათ გასვლას“.

ერთ-ერთი სტუდენტის მოულოდნელ შეკითხვაზე — რამდენად მზად იყო საქართველო რუსეთის მიერ გამოძევებული ათასობით ქართველის მისაღებად, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა დავით ამაღლობელმა კონკრეტული პასუხი ვერ გასცა. ამაღლობელის თქმით, დროთა განმავლობაში „ეს ადამიანები საქართველოში შეძლებენ ადაპტაციას და საკუთარ ნიშას მოძებნიან“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე რუსეთის ემბარგოზე საზოგადოების მეტისმეტმა ფოკუსირებამ ააღელვა. „ჩვენ არ უნდა დაველოდოთ რუსეთის აგრესიის შენელებას და ხელი უნდა შევუწყოთ თავისუფალი ბაზრისა და ეკონომიკის ჩამოყალიბებას, რომ მომავალში სულ უფრო ნაკლებად ვიყოთ რუსეთზე დამოკიდებული“, — აღნიშნა მან. თუმცა, რამდენად პერსპექტიულია თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების იდეა, პაატა შეშელიძეს არ უთქვამს. მისი აზრით, საზოგაოება ჯერ თავისუფალ აზროვნებას უნდა მიეჩვიოს.

ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ესბენ ემბორგი, რომელიც შეხვედრაზე კერძო სექტორს წარმოადგენდა, სხვებთან შედარებით კრიტიკული აღმოჩნდა. „საქართველოს ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ ამ ზამთარმა გართულების გარეშე ჩაიაროს. მაგრამ, თუ ეს მოლოდინი არ გამართლდა, მოსახლეობის დიდ ნაწილს სიცივე, ხოლო მძიმე მრეწველობის წარმომადგენელ კომპანიებს დახურვა ემუქრებათ“, — განაცხადა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში ესბენ ემბორგმა.

შედარებით ოპტიმისტურად იყო განწყობილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში რობერტ ე. კრისტიანსენი, რომელმაც განაცხადა, რომ „თუ საქართველო გაზმომარაგების პრობლემას ვერ მოაგვარებს და რუსეთიდან გაორმაგებული ფასის მქონე ბუნებრივი აირის ყიდვა მაინც მოუწევს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სავარაუდოდ, ამისათვის პირველ თვეებში დამატებით სახსრებს გამოყოფს“.

მოკლედ

ალექსანდრე ლომაია უმაღლესი განათლების რეფორმის შესახებ სტრასბურგში ისაუბრებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის შესახებ სტრასბურგში, 12-13 დეკემბერს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ისაუბრებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროში განუცხადეს, მოხსენებაში მინისტრი ერთობლივი და ორმაგი დიპლომების შემოღების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართვის, საგანმანათლებლო პროგრამების გარდაქმნის, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და სხვა საკითხების შესახებ გაამახვილებს ყურადღებას. კონფერენციაზე ბოლონიის პროცესში ახლად გაწევრიანებული ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა) განათლების მინისტრები უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე ისაუბრებენ. ბოლონიის პროცესში ამჟამად ევროპის 45 ქვეყანაა გაერთანებული, რაც 2010 წელს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნით დასრულდება. ბოლონიის პროცესის თანახმად, ყველა ქვეყანა ვალდებულია დანერგოს განათლების აკრედიტაციის პროცედურები, სტუდენტთა შეფასების საკრედიტო სისტემა, სტუდენტური სესხები და გრანტები, უზრუნველყოს ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული საუნივერსიტეტო ავტონომია, კვლევისა და განათლების ინტეგრაცია და სხვა.

ინტერპრესნიუსი

თსუ-მ მაგისტრატურაში მიღების წესები დაამტკიცა

მაია ტორა ე

27 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მაგისტრატურაში მიღების წესები დაამტკიცა.

დადგენილია, რომ თსუ მაგისტრატურაში მოქმედებს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორები. ნებისმიერი სამაგისტრო სპეციალობისთვის სწავლება მიმდინარეობს ერთიანი სასწავლო გეგმითა და საერთო მოთხოვნების დაცვით.

მაგისტრატურაში მისაღებ კონკურსზე უმაღლესი განათლების მქონე ბაკალავრები დაიშვებიან, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სექტორზე. ხოლო საქართველოს მოქალაქე დიპლომირებული სპეციალისტები და უცხო ქვეყნის მოქალაქე უმაღლესი განათლების მქონე ბაკალავრები და დიპლომირებული სპეციალისტები — მხოლოდ არასაბიუჯეტო სექტორზე.

საბუთების მიღება დაიწყო 27 ნოემბრიდან და გაგრძელდება 27 დეკემბრამდე.

მაგისტრატურაში მიღების წესებთან ერთად, დამტკიცდა სამაგისტრო პროგრამები.

მე-2 გვერდზე

პენტაგონის ლაბორატორია ქართველ მეცნიერებს დაასაქმებს

უნივერსიტეტმა მიკრობიოლოგიის, ბაქტერიოფაგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან მემორანდუმი გააფორმა

ირმა რუ ა ე



30 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ და გიორგი ელიავას სახელობის მიკრობიოლოგიის, ბაქტერიოფაგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა რევაზ ადამიამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მე-4 გვერდზე

კარგია, თუ უნივერსიტეტში ეს ყველაფერი მათ აბარიათ

თვითმმართველობა ძალას იკრებს – თვლიან სტუდენტები

ურთ ია ბერო ვილი

მათ წესდებაში გარკვევით წერია: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს თვითმმართველობა არის სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის მიზანია, მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში დაიცვას სტუდენტების ინტერესები. იგი ახორციელებს შეხვედრებს, დებატებს, ინტელექტუალურ თამაშებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, საგანმანათლებლო, ლიტერატურულ, სპორტულ, კულტურულ, გასართობ და სამეცნიერო ღონისძიებებს. სხვა უნივერსიტეტებთან ახორციელებს საქმიანობას, თანამშრომლობას...“ მოკლედ, ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს. ნოდარ დუმბაძის რომანის გმირის, ქალბატონი ანიკოსი არ იყოს, „კარგია, თუ უნივერსიტეტში ეს ყველაფერი მათ აბარიათ“.

მე-5 გვერდი

თსუ-მ მაგისტრატურაში მიღების წესები დაამტკიცა

პირველი გვერდიდან

ფაკულტეტების მიხედვით ამ პროგრამის რაოდენობაა: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 13 სამაგისტრო პროგრამა; ჰუმანიტარული ფაკულტეტი – 25 სამაგისტრო პროგრამა; სოციალურ და პოლიტიკურ მაცნიერებათა ფაკულტეტი – 17 სამაგისტრო პროგრამა; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – 14 სამაგისტრო პროგრამა.

თითოეული პროგრამა შედგენილია საერთო წესებისა და ევროპის საგანმანათლებლო სისტემასთან შეთანხმებული სიახლეების დაცვით. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ შეეცდება თანდათანობით მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია ამ პროგრამებში არსებული სიახლეების თაობაზე.

ამჯერად გთავაზობთ ინტერვიუებს რამდენიმე სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან.

მარინე ვეკუა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი. ხელმძღვანელობს სამაგისტრო პროგრამას: **„პრესისა და ტელერადიო ჟურნალისტიკა“**:

– ჩვენმა ფაკულტეტმა გამოაცხადა 17 სამაგისტრო პროგრამა. აქედან ორი არის ჟურნალისტიკაში – საერთაშორისო ჟურნალიზმი და მასობრივი კომუნიკაცია და ბეჭდური და სამაუწყებლო მედია.

ჩვენ ავირჩიეთ მოდულარული სქემა (სამაგისტრო პროგრამას, რომელიც წარვადგინეთ, დართული ჰქონდა ჩამონათვალი 5 მოწვეული საერთო სემესტრში სალექციო კურსის წასაკითხად (ერთი საგანია ნაციონალიზმი და გლობალიზაცია და მეორე – ჟურნალისტიკა და დემოკრატია).

სიახლე არის აგრეთვე ის, რომ შემცირდა სალექციო საათები სემინარების ხარჯზე. რაკილა არსებობს დასამუშავებელი ლიტერატურა, საჭირო აღარ არის, რომ ჯერ ლექტორი მოუყვეს მაგისტრანტს მასალას და შემდეგ – პირიქით. მაგისტრანტმა თავად უნდა წაიკითხოს ლიტერატურა, ჩაინიშნოს მისთვის საინტერესო და სადისკუსიო საკითხები, რაზეც სემინარზე გამახვილდება ყურადღება.

მარიამ ჩხარტიშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი; ხელმძღვანელობს სამაგისტრო პროგრამას **„საქართველოს ისტორია“**:

– მინდა მოკლედ შევჩერდე საქართველოს ისტორიაში საზოგადოებრივი თვალსაზრისით სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობაზე. როგორც მოგეხსენებათ, ყოველგვარი ისტორიული ცოდნა და, რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორიის ცოდნაც, პიროვნებას უმუშავებს სზოგადოებრივი პროცესების ღრმად წვდომის, მოვლენების ურთიერთდაკავშირების, მათი კრიტიკული შეფასების უნარს, ხელს უწყობს გახსნილი, კომუნიკაბელური, ტოლერანტული პიროვნების ჩამოყალიბებას.

მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საქართველოს ისტორიის შესაქმნელად და საზოგადოების უფართოეს ფენებში ამ ისტორიის გასავრცელებლად

მარინა ვეკუა

უცხოური უნივერსიტეტისა, რომლებიც ასწავლიან ანალოგიური პროგრამებით, ანიჭებენ მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ბეჭდურ და სამაუწყებლო მედიაში და მუშაობენ მოდულარული სქემით). ამიტომ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სასწავლო კომპონენტიდან, რომელიც გრძელდება სამი სემესტრი, პირველი სემესტრი იქნება საერთო. მეორე და მესამე სემესტრებში კი იმუშავებს უკვე მოდულარული სქემა, ანუ სტუდენტს მიეცემა თავისუფლება – აირჩიოს ან ბეჭდური ან სამაუწყებლო მედიის სამაგისტრო პროგრამა.

ახალი პროგრამების მოთხოვნაა, რომ მაგისტრანტმა გარკვეული რაოდენობის გვერდის მოცულობის მასალა უნდა დაამუშაოს. მაგალითად, ათკრედიტიან საგანში, უხეშად რომ ვთქვათ, უნდა ისწავლოს 700 გვერდი. ეს, ერთი მხრივ, ძალიან კარგია – მაგისტრანტი ეჩვევა წიგნზე მუშაობას, ტექსტის გაანალიზებას, დაკვირვებას, მცირე მოცულობის კვლევების ჩატარებას და ა.შ. მაგრამ მეორე მომენტია, რომ ჩვენ ვდგებით პრობლემის წინაშე – ქართულ ენაზე დღეს არ არის არა თუ მაგისტრისთვის საჭირო ლიტერატურა, არამედ ბაკალავრისთვის აუცილებელი სახელმძღვანელოებიც კი. თუ არის, მოძველებულია. არადა, ჟურნალისტიკა, წინ თუ არ უნდა უსწრებდეს, ფეხდაფეხ მაინც უნდა მისდევდეს იმ მოვლენებს, რომელიც ჩვენს გარშემო ხდება. შეფასებები და რეაქცია, რაც თან სდევს ამ პროცესებს, უნდა აისახებოდეს არა მარტო პრესაში, არამედ სახელმძღვანელოებში, რომელსაც ვიყენებთ. სამწუხაროდ, ეს არ ხერხდება. ამიტომ, სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ჩვენს მიერ თავიდანვე განისაზღვრა არა მხოლოდ საგნების ჩამონათვალი, არამედ ამ საგნის შესწავლისთვის აუცილებელი ყველა პირობა – პედაგოგი, სილაბუსი, ლიტერატურა... საგანში, რომელიც განსაზღვრულია ბეჭდური მედიის მოდულში, ჩვენ მოვიძიეთ ლიტერატურა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე და მოვამზადეთ 700-გვერდიანი სასწავლო მასალა.

სამაგისტრო პროგრამაში ძირითადად დაკავებულნი არიან ჩვენი მიმართულების პედაგოგები, მხოლოდ ორი ლექტორი გვყავს საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტულ-ფაქტობრივი ცოდნით და ზოგადი უნარებით აღჭურვილი ინტელექტუალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომ ქართული კულტურის გლობალური კულტურით გამდიდრებისას ამ უკანასკნელმა ვერ დაამცროს პირველის უნიკალობა; და მეორე, ნაციონალური ისტორიის მეშვეობით ხელს შეუწყობენ ქართული სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმის გრძნობის განვითარებას და ამ საფუძველზე საქართველოს მთელი მოსახლეობის მოქალაქეობრივ კონსოლიდაციას.

სწორედ ამგვარი ინტელექტუალების მომზადებას ისახავს მიზნად სამაგისტრო პროგრამა – „საქართველოს ისტორია“. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიიღებს საფუძვლიან ცოდნას საქართველოს ისტორიაში ძველ და შუა, აგრეთვე ახალ და უახლეს პერიოდებში და ჩამოუყალიბდება დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობის მაღალ დონეზე წარსამართავად აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ახლა უშუალოდ პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ.

პროგრამა შედგება სასწავლო საგანთა ორი მოდულისაგან: I.ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა; II. ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა. პროგრამის დაუფლების შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი იქნება: „მაგისტრი საქართველოს ისტორიაში“. პროგრამა 120 კრედიტიანია. აქედან 30 კრედიტი მოდის სამაგისტრო დისერტაციაზე, 20 კრედიტი – ყველა მოდულისათვის საავალდებულო საგნებზე, ხოლო დანარჩენი 70 კრედიტი – თითოეული მოდულის საგნებზე. თავის მხრივ, მოდულებში გამოიყოფა საავალდებულო და არჩევითი საგნები. ორივე მოდულში საავალდებულო საგნებზე მოდის შესაბამისად 45 და 50 კრედიტი, ხოლო არჩევითზე – 25 და 20 კრედიტი. როგორც საავალდებულო, ისე არჩევითი საგნები განსხვავებულია კრედიტების მიხედვით. საგნების „წონა“ განსაზღვრულია იმ გათვლით, რომ მაგისტრანტს მთელი კურსის პერიოდში მოუწიოს არაუმეტეს 10 საგნის შესწავლამ, რათა მას დარჩეს მნიშვნელოვანი დრო სამაგისტრო დისერტაციაზე მუშაობისათვის. ყველა მოდულისათვის საავალდებულო საგნები ემსახურება ფაქტობრივი მონაცემებისადმი ახლებური ხედვის, კვლევითი ინსტრუმენტარიუმის პრაქტიკული გამოყენების კომპეტენციების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

რაც შეეხება მოდულებს, ისინი, თავის მხრივ, შედგება საავალდებულო და არჩევითი საგნების ბლოკებისაგან. ძირითადი საგნები ორივე მოდულში ექვს-ექვსია. არჩევითი საგნები პირველ მოდულში არის 18, ხოლო მეორეში – 9. ასე რომ, პროგრამა საერთო ჯამში მოიცავს 42 საგანს. ეს საგნები არის საქართველოს ძველი და შუა, ახალი და უახლესი ისტორიის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისადმი, წყაროთმცოდნეობისადმი მიძღვნილი სპეციალური კურსები. მათი საშუალებით მაგისტრანტს შეუძლია მკაფიოდ განსაზღვროს მისთვის საინტერესო სამეცნიერო პრობლემატიკა და მიაღწიოს დაოსტატების მაღალ ხარისხს საქართველოს ისტორიის კონკრეტულ პერიოდში.

სწავლება არ იმიჯნება კვლევისაგან, ისტორიული ფაქტების შესახებ თხრობა ყოველთვის კვლევის ისტორიის წარმოდგენით დაიწყება. მაგისტრანტებს საშუალება მიეცემათ თავად შეეცადონ წყაროებიდან ინფორმაციის ამოღებას და ანალიზს და ამის საფუძველზე გაიზიარონ ან არ გაიზიარონ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ესა თუ ის თვალსაზრისი. ყოველთვის წარმოდგენილი იქნება შესადარებელი მასალა სხვა ხალხების ისტორიული გამოცდილებიდან. სწავლება და სწავლა მოიცავს ლექციებს, სასემინარო და საკონფერენციო პრეზენტაციებს, დისკუსიებს, დამოუკიდებელ კითხვას და კვლევას, ინდივიდუალურ მეცადინეობებს, მონაწილეობას სამეცნიერო ექსპედიციებში, მუშაობას მუზეუმებსა და არქივებში, ხელნაწერთა საცავებში, ინდივიდუალურ კონსულტირებას პროფესორთან პრეზენტაციების, ესსეების და სამაგისტრო დისერტაციის მომზადებისას.

ამ პროგრამის რეალიზაციისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საუკუნოვანი ტრადიცია: საქართველოს ისტორია ყველაზე მაღალი სტანდარტებით ყოველთვის სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლებოდა. პროგრამას მოემსახურება უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის მიმართულების პროფესორთა ძირითადი შემადგენლობა: დარგის სპეციალისტები, რომელთაც, როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ასევე პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი გამოცდილება აქვთ. ამდენად, პროგრამა არსებული ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით, არ შეიძლება ითქვას, რომ იგი მთლიანად სიახლეა. თუმცა, სიახლეები, წინა წლებში მოქმედ პროგრამებთან შედარებით, აქ უდავოდ არის და საკმაოდ მნიშვნელოვანიც. უპირველეს ყოვლისა, ესაა მკაფიო ორიენტირება საგნობრივ სპეციალიზაციაზე. ამგვარი მიზნის გამო პროგრამაში არაა ჩართული ენების და სხვა ე.წ. „ინსტრუმენტალური კომპეტენციების“ გამოსამუშავებლად აუცილებელი დისციპლინები, რადგან ამგვარი დისციპლინების სწავლება ისტორიის ძირითადი პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს უკვე საბაკალავრო დონეზე. სიახლეა ისიც, რომ წინანდელთან შედარებით შემცირებულია მოდულების რიცხვი: ადრე არსებული ხუთის ნაცვლად არის ორი. ეს საშუალებას აძლევს მაგისტრანტს ვიწრო სპეციალიზაციის პარალელურად ჰქონდეს ღრმა ცოდნა შედარებით ფართო ისტორიული კონტექსტის შესახებ. როგორც ითქვა, პროგრამა შედგება საავალდებულო და არჩევითი კურსებისაგან. კრედიტების დაგროვების თვალსაზრისით, არჩევითი კურსების „წონა“ შედარებით მცირეა, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან ფართოა თავად არჩევანი. სწორედ ეს ფართო არჩევანი განსაკუთრებულ სიმდიდრეს წარმოადგენს პროგრამისათვის. არსებითი სიახლეა კურსები, რომლებიც საქართველოს ისტორიას გაიზრეს ახალ მეთოდოლოგიურ საფუძველზე. მაგალითად, ასეთია კურსი „ქართული იდენტობის ისტორია“, რომელსაც მე წავიყვან და რომელიც წარმოადგენს საქართველოს ისტორიის გადმოცემას ერთ-ერთი თანამედროვე სოციოლოგიური მიდგომის, კერძოდ, ეთნო-სიმბოლისტური პარადიგმის ჩარჩოებში.

პროგრამის შედეგად ყალიბდება საზოგადოებრივი პროცესების გაგება საქართველოს ისტორიის მეშვეობით. ეს ნიშნავს, ერთი მხრივ, მდიდარ ფაქტობრივ ცოდნას, მეორე მხრივ, სპეციალური უნარ-ჩვევების კომპეტენციებს: ინფორმაციის მოპოვების, ანალიზის, სინთეზის, პრობლემის გამოკვეთის და მისი გადაჭრის გზების მოძიების შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე, მრავალგვარია საქართველოს ისტორიაში მაგისტრის დასაქმების სფერო.

ამ პროგრამის დაუფლება მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს საქართველოს ისტორიის დარგში პროფესიონალ მკვლევრად ჩამოყალიბებისათვის, სწავლების გაგრძელებისათვის დოქტორანტურის საფეხურზე ანუ სამაგისტრო პროგრამა მტკიცე საფუძველს ქმნის სამეცნიერო კარიერისათვის.

მარიამ ჩხარტიშვილი

მაგისტრს საქართველოს ისტორიაში შეუძლია, აგრეთვე, იმუშაოს საშუალო და უმაღლეს სკოლაში, არქივში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში. დასაქმდეს ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში, შეასრულოს სხვადასხვა (საგაზეთო, საჟურნალო, ტელე და რადიო) რედაქციაში ისტორიკოს-ექსპერტის ფუნქცია. საქართველოს ისტორიის მაგისტრს აქვს პერსპექტივა, იმუშაოს ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოებრივ (მათ შორის, სამთავრობო უწყებებში, საელჩოებში და ა.შ.) და საერთაშორისო სტრუქტურებში, ყველგან, სადაც არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში ექსპერტის, კომუნიკაბელური და ერუდირებული თანამშრომლის საჭიროება, სადაც აუცილებელია საქართველოს ისტორიის წარმოჩენა.

საქართველოს ისტორიაში მაგისტრის ხარისხის მფლობელის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და, შესაბამისად, დასაქმების არეალიც მით უფრო გაფართოვდება, რაც განმტკიცდება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო. ეს პროგრამა აყალიბებს პროფესიონალს, რომლის მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება სწორედ სახელმწიფოს. რამდენადაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება შეუქცევადი პროცესი მგონია, შესაბამისად, ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ საქართველოს ისტორიაში მაგისტრის ხარისხის მქონე პიროვნების სამსახურეობრივ კარიერას დღეს, განსხვავებით წინა წლებისაგან, როცა ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენდა ისტორიკოსების დასაქმებაზე და როცა ისტორიკოსები ლამის საზოგადოებრივ მარგინალებად გადავიქეცით.

ლალი ჩაგელიშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელმძღვანელობს სამაგისტრო პროგრამას **„საერთაშორისო მენეჯმენტი“**:

– მაგისტრანტები ჩვენთან სწავლას დაიწყებენ სწავლების მეორე საფეხურის – მაგისტრატურის განახლებული პროგრამით. პროგრამები შედგენილია საერთაშორისო სტანდარტებისა და შესაბამისი ანალოგების გათვალისწინებით.

2007 წლიდან მაგისტრატურის განყოფილების მუშაობაში ბევრი სიახლეა. თებერვლიდან სწავლა დაიწყება 14 სამაგისტრო პროგრამაზე, რომელთა შორისაა გერმანიის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკურ პოლიტიკაში და ოდესის უნივერსიტეტთან ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა საერთაშორისო მენეჯმენტში. პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება, კონცენტრაციით ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში, თსუ-ს მიერ დადგენილია და გადის სერტიფიცირების პროცესს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციაში UNWTO „TedQual“ ხარისხის სერტიფიკატის მოსაპოვებლად (სწავლება იწარმოებს ინგლისურ ენაზე).

2007 წლის იანვრიდან მიღება გვექნება აგრეთვე ინგლისურენოვან დისტანციურ სასწავლო-სამაგისტრო პროგრამაზე საერთაშორისო ვაჭრობასა და ექსპორტის მენეჯმენტში. ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ მაგისტრანტს საშუალება ეძლევა აიღოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ირლანდიის საერთაშორისო ვაჭრობის ინსტიტუტის (IITI) დიპლომი ექსპორტის საოპერაციო მენეჯმენტში.

პროგრამების მიხედვით მაგისტრატურაში სწავლების პერიოდში გათვალისწინებულია მასტერკლასების მოწყობა, სადაც გამოცდილი პრაქტიკოსი ეკონომისტები და ბიზნესის წარმომადგენლები ჩაატარებენ ლექციების სპეკკურსს. ასევე გათვალისწინებულია ლექციების ჩატარება უცხო ენის სპეციალისტების, ექსპერტების, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ. მაგისტრანტები გამართავენ საჯარო პრეზენტაციებს, სადაც მათ თავიანთი თეორიული ცოდნისა და სხვადასხვა უნარ-ჩვევების გამომჟღავნების საშუალება მიეცემათ. ეს ხელს შეუწყობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტული კადრების ჩამოყალიბებას, ეკონომიკისა და ბიზნესის წრეებთან მათ

ლალი ჩაგელიშვილი

დაახლოვებას და დასაქმებას.

p.s. შემდეგ ნომერში გამოქვეყნდება სამაგისტრო პროგრამების სრული ნუსხა და გამოცდების ჩატარების წესები.

მოკლედ

თსუ-ს რექტორის არჩევნებში ორი კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრაცია ორმა კანდიდატმა გაიარა. რექტორის არჩევნებში მონაწილეობაზე განაცხადი უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ 30 ნოემბერს გააკეთა. არჩევნებში მონაწილეობის სურვილი, ასევე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა, ტარიელ ფუტკარაძემ გამოთქვა. წინასაარჩევნო პერიოდი 2007 წლის 5 იანვრამდე გასტანს. 5 იანვარს კი არჩევნები გაიმართება, რომელზეც აკადემიური საბჭო ხმათა უმრავლესობით რექტორს აირჩევს.

სტუდენტი – უმაღლესი განათლების სისტემის ცენტრი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

30 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ განათლების რეფორმის შედეგები გააცნო.

საბჭოთა მემკვიდრეობა

მინისტრმა გაიხსენა, როგორ დაიწყო რეფორმა და როგორ დაიშალა განათლების საბჭოთა სისტემა. მისი თქმით, დამოუკიდებელმა საქართველომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო სისტემა, რომელიც ემსახურებოდა არა საქართველოს, ქართველ ხალხს, არამედ საბჭოთა კავშირს – ქვეყანას, რომელიც უკვე მსოფლიო რუკაზე აღარ არსებობდა. შესაბამისად, აღარ არსებობდა ის მიზნებიც, რაც საბჭოთა განათლების სისტემას ჰქონდა დასახული საბჭოთა მოქალაქეების აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის.

საბჭოთა სასკოლო განათლება გათვლილი იყო „საშუალო მოსწავლის“ ინტერესებზე, ხოლო სწავლების მეთოდიკა – დამახსოვრებაზე, დაზუთხვაზე და პასიურ სწავლებაზე. განათლების სისტემა მთლიანად ორიენტირებული იყო მასწავლებელზე და არა მოსწავლეზე, რომელსაც სკოლები ვერ ამზადებდნენ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

უმაღლესი განათლების საბჭოთა სისტემას ახასიათებდა ავტორიტარიზმი – უნივერსიტეტების რექტორები პრაქტიკულად ერთპიროვნულად წყვეტდნენ ყველაფერს. უმაღლესი სასწავლებლები არ იყო ავტონომიური და ყველგან ბატონობდა კორუფცია, რასაც ხელს უწყობდა აბსოლუტურად გაუმჭვირვალე ბიუჯეტი.

კომუნისტებმა შეგნებულად გამიჯნეს სწავლება და სამეცნიერო კვლევა – კვლევითი ინსტიტუტები უნივერსიტეტებს ჩამოშორდა და რუსეთის იმპერიის მოძველებული მოდელით დაექვემდებარა მეცნიერებათა აკადემიას. იდეოლოგიურად მოტივირებული ამ ნაბიჯის მიზანი იყო უნივერსიტეტებში მობილიზებული ინტელექტუალური პოტენციალის დასუსტება. უნივერსიტეტი დაემსგავსა სკოლას, სადაც მასწავლებლები განუსაზღვრავდნენ მოსწავლეებს წინასწარ დაგეგმილ და ხელისუფლებასთან შეთანხმებულ სასწავლო გეგმებს.

რეფორმის მიზნები

საქართველოს განათლების რეფორმის მიზანია, ქვეყანაში ხელი შეუწყოს არა იაფ მუშახელზე, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას. ამისათვის საჭიროა სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ინტეგრაცია და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა. დღესდღეობით თსუ-ს მართვის ორგანოში – წარმომადგენლობით საბჭოში 12 სტუდენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფო სტუდენტს უპრეცედენტო ნდობას უცხადებს.

სტუდენტი არის უმაღლესი განათლების სისტემის ცენტრი ისევე, როგორც ჩვენი პლანეტარული სისტემის ცენტრი არის მზე.

ხელისუფლებიდან უფლებამოსილებები თანდათან გადაეცემა სკოლებს და უმაღლეს სასწავლებლებს. სასწავლო დაწესებულებები კი მართლაც ხდებიან ავტონომიურები.

ამ პროცესებში საზოგადოების მონაწილეობა განათლების რეფორმის ერთერთი მთავარი ღირსებაა. ზოგიერთი თავიდან არ ეთანხმებოდა მიმდინარე ცვლილებებს, მაგრამ ახლა უკვე ეთანხმება. ზოგიერთი ახლაც არ ეთანხმება, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ მას არაფერი ჭკითხეს ან აზრის გამოთქმის საშუალება მოუსპეს.

2010 წლისთვის მთლიანად დასრულდება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტეგრაცია ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში. შედეგად, ქართული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულის დიპლომს ევროპის განვითარებულ ქვეყნებში უპრობლემოდ აღიარებენ. სამშობლოში მიღებული ცოდნა კი ნებისმიერი პრესტიჟული, მაღალანაზღაურებადი სამსახურის გარანტი იქნება.

სტუდენტებთან შეხვედრისას თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, რომ წლევანდელი საერთო ეროვნული გამოცდებიდან თსუ-ში 2900-მდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა. აქედან სახელმწიფო გრანტი 2400-მდე სტუდენტმა მოიპოვა. ეს ნიშნავს, რომ რეფორმების მსვლელობისას უნივერსიტეტს ნდობას უცხადებს ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი, რომელსაც წელს სასწავლებელში მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი დახვდა.

შეხვედრის ბოლოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ლომაიას საჩუქრად ,,ვეფხისტყაოსანი'' გადასცა.

თსუ-ს საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახური

ცისფერი მთები

მაინც რა თაობა მოდის ასეთი?!..

ალეკო ცქიტიშვილი,
თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

არასოდეს მესმოდა იმ ადამიანების, რომლებიც ასაკის მატებასთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ შორდებიან მომდევნო თაობას და გულისწყვეტით თუ ჯავრით ამოიძახებენ ხოლმე: „ეს რა თაობა მოდის?!“

ასეთი მკვახე შეძახილი ხშირად გვესმის სატელევიზიო სიუჟეტების „ბრძნულ“ კომენტარებში და პრესაშიც ბევრგან წააწყდებით შვილებზე გულდაწყვეტილი თუ გაბრაზებული მამების ჩივილს.

მაინც რა თაობაა ეს თაობა, რომელიც მოდის?

უნივერსიტეტის ახლანდელ სტუდენტებს, განსაკუთრებით კი – პირველ და მეორეკურსელებს აქვთ ერთი განსაკუთრებული თვისება, რაც მათ წინა თაობებისგან გამოარჩევს – ისინი მოითხოვენ, უნივერსიტეტში იყოს დროის შესაფერისი სწავლის ხარისხი და პირობები. თუკი ამ მიმართულებით რაიმე ხარვეზია, ცდილობენ, რექტორატის ყურადღება მიიქციონ და პრობლემის გადაწყვეტაშიც თავისი წვლილი შეიტანონ. ხოლო უნივერსიტეტში პრობლემები რომ არის, ამას რექტორატიც არ უარყოფს, მაგრამ არა ისეთი, ზოგიერთი აღტკინებული რომ ყვირის: დაინგრა, დაინგრა უნივერსიტეტიო.

უნივერსიტეტში არსებული პრობლემები სათავეს ძირითადად ბოლო 15-წლიანი პერიოდიდან იღებს. ეს ყველაზე კარგად იმ სტუდენტებმა იციან, ვინც ახლა ბაკალავრიატს ამთავრებს ან უკვე მაგისტრატურაში სწავლობს. ისინი კარგად ხედავენ განსხვავებას ახლანდელ და ოთხი წლის წინანდელ სასწავლო პროგრამებს შორის. ხედავენ და აფასებენ დღევანდელი და მაშინდელი ადმინისტრაციის მართვის მეთოდებსაც.

გახსოვთ, ხუთი თუ ექვსი წლის წინათ თსუ-ს მეორე კორპუსის წინ სტუდენტებმა ხმაურიანი დემონსტრაცია რომ მოაწყვეს?!..

გახსოვთ, მათი მთავარი მოთხოვნა რა იყო?!..

„გაუქმდეს გამოცდები!“

მაშინ საზოგადოება მართლაც შოკირებული შეხვდა ამ დემონსტრაციას. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და რექტორ-დეკანები მხრებს იჩეჩდნენ – ეს რა თაობა მოდისო. გასული საუკუნის 80-90-იანი წლების სტუდენტები კი სინანულით იხსენებდნენ, ასეთი ხმაურიანი დემონსტრაციებით როგორ მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, რუსეთის საოკუპაციო ჯარების საქართველოდან გაყვანას... და მათაც უკვირდათ – „ეს რა თაობა მოდის?!“

არადა, ეს იყო სტუდენტების ბუნებრივი რეაქცია იმ ვითარებაზე, რაც ხუთი წლის წინანდელ უნივერსიტეტში არსებობდა. არსებობდა კი არა – მეფობდა. რა გამოცდა უნდა ჩაებარებინა იმდროინდელ სტუდენტს, რომელსაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მარქსისტული პოლიტეკონომიის საფუძვლებს ასწავლიდნენ?!.. სხვათაშორის, მაშინდელ დემონსტრაციაში უმეტესწილად სწორედ ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ.

მაშინ „რეზონანსის“ ჟურნალისტი გახლდით და ამ დემონსტრაციის შუაგულში მომიწია ყოფნამ. ჩემს მაშინდელ რეპორტაჟში ვერ ნახავთ ფრაზას – „ეს რა თაობა მოდის?!“ ვერ ნახავთ იმიტომ, რომ მოთხოვნა: **„გაუქმდეს გამოცდები!”** სრულიად ლოგიკურად მივიჩნიე იმ ჭაობიდან გამომდინარე, რაც იმდროინდელ უნივერსიტეტში ჩანდა.

სწორედ ამ წლებიდან დაიწყეს სტუდენტებმა ფიქრი საკუთარ პრობლემებზე. მერე და მერე ეს ტენდენცია გაღრმავდა, ახალგაზრდობის ნედლი ნაფიქრი თანდათან მყარ დასკვნებად ჩამოყალიბდა და ახლა უნივერსიტეტში ვერსად ნახავთ სტუდენტს, რომელიც რექტორისგან გამოცდების გაუქმებას მოითხოვს.

ეს ამბები რამდენიმე დღის წინ თსუ-ს მე-3 კორპუსში მოწყობილმა ერთდღიანმა გაფიცვამ გამახსენა. კორპუსი რამდენიმე წელია, არ თბება. ლამის 10 წელი გრძელდებოდა ეს „გამყინვარება“ და რატომღაც აქამდე არავის მოსვლია აზრად გათბობის სისტემის მოწესრიგება, მითუმეტეს – მედიის შეწუხება. ზუსტად ვერ გავიგე, ეს გაფიცვა და შესაბამისი PR-კამპანია სტუდენტების მიერ იყო ინიცირებული თუ პროფესორ-მასწავლებლების მიერ. ორივე შემთხვევაში, მოთხოვნა – უნივერსიტეტის აუდიტორიებში იყოს სწავლისათვის სათანადო პირობები, სამართლიანია. მე უფრო ის გამიკვირდა, რატომ წინა წლებში არავის მოსვლია აზრად, მიემართა მასმედიისთვის, ხოლო ადმინისტრაციისგან ამ პრობლემის სასწრაფოდ მოგვარება მოეთხოვა.

თსუ-ს ადმინისტრაციამ სტუდენტებს პირობა მისცა, რომ რამდენიმე დღეში გათბობის სისტემა ამოქმედდებოდა. პირობა მართლაც რამდენიმე დღეში შესრულდა. კორპუსამდე 3-4 დღეში მიიყვანეს გაზის მილები, საქვაბეც დამონტაჟდა და მცირეოდენი ფორმალობების მოგვარების შემდეგ კორპუსი მთლიანად გათბება.

ნუთუ ამის გაკეთებას 10 წელი სჭირდებოდა?!..

შეკითხვა რექტორატს

სტუდენტი:

პრობლემები გვექმნება სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ აკადემიურ წერაში, სტატისტიკაში, საერთაშორისო ურთიერთობებში ვხელმძღვანელობთ ერთი წიგნით, და ის „ერთი წიგნიც“ დეფიციტია, გვიხდება მისი გადაქსეროქსება. როგორ ფიქრობთ „უწიგნობით“, „წიგნიერები“ გავხდებით?

ირინე დარჩია, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი:

სტუდენტების პრეტენზია სავსებით სამართლიანია. „წიგნის გარეშე წიგნიერები ნამდვილად ვერ გავხდებით“, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ეს საკითხი მხოლოდ სტუდენტებს არ აღელვებთ. ანალოგიური „საჩივრები“ აკადემიური პერსონალისგანაც ხშირად გვესმის, მაგრამ მათი დაკმაყოფილება ერთბაშად და სწრაფად ვერ მოხერხდება. სასწავლო პროცესის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა ფინანსური და ტექნიკური ხასიათის პრობლემასთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს სიტუაციის შესწავლას და სათანადო რეკომენდაციის წარდგენას აკადემიური საბჭოსათვის. უნდა ვიფიქროთ არა მარტო სახელმძღვანელოების, არამედ ე.წ. როდერების შექმნაზეც. ვფიქრობ, სახელმძღვანელოების პრობლემის გადაჭრის საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს როგორც თსუ-ს ბიბლიოთეკამ, ისე ჩვენმა გამომცემლობამ, რომლის რეორგანიზაციაც ამჟამად მიმდინარეობს.

სტუდენტი:

თსუ მე-3 კორპუსში გამყინვარებაა, ლექციებზე ჯდომა შეუძლებელია, როდის გავთბებით? მოგვაქციეთ ყურადღება!

თემურ ჯიშკარიანი, მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე:

2005 წლის 5 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „თბილგაზის“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულ იქნა საპროექტო დოკუმენტაცია უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსის (ი. ჭავჭავაძის პრ. №11ა) თბოფიცირებისათვის. დაწყებულ იქნა გაზის საჰაერო ტრასის გაყვანა, მაგრამ სამშენებლო კომპანიამ შ.პ.ს. „XXI საუკუნე“-მ გაზსადენის ადგილას დაიწყო საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რამაც გამოიწვია პროექტის შეცვლა. შემდგომში, როდესაც გაკეთდა ახალი პროექტი (შემოვლითი გზით მილსადენის გაყვანა) პროტესტი გამოთქვა ატენის ქუჩის №18ბ-ში მცხოვრებთა ნაწილმა, რაც კვლავ გახდა სამუშაოების შეჩერების მიზეზი. დამუშავდა მესამე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მიწისქვეშა სამუშაოებს. თავისთავად მოხდა პროექტის ღირებულების შეცვლაც. მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს, ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, განახლდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „საქგაზმშენსერვის“-თან. პროექტით გათვალისწინებული მიწის რთული სამუშაოები (86 გრძივი მეტრი სპეც. მილების ჩადება მიწაში) შესრულდა 2-4 დეკემბერს. ამის შემდეგ საჭირო გახდა თბილგაზისაგან საშუალო წნევის მილსადენზე მიერთებისათვის ნებართვის მიღება, რაც 7 დეკემბერისთვის მოხერხდა. 8 დეკემბერიდან დაიწყო თსუ-ს მე-3 კორპუსის საქვაბემ ფუნქციონირება.

პენტაგონის ლაბორატორია თბილისში ქართველ მეცნიერებს დაასაქმებს

უნივერსიტეტმა მიკრობიოლოგიის, ბაქტერიოფაგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან მემორანდუმი გააფორმა

პირველი გვერდიდან

მემორანდუმი ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლების დონის ამაღლებას მიკრობიოლოგიის, ბაქტერიოფაგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში პრაქტიკული გამოცდილების მიღებით, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივი გაცვლითი პროგრამების წარმოებით. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებისათვის კი მნიშვნელოვანი იქნება უნივერსიტეტში შესაბამისი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა.

„სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ უნივერსიტეტის გარდა არსებობს სხვა სასწავლო-კვლევითი დაწესებულება, სადაც მას შეეძლება მეცნიერ-ხელმძღვანელის შერჩევა. ამ გზით შერჩეული წარმატებული მეცნიერ-მუშაკი შემდგომში შეიძლება უნივერსიტეტის რესურსადაც იქცეს. მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის გამოცდილება: სტუდენტი არ უნდა მოექცეს ერთი რომელიმე პროფესორის ან სკოლის გავლენის ქვეშ“, — განაცხადა მემორანდუმის გაფორმებისას თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

„ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი მიკროორგანიზმების წარმოებაზე მთელს მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა, მედიცინაში ფართოდ გამოიყენება ბაქტერიოფაგები. ჩვენ უნდა დავანახოთ მსოფლიოს, რომ საქართველოს შეუძლია, ამ დარგში მოამზადოს ისეთი დონის სპეციალისტები, რომლებსაც დასაქმების პრობლემა კი არ ექნებათ, არამედ, მათზე სულ უფრო და უფრო გაიზრდება მოთხოვნა“, — განაცხადა მიკრობიოლოგიის, ბაქტერიოფაგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა რევაზ ადამიამ.

ქართველი მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი სიახლეა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების — პენტაგონის მრავალმილიონიანი ბიუჯეტით თბილისში მშენებარე თანამედროვე მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც ქართველ მეცნიერებს უნიკალურ შესაძლებლობებს მისცემს, მონაწილეობა მიიღონ ძვირადღირებულ სამეცნიერო კვლევებში.

ლაბორატორია ბიოტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის ფარგლებში შენდება. მისი ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება პათოგენური ბაქტერიოლოგიური შტამების მოწესრიგება, დახარისხება და დაცვა. რევაზ ადამიას თქმით, ლაბორატორიის შექმნაზე 90 მლნ დოლარია გამოყოფილი. ამერიკელების მხრიდან ასეთი დიდი ყურადღებისა და ფინანსების გამოყოფა ერთმა ფაქტორმაც განაპირობა — საქართველოში არსებობს პათოგენური შტამების ბიოლოგიურ იარაღად შესაძლო გამოყენების საფრთხე.

„ცდების შედეგებით ჩვენი ინსტიტუტი 50-60 წლით წინ უსწრებს ამერიკის შეერთებული შტატების შედეგებს, თუმცა საჭიროა, ისეთივე სტანდარტებით მიმდინარეობდეს საქართველოში ექსპერიმენტები, როგორც ეს დასავლეთშია მიღებული. ამაში მხარდაჭერა აუცილებლად გვჭირდება“, — ამბობს რევაზ ადამია.

კითხვაზე, რამდენად შესაძლებელი იქნება ქართველ მეცნიერთათვის, კერძოდ, თსუ-ის მეცნიერ-თანამშრომელთათვის პენტაგონის ლაბორატორიაში მუშაობა, რევაზ ადამიამ განაცხადა, რომ პროექტში, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მეცნიერები დასაქმდებიან, რომელთაც ექნებათ შესაბამისი კვალიფიკაცია. ასეთი კვალიფიკაციის კადრების მომზადების პროცესში მიკრობიოლოგიის, ბაქტერიოფაგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად ითანამშრომლებენ.

თსუ-ს ტარტუს უნივერსიტეტის რექტორი ესტუმრა

გაცვლითი პროგრამა

27-29 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა ტარტუს უნივერსიტეტის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი იააკ აავიკსოო, რექტორის თანაშემწე ილარი ლეენი, საერთაშორისო თანამშრომლობის ხელმძღვანელი სირიე უპრუსი.

ვიზიტის მიზანს შეადგენდა ქართულ და ესტონურ უნივერსიტეტებს შორის 2005 წელს დადებული ხელშეკრულების გაფართოება.

ესტონელი სტუმრები შეხვდნენ საქართველოს პირველ ლედის სანდრა რულოვსს, რომელიც აქტიურადაა ჩართული თბილისისა და ტარტუს უნივერსიტეტებს შორის ორმხრივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან, პროფესორ გიორგი ხუბუასთან და ფაკულტეტების დეკანებთან შეხვედრებზე განიხილეს მომავალი ურთიერთობის პერსპექტივები და მიმართულებები.

შეხვედრებს ესწრებოდა ესტონეთის ელჩი საქართველოში ჰარი ლაჰტეინი.

პროფესორმა სირიე უპრუსმა კმაყოფილება გამოთქვა თსუ-დან გაცვლითი პროგრამით წარგზავნილი ორი სტუდენტის — მიხეილ სვანიძისა და ანა ციმინტიას წარმატებების გამო, რისი დადასტურებაც იყო ის, რომ ტარტუს უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა განყოფილებამ ამ ვიზიტის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოუგზავნა მიმართვა, სადაც აღნიშნულია, რომ გაცვლითი პროგრამით წარგზავნილი ქართველი სტუდენტები განსაკუთრებული წარმატებებით გამოირჩევიან და ტარტუს უნივერსიტეტი თანახმაა, მათ დამატებით გამოუყოს სტიპენდია კიდევ ერთი სამაგისტრო პროგრამის გასავლელად.

დაასაქმებს თუ არა მილენიუმის პროგრამა სტუდენტებს საქართველოში

28 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუ-

ბუას მოწვევით, „ფონდ — ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა შანიძემ უნივერსიტეტში შეხვედრა გამართა. მან სტუდენტებს უახლოესი სამოქმედო გეგმა და პერსპექტივები გააცნო.

ათასწლეულის გამოწვევა არის აშშ-ს მთავრობის სპეციალური პროგრამა, რომელსაც ამერიკის სამთავრობო ორგანიზაცია „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“ ახორციელებს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ინიციატივით. მისი მიზანია, დახმარება აღმოუჩინოს განვითარებად ქვეყნებს სიღარიბის დაძლევასა და ეკონომიკურ განვითარებაში. პროგრამის სპეციფიურობა იმაში მდგომარეობს, რომ დახმარების მიღები ქვეყანა თავად სახელმწიფოს საკუთარ პრიორიტეტებს, ქმნის განვითარების საკუთარ გეგმას.

დახმარების მიღების მსურველთა შორის ამერიკის „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ“ 16 ქვეყანა შეარჩია. მათ შორის, საქართველოც, რომელმაც განაცხადი 2004 წლის ზაფხულში გააკეთა.

საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად ფონდმა განსაზღვრა ორი მიმართულება: რეგიონალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და საწარმოთა განვითარება. პროგრამა ხუთწლიანია. მისი რეალიზებისათვის აშშ-ს ათასწლეულის კორპორაციის დირექტორთა საბჭომ გრანტის სახით 295,3 მილიონი დოლარი გამოყო. პროგრამა 2006 წლის 7 აპრილიდან ამოქმედდა.

მილენიუმის უახლოესი სამოქმედო არეალი საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სფეროების განვითარებას ეხება. განსაზღვრული ხუთი პროექტიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციამშენებლობა, რისთვისაც გამოყოფილია 102,2 მილიონი დოლარი. სამუშაოები დაიწყება 2007 წელს.

ამავე პროექტით გათვალისწინებულია ენერგოსექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც 49,5 მილიონი დოლარი მოხმარდება ჩრდილო-სამხრეთის მიმართულების მაგისტრალური გაზსადენის აღდგენას და ენერგეტიკის სამინისტროს ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფას.

ფონდის ხელმძღვანელმა განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გასატარებელი ღონისძიებები. რეგიონებში წყლისა და საკანალიზაციო მეურნეობების, ირიგაციის, მუნიციპალური გაზიფიკაციის, ადგილობრივი გზების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის 60 მილიონი დოლარი გამოიყოფა.

„ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ უზრუნველყოფს მცირე და საშუალო კერძო საწარმოებს გრძელ-

ვადიანი სარისკო კაპიტალითა და ტექნიკური დახმარებით. პროექტი ითვალისწინებს ამ მიმართულებით 32,5 მილიონი დოლარის ღირებულების სამუშაოებს. ფონდის პრიორიტეტული სექტორებია სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. იგი იმუშავებს მეპაიეობაზე დაფუძნებული ინვესტიციებისა და სესხების საშუალებით.

რაც შეეხება აგრობიზნესის განვითარებას, 15 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი ფერმერებისა და აგრობიზნესმენების გრანტებითა და ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

სტუდენტების დაინტერესება გამოიწვია ფონდის საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩართვის პერსპექტივამ. „ახალგაზრდები არიან ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის მთავარი ბენეფიციარები, რაც მათ მონაწილეობასა და ამ პროგრამაში ჩართვას გაცილებით დიდ მნიშვნელობას მატებს“, — განაცხადა პროგრამის პრეზენტაციაზე „ფონდ-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა შანიძემ.

ახალი სახე

საქართველოში სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩასატარებლად საჭირო ლაბორატორიები არ არის

ვახტანგ ჯანდიერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი:
დაიბადა 1978 წელს, თბილისში;
1999 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი;
2001 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თეორიული ფიზიკის განხრით;
2002 წლიდან სწავლა განაგრძო იტალიაში, ხოლო შემდეგ — იაპონიაში — კიუშუს უნივერსიტეტის დოქტორანტურაში, სადაც 2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

— უცხოეთიდან ჩამოვედი 2006 წლის დასაწყისში და გავიგე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმართებოდა აკადემიური პერსონალის კონკურსი. ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია იმისთვის, რომ საბუთები შემომეტანა. როგორც მეცნიერს, მიმაჩნია, რომ სასიამოვნოა, მუშაობდე საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებელში. ამის პარალელურად, ვმონაწილეობდი როგორც საბაკალავრო, ასევე, სამაგისტრო პროგრამების შედგენაში.

— თქვენ სადოქტორო დისერტაცია დაიცავით იაპონიაში. კარგა ხანი ცხოვრობდით ამ ქვეყანაში და იცნობთ მის მეცნიერულ ღირებულებებს, მიღწევებს. როგორ ფიქრობთ, დიდი სხვაობაა ქართველ და იაპონელ მეცნიერთა შორის?

— თავად თეორეტიკოსი გახლავართ და ვერ ვიტყვი, რომ თეორიულ საკითხებში, დიდი სხვაობაა. უბრალოდ, იქ ექსპერიმენტებსა და ლაბორატორიების თანამედროვედ აღჭურვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ამ დონის ლაბორატორიები და პირობები, რომ მნიშვნელოვანი სამეცნიერო ექსპერიმენტები ჩატარდეს.

ამასთან, ისიც უნდა ვთქვათ, რომ იაპონიას მეტი ხიბლი აქვს მეცნიერებისთვისაც და სტუდენტებისთვისაც. იქ



სტუდენტს სწავლის მეტი სტიმული აქვს. ის აქტიურად არის სასწავლო პროცესში ჩართული იმიტომ, რომ იცის — თუ მაღალი მოსწრებით დაამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, გარანტირებული აქვს სამუშაო ადგილი იაპონიის რომელიმე წამყვან ტექნოლოგიურ ფირმაში.

საქართველოშიც საჭიროა, ეს პრინციპი ამოქმედდეს — სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლისას, სპეციალობის დაუფლების შემდეგ (პროფესიონალიზმი აქ თავისთავად იგულისხმება), დასაქმდება. არჩევანი უნდა იყოს — აუცილებელი არ არის, ყველა ბანკირი ან ბიზნეს ადმინისტრატორი გახდეს...

— რა პრობლემები დაგხვდათ სწავლების კუთხით თქვენს ფაკულტეტზე?

— მე ბიოლოგების ჯგუფს ფიზიკას ვასწავლი და რეალური სურათი მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლაში ამ დისციპლინის სწავლება ძალიან დაბალ დონეზეა (აქ მარტო ბიოლოგებზე არ არის საუბარი). თუ სწავლობენ, როგორც ჩანს, ძალიან ელემენტარულ დონეზე. ლექტორებს სასკოლო პროგრამის ხელახლა სწავლება უხდებათ. სტუდენტი საგანს უნდა ფლობდეს იმ დონეზე, რომ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული პროგრამის დაძლევა შეძლოს. მათი მხრიდან, რა თქმა უნდა, დაინტერესება არის, თუმცა, სჯობს, სათანადო ცოდნა სკოლამ მისცეს.

— რას ითხოვთ სტუდენტისგან?

— პირველ რიგში, ლექციის დროს — ყურადღებას. ვთქვათ, შენ გაინტერესებს ბიოლოგია ან გეოგრაფია და არ გაინტერესებს ფიზიკა, მაგრამ, რადგან ამ საგანს სწავლობ, მას ყურადღებით უნდა მოექცე და მონდომებით ისწავლო.

სხვა მნიშვნელოვანი მოთხოვნა არ მაქვს. მიმაჩნია, რომ ლექტორსა და სტუდენტს შორის ამხანაგური, უშუალო დამოკიდებულება უნდა იყოს, თუმცა გარკვეული დისტანციაც საჭიროა.

ესაუბრა მაია ტორა ე

კარგია, თუ უნივერსიტეტში ეს ყველაფერი მათ აბარიათ

თვითმმართველობა ძალას იკრებს – თვლიან სტუდენტები

პირველი გვერდიდან

უდავოა, კონცეფცია მართლაც მიმზიდველია, მაგრამ ბევრს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს უახლოესი მწარე წარსული, როდესაც სტუდენტური დაჯგუფებები კომკავშირის მეშვიდრეობითი ნიშნებით პოლიტიკურ პარტიებს უფრო გაგახსენებდათ, ვიდრე უნივერსიტეტის შემოქმედებით პროცესში ჩართულ სტუდენტთა კავშირს. ასეთი გაერთიანებების მიმართ რეაბილიტაცია, თითქოს, ჯერ კიდევ, არ დამთავრებულა, მაგრამ აშკარაა, სტუდენტობას თვითმმართველობის მიმართ ნდობა დღითიდღე უბრუნდება. ამას მოწმობს აქტიური მონაწილეობა იმ ღონისძიებებში, რომელიც მათი ინიციატივით იმართება უნივერსიტეტში. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების შემდეგ, მათი საქმიანობა უფრო შემოქმედებითი გახდა, რადგან დამოუკიდებლობის ხარისხი გაიზარდა და ადმინისტრაციისგან მეტ მხარდაჭერას გრძნობენ.

სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე **გიორგი ავალიანი** აცხადებს, რომ ყველანაირად შეეცდება, წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებით ისარგებლოს, რაც იმას გულისხმობს, რომ უნივერსიტეტის თვითმმართველობის ორგანო სტუდენტებს დაეხმარება მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში.

— გიორგი, თქვენ არჩევნების გზით მოხვედით თვითმმართველობაში. როგორი იყო მაშინ სტუდენტთა აქტივობა? წარსულის გამოცდილებას, ცხადია, ვერ დაეყრდნობოდით. რა იყო თქვენი მთავარი მესიჯი?

— არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, უნივერსიტეტში რამდენიმე სტუდენტური ორგანიზაცია არსებობდა, რომლებიც ძირითადად დაკავებულები იყვნენ ადმინისტრაციული საკითხებით, თანამდებობასავით იყენებდნენ თავიანთ პოსტებს, ხშირ შემთხვევაში აკეთებდნენ პოლიტიკურ განცხადებებს და ისეთ აქციებში იღებდნენ მონაწილეობას, რაც არანაირად არ ეხებოდა სტუდენტურ ცხოვრებას. ამ ორგანიზაციებს შორის იყო ურთიერთდაპირისპირება და კონფრონტაცია. შესაბამისად, მათ მიმართ სტუდენტების დამოკიდებულება იყო ირონიული. მათ ეთაკილებოდათ ასეთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა.

როდესაც მე და ჩემმა მეგობრებმა საინიციატივო ჯგუფი ჩამოვაყალიბეთ, ვიცოდით, რომ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდებოდა, რომ ჩვენს მიმართ ნდობა გაჩენილიყო. თავდაპირველად ჯგუფში სულ ხუთი კაცი ვიყავით. თითოეულ სტუდენტთან მივდიოდით და ვუხსნიდით, რომ ჩვენი მიზანი წინამორბედთა მიზნებისაგან სრულიად განსხვავდებოდა. ამის შედეგი იყო ის, რომ თვითმმართველობის არჩევნებში 6675 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, რაც უნივერსიტეტის სტუდენტთა 32%-ია. ფაკულტეტების მიხედვით ავირჩიეთ 276 დელეგატი. ერთი სიტყვით, შევქმენით ერთიანი სტუდენტური ჯგუფი, რომელიც აქტიურად მუშაობს ყველა პრობლემაზე. დღეისათვის უნდა ითქვას, რომ სტუდენტური თვითმმართველობა ძლიერი, დამოუკიდებელი ორგანოა, რომელსაც რეალურად შესწევს უნარი, საუნივერსიტეტო ცხოვრება საინტერესო და მრავალფეროვანი გახადოს.

— რა არის თქვენი საქმიანობის პრიორიტეტი?

— ჩვენ თითოეულ სტუდენტს ვაძლევთ საშუალებას, ჩაერთოს სტუდენტთა თვითმმართველობის ფორმირებაში. ყოველდღიურად ათეულობით სტუდენტი მოდის ჩვენთან თავიანთი წინადადებებითა და ინიციატივებით. ახლა მთავარია, მათი მოთხოვნები განხორციელდეს.

— მაინც რა მოთხოვნებზეა საუბარი?

— ადრე უნივერსიტეტში ყოფილი სტუდკავშირის ინიციატივით, ძირითადად სპორტული ღონისძიებები იმართებოდა. ჩვენ ვცდილობთ, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით დავგეგმოთ კულტურული ღონისძიებები, სამეცნიერო კონფერენციები. ჩამოვაყალიბეთ ექვსი დეპარტამენტი, რომლის ფუნქციონირებას, კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი კომიტეტი. ასევე, შექმნილი გვაქვს სარევიზიო კომისია, სადაც ყველა ფაკულტეტიდან წარმოდგენილია თითო დეპუტატი. ეს კომისია უზრუნველყოფს თვითმმართველობის ყველა ორგანოს წარმატებით ფუნქციონირებას. განსაკუთრებით იგრძნობა სტუდენტების დაინტერესება გაცვლითი პროგრამების მიმართ. მათი სურვილია, ევროპის პრესტიჟულ სასწავლებლებში გაიღრმავონ ცოდნა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, სულ მალე, განხორციელდება ეს პროგრამები და ბევრ ქართველ სტუდენტს საშუალება მიეცემა, ამოირჩიოს სასურველი სასწავლებელი. როგორც გახსოვთ, კიევის უნივერსიტეტთან უკვე გაფორმდა ასეთი ხელშეკრულება.

— ალბათ თქვენი თანატოლები უფრო გულახდილად გიზიარებენ თავიანთ მოსაზრებას უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების თაობაზე?

— უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა. უმთავრესი მაინც სასწავლო პროცესის მოწესრიგებაა. თუმცა სტუდენტები ხედავენ, რომ უმაღლესი განათლების კანონის მიღების შემდეგ, მათი უფლებები გაიზარდა. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ ნელ-ნელა იქმნება კონკურენტუნარიანი გარემო და მხოლოდ ხარისხიანი განათლებით თუ დაიმკვიდრებენ ადგილს საზოგადოებაში.

— უნივერსიტეტში ბევრი ღონისძიება თქვენი ინიციატივით იმართება. ხომ არ აპირებთ, პოპულარული და საზოგადოებისთვის მისაღები პიროვნებების უფრო ხშირად მოწვევას?

— სტუმრის შერჩევა თვითმმართველობის სტუდენტურ კულტურულ დეპარტამენს ევალება. ამ მხრივ, გპირდებით, იანვრიდან ეს ღონისძიებები უფრო კარგად იქნება ორგანიზებული. ჩატარდება გამოკითხვები და სტუმარიც ამის საფუძველზე შეირჩევა. სტუდენტს წინასწარ ეცოდინება სტუმრის ვინაობა.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ უნივერსიტეტში შექმნილ ახალ სტუდენტურ მოძრაობებთან?

— ისინი უფრო საფაკულტეტო-საინიციატივო ჯგუფები არიან, რომლებსაც სურთ, თავიანთი ფაკულტეტის ღირსება დაიცვან. როდესაც უნივერსიტეტში კარგი ღონისძიება ტარდება, ეს ყოველთვის დასაფასებელია. მომდევნო არჩევნებში მათაც შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა. აქ „ჩემი“ და „შენი“ საკეთებელი არ არსებობს. ჩვენ ერთ მიზანს ვემსახურებით.

სტუდენტურ თვითმმართველობას კიდევ უფრო საინტერესო სტუმრების მოწვევას ვთხოვთ

ხომ გაგიგონიათ? — ენდე და შეამოწმეო! ჩვენ დავინტერესდით, როგორი დამოკიდებულება აქვთ უნივერსიტეტის სტუდენტებს თვითმმართველობის მიმართ და რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.

თინათინ შენგელია, ჰუმანიტარული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი:

— „მიუხედავად იმისა, რომ არანაირ ორგანიზაციაში არ ვაპირებ გაერთიანებას, ხშირად ვესწრები მათ მიერ დაგეგმილ შეხვედრებს, ზოგი მომწონს, ზოგი — არა. ძალიან მიყვარს მუსიკა, მინდა მოეწყოს მუსიკალური საღამოები, სადაც საშუალება გვექნება ცნობილ კომპოზიტორებს, მუსიკოსებს შევხვდეთ და ჩვენთვის საინტერესო თემებზე ვესაუბროთ“.

თამარ შოშიტაიშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი:

— „კარგად არ ვიცნობ მათ საქმიანობას, დაფაზე ხშირად არის გამოკრული ანონსები ღონისძიებების შესახებ, თუმცა ჯერ ვერ მოვიცალე მათზე დასასწრებად. უფრო გულახდილი ვიქნები და გეტყვით, რომ სტუმრებმა ჯერ ისე არ დამაინტერესა, რომ ჩემი საქმე გადამედო. კარგი იქნება, თუ გაიმართება პოეზიის საღამოები. როგორც ჩემი მშობლებისგან მსმენია, უნივერსიტეტს ამის დიდი ტრადიცია აქვს. მაინტერესებს, როგორ წერენ ჩემი თაობის ახალგაზრდები“.

გიორგი არჩუაშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი:

— „მინდა გავერთიანდე ამ ორგანიზაციაში. არ ვიცი, აქვთ თუ არა სპორტული განყოფილება, არც ის ვიცი, ვის უნდა მივაკითხო. კარგი იქნება, თუ თვითმმართველობის წევრებს პირველკურსელებთან უფრო მეტი კონტაქტი ექნებათ — გაგვაცნონ თავიანთი წესდება და დაგვეხმარონ არჩევანის გაკეთებაში“.

„პირველები“ პირველობას ცდილობენ

სტუდენტურმა მოძრაობამ „პირველებმა“ დაარსების წლისთავი აღნიშნეს

სტუდენტური მოძრაობა „პირველები“ პირველ დაბადების დღეს მთელი კვირის განმავლობაში აღნიშნავდნენ. იუბილარები მაქსიმალურად ცდილობდნენ წარმოეჩინათ თავიანთი შესაძლებლობები. მათ მიერ გამართულმა კულტურულ-სპორტულმა ღონისძიებებმა სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც დაინტერესა. საფეხბურთო მატჩს, სპექტაკლის პრემიერას თუ საქველმოქმედო აქციას ყველა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს. ზოგს აინტერესებდა, რამდენად შეძლეს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა თავისი შესაძლებლობების რეალიზება, ზოგიერთს მათ მიერ მოწვეული სტუმარი მოეწონა, ან საჯარო დისკუსიის თემამ დააინტერესა.

კვირეული ანტინარკოტიკული აქციით დაიწყო. ამასთან დაკავშირებით თსუ-ს პირველი კორპუსის ეზოში გაიმართა საფეხბურთო მატჩი. აქციას დაესწრო სპორტის დეპარტამენტის უფროსი ამირან სანიკიძე. კვირეულის გახსნა „პირველებს“ მიულოცა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა დავით კერესელიძემ, რომელმაც ახალგაზრდებს ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ მოუწოდა. ამავე აქციასთან დაკავშირებით, თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში გაიმართა სემინარი, სტუდენტებმა ამ საჭირბოროტო თემაზე საუბროდ ექიმები და ფსიქოლოგები მოიწვიეს. კვირეულის მეორე დღეს, შარდენის ქუჩაზე გაიმართა საქველმოქმედო აქცია სახელწოდებით: „ჩვენი შემოქმედებით დავეხმაროთ ბავშვებს“. სტუდენტების მიერ შეგროვებული ხელთნაკეთი ნივთების გაყიდვის შედეგად შემოსული თანხა (688 ლარი) დიღმის ბავშვთა სახლს გადაეცა.

პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში „პირველებმა“ აფხაზეთის ომის თემას სპექტაკლის „ძველი იარა“ პრემიერა მიუძღვნეს.

ძნელია, მკითხველის გული
იპოვოს ლექსმა
შეხვედრა მუხრან მაჭავარიანთან

„ლექსისთვის საკმარისი არაა არც საჭირბოროტო თემატიკა, არც ლექსის მხატვრული სახეებით დახუნძლა. ხმაა მთავარი! — სათქმელის შესაატყვისი ხმა. ხალხი ლექსს მხოლოდ მაშინ გაითავისებს, როცა ლექსში ხმა და სათქმელი ერთმანეთზეა მორგებული“.

მის ხმას და სათქმელს საქართველო ყოველთვის გულაძგერებული უსმენდა. იგი ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ქართველი „ჩუმის ნატვრითა ნატრობდა“, მისი დუმილი ყოველთვის რეკდა. ახლაც, სადაც ის გამოჩნდება, ყოველთვის არის ცრემლი, სიხარული და იმის განცდა, რომ „ხარ ნიმუში შენ ქართველთ ბედის“.

უნივერსიტეტში მუხრან მაჭავარიანის სტუმრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა: ახალგაზრდობას ვერ მოატყუებ! „ლაპარაკი — ვერცხლია, დუმილი — ოქრო! ჩემი ოქრო და ვერცხლი სამშობლოა; ვყვირი! — მისთვის ვყვირი! ვდუმვარ! — მისთვის ვდუმვარ! მხოლოდ ჩემთვის ღმერთმა ნურც დამაყვიროს და ნურც დამადუმოს“, — ამბობს მუხრანი.

შეხვედრაზე პოეტმა ის წლები გაიხსენა, როდესაც იმდროინდელ საზოგადოებაში ზოგიერთისათვის მისი ლექსები „საჩოთირო“ იყო.

— მაშინ უნივერსიტეტს ჰყავდა ბრწყინვალე რექტორი — ნიკო კეცხოველი, რომელმაც დაბეჭდა ჩემი ლექსები უნივერსიტეტის ალმანახში — „პირველი სხივი“. ეს მოხდა 1952 წელს, კომუნისტური რეჟიმის აყვავების პერიოდში. საზოგადოებისათვის ეს უჩვეულო მოვლენა იყო, მაშინ ასე თამამად აზრის გამოხატვა რისკის ტოლფასი გახლდათ. ორი წელი „გასახლებული“ ვიყავი ბულგარეთში. დრო უქმად არც იქ დამიკარგავს, ვთარგმნიდი მათი პოეტების ლექსებს, რის გამოც ბულგარეთის მთავრობამ ორდენითაც დამაჯილდოვა. 1976 წელს გამოსულმა ჩემმა პირველმა წიგნმა არნახული პოპულარობა მომიტანა. ტირაჟი მასშტაბური იყო — 100 ათასი ცალი.

— ბატონო მუხრან, როგორ ფიქრობთ, თანამედროვე ახალგაზრდობა ხომ არ გაგულგრილდა პოეზიის მიმართ?

— მეც ასე მეგონა. რამდენიმე წლის წინათ დათო ტურაშვილმა თეატრალურ სარდაფში პოეზიის საღამოზე მიმიწვია. საბრძოლველად შემართული წავედი, მეგონა, რომ ჩემი თაობის კაცი მათთვის აღარ იქნებოდა საინტერესო. სრულიად საპირისპირო რამ მოხდა! — დარბაზი გაჭედილი დამხვდა ახალგაზრდებით. ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩემი ლექსების თქმაში. მაშინ საბოლოოდ ვირწმუნე! — თუ ლექსი ჭეშმარიტია, მისთვის არ არსებობს ძველი და ახალი თაობა. ზოგიერთი „ნაწვალები“ ლექსი დაბადებისთანვე მკვდარია, იგი არავის აინტერესებს. ჩვენი დღევანდელი შეხვედრაც იმის დასტურია, რომ ახალგაზრდობას კვლავ ძველებურად უყვარს პოეზია.

დისკუსია: „უნივერსიტეტის მომავალი“

„ჩემთვის სტუდენტი უმცროსი კოლეგა და პარტნიორია“, — განაცხადა „პირველების“ მიერ გამართულ შეხვედრაზე ჟურნალისტიკის დეპარტამენტის დირექტორმა დავით პაიჭაძემ. მან აღნიშნა, რომ განათლების სისტემაში რეფორმა თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს, რადგან სწრაფი ცვლილებები ამ სფეროში არც თუ ისე ხელსაყრელია, ამასთან — შეუძლებელიც.

სტუდენტთა თხოვნით, დავით პაიჭაძე შეეცადა განემარტა, თუ რა ეტაპები უნდა გაიაროს მომავლის უნივერსიტეტმა, პროცესები რომ სწორად წარიმართოს.

დავით პაიჭაძე:

— „უნივერსიტეტში უნდა დამკვიდრდეს სულ სხვა ურთიერთობა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის, ვიდრე ეს აქამდე იყო. ძალიან დიდი მენტალური ძვრებია საჭირო სტუდენტებთან დამოკიდებულების მხრივ. ცოდნის გადაცემის ახალი ფორმების ძიება სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. რიგ შემთხვევაში შესაძლოა, ტრადიციული ფორმები მოსაწყენი იყოს. არის საგნები და უნარები, რომელთა მიმართ განსხვავებული მიდგომაა საჭირო. სხვათაშორის, ეს მხოლოდ ლექტორის პრობლემა არ არის. სტუდენტი აქტიურადაა ჩაბმული სწავლების პროცესში და პარტნიორად გვევლინება. პროფესორ-მასწავლებლები მზად უნდა იყვნენ ღია კრიტიკის მოსასმენად. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ რამდენიმე ხანდაზმული პროფესორი გავათავისუფლე. ჩემს გადაწყვეტილებაში ეჭვი არ მეპარება, რადგან მათ ასაკის გამო არ დაუტოვებიათ უნივერსიტეტი. მათი ცოდნა აღარ შეესაბამებოდა თანამედროვე ჟურნალისტიკის მოთხოვნებს. თავისუფალი კონკურენციის პირობებში ჩართული სტუდენტები კარგად ერკვევიან, რა სჭირდებათ. ხშირად უწევთ არჩევანის გაკეთება, რაც დღევანდელი მოქალაქისათვის საჭირო თვისებების გააქტიურებას იწვევს. ამ ადამიანებს კარგად შეუძლიათ თავიანთი პოზიციის გამოხატვა. მე მზად ვარ, მოგისმინოთ და კონკრეტული პასუხები გაგცეთ თქვენთვის მტკივნეულ პრობლემებზე“.

— რას გვეტყვით შეფასების ახალი სისტემის შესახებ, რა ნაკლოვან მხარეებს ხედავთ მასში?

— მართალი გითხრათ, გამიჭირდება ნაკლოვან მხარეებზე საუბარი. მირჩევნია, ეს თქვენგან მოვისმინო. მე გირჩევდით, როდესაც გარკვეული ქულებით შეგაფასებენ, აუცილებლად მოითხოვოთ დასაბუთება. ზოგიერთი პედაგოგისათვის ნიშანი სამანიპულაციო საშუალებაა. სტუდენტობისას მეც მომიწია ერთ ლექტორთან შეხლა-შემოხლა. ვიცი, რომ ჯერ კიდევ არიან პედაგოგები, რომლებიც ნიშნით იმუქრებიან. ვალდებული ხართ, დაიცვათ თქვენი ღირსება. სტუდენტი და ლექტორი ერთმანეთისთვის პარტნიორიც უნდა იყოს და კონკურენტიც. ამაში ცუდი არაფერია. შეფასების ახალი სისტემა საშუალებას იძლევა შეივსოს ცოდნის გადაცემის ახალი ფორმები ურთიერთობის ახალი შინაარსით. მე ვერ ვხედავ ნაკლს, მაგრამ მინდა, რომ ცვლილებები უფრო ეფექტურად განხორციელდეს.

— სტუდენტისთვის მთავარ პრობლემად სახელმძღვანელოების ნაკლებობა რჩება, თქვენს ფაკულტეტზე როგორი მდგომარეობაა?

— წიგნები მიდევს კარადის თავზე, იატაკზე... გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ გამოყოფ ერთ ოთახს და წიგნებს იქ მოვათავსებ. ისე, ცნობისათვის, მთელი სტუდენტობა საჯარო ბიბლიოთეკაში მაქვს გატარებული. თუ გნებავთ, დემაგოგიაში ჩამომართვით, მაგრამ მაინც გეტყვით, სწავლა თუ გინდათ, წიგნსაც იშოვით.

სტუდენტური მოძრაობა „პირველების“ იუბილეს საზეიმო დახურვა თსუ პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები. იურიდიული ფაკულტეტის მეორეკურსელმა სტუდენტმა, „პირველების“ თავმჯდომარემ უჩა ძიმისტარაშვილმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მხარდაჭერისათვის, ასევე სპონსორებს ტურისტულ სააგენტო — „მოგზაურთა კლუბს“, კოკა-კოლას, PRINT-ს და PRO FOTO-ს ცენტრს.

სტუდენტები დალოცა ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სტეფანემ, რომელმაც ახალგაზრდობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევა გადასცა. „ახალგაზრდობის მთავარი პრობლემა არის თვითდამკვიდრება, ამ გზაზე ღვთის შეწევნით გევლოთ“, — უსურვა მათ მეუფემ.

გვერდი მოამზადა
ურთ ია ბერო ვილმა

საქართველო ქარის წისქვილებთან ბრძოლას თავს არიდებს

რა რისკთან არის დაკავშირებული ალტერნატიულ საწვავზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

პირველი გვერდიდან

აზე გავლენის დაბრუნება დიდ როლს ითამაშებს. რაც შეეხება ამერიკის ინტერესებს, პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ მას ორი გამოკვეთილი ინტერესი აქვს – ამერიკული ინვესტიციები რეგიონში და ირანის იზოლაცია. ამ ფონზე არსებობს ორი პოლიტიკური დაჯგუფება კავკასიაში: ირანისა და სომხეთის, რომელსაც მხარს უმაგრებს რუსეთი და საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთისა, რომელთაც აშკარად დასავლური ორიენტაცია აქვთ. მათ მხარს უჭერს ამერიკა.

მიუხედავად ნავთობის ასეთი მწვავე პოლიტიკისა, მეცნიერთა ნაწილი მაინც მშვიდად უყურებს ამ მოვლენებს და აცხადებს, რომ ენერგორესურსების მფლობელი ქვეყნების ჰეგემონობა მსოფლიო ბაზარზე მალე დასრულდება, რადგან XXI საუკუნის 50-იანი წლებიდან ნავთობისა და აირის გამოყენება მიაღწევს პიკს, რის შემდეგაც დადგება ქვანახშირის ერთპიროვნული ერა.

ქვეყნები ეძებენ ალტერნატიულ გზებს ენერგომოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად

უკანასკნელ ხანს კაცობრიობა ყოველწლიურად 350 ჰექსაჯოულზე მეტ ენერგიას იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ღონისძიების საფუძველზე (ავტომანქანის სიმძლავრის შემცირება, ყაირათიანი ძრავების კონსტრუირება და სხვა) ნავთობის ყოველწლიური მოხმარება მცირდება, მისი სხვა ალტერნატიული მატარებლებით შეცვლის აუცილებლობა მაინც რჩება მეცნიერებისა და სახელმწიფოთა ძირითად საზრუნავად. ასეთი წყაროების არსებობა ქვეყანას ათავისუფლებს სხვა ქვეყნის გავლენისაგან და საშუალებას აძლევს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით აწარმოოს. ცხადია, ეს არ არის უმტკივნეული პროცესი – ნავთობი ჯერ ისევ მყარად დგას მსოფლიო ბაზარზე და გარკვეული ძალების ინტერესებში შედის – დაიცალოს ხელი პროდუქტისაგან, რომელიც უახლოესი 50 წლის განმავლობაში ნელ-ნელა უსარგებლო გახდება. ამიტომ ალტერნატიული გზების ძიება ქვეყნისათვის გარკვეულ რისკთანაც არის დაკავშირებული. ამის დადასტურება გახლავთ ის, რომ 2006 წლის სექტემბერში ევროგაერთიანების კომისიამ გაფრთხილება მისცა ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოს (და ასევე ევროგაერთიანების სხვა ქვეყნებს), შეცვალონ ენერგიის მომხმარებლებისათვის არსებული კომპენსაციის პოლიტიკა. საქმე ისაა, რომ ამ, ქვეყნებმა იპოვეს ალტერნატიული ენერგიის წყარო, რომელიც ტრადიციულ ენერგიის წყაროზე გაცილებით იაფია.

კომისიამ ბრალი დასდო ლუქსემბურგს „ბაზრის დამახინჯებაში" და ევროგაერთიანების პოლიტიკის დარღვევაში.

მართალია, ამ გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგა ევროპის გარემოს დაცვის ბიურო, რომელმაც კომისიას აცნობა, რომ ეს გაფრთხილება მიმართულია ევროგაერთიანების ფუნდამენტური მიზნის, განახლებადობის განვითარების წახალისების საწინააღმდეგოდ და მათი დასჯა, ვინც შემოქმედებით გადაწყვეტილებებს იღებს, არასწორია („პირიქით, ჩვენ უნდა ვეცადოთ ალტერნატიული ენერგიის წყაროების განვითარებას", – განაცხადა ევროპის გარემოს დაცვის ბიუროს გენერალურმა მდივანმა ჯონ ჰონტელეზმა), მაგრამ თავად ფაქტი მიუთითებს, რომ მსოფლიო პოლიტიკა ენერგეტიკაში კერძო ინიციატივებს არავის პატიობს.

მიუხედავად ამისა, ალტერნატიული ენერგიის წყაროების ძიების საკითხი დღის წესრიგში მაინც დგას. ნავთობის სიძვირე და მისი კიდევ უფრო მზარდი ფასები ისეთ ქვეყანასაც კი უქმნის პრობლემას, როგორიცაა ავსტრალია. ბოლო დროს აშშ – ავსტრალიის კლიმატთან დაკავშირებული მოქმედებების ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში, ამერიკულმა კომპანია „სპეკტროლაბმა" თავის თავზე აიღო ავსტრალიის „მზის სისტემის" კომპანიის უზრუნველყოფა 500,000 მზის ელემენტით, რომელიც სამჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე ტიპიური მზის ელემენტი. მიწოდებულ ელემენტებს გამოიყენებენ მზის კონცენტრატორებში, რომლებიც ყოველწლიურად 26 გვტ.სთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ.

ანალოგიური სამუშაოები ჩატარდება მელბურნში, სადაც უპირატესობა მიანიჭეს ქარის ენერგიას. ქალაქის დასავლეთით შესაძლოა აშენდეს 380 მლნ აშშ დოლარის ღირებულების უდიდესი ქარის ელექტროსადგური, რომელიც 232 მეგავატი სიმძლავრისა იქნება და 130000 ბინისათვის სამყოფ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

ამგვარი ტენდენციები სხვაგანაც შეიმჩნევა. ქვეყნები ეძებენ ალტერნატიულ გზებს ენერგომოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ განვითარებადი და მით უფრო, სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყნებისთვის, მაგალითად, როგორიც საქართველოა, არც ეს პერსპექტივა ჩანს, რადგან ჯერჯერობით ალტერნატიული ენერგიის გამომუშავება ქვეყნისთვის ეკონომიკურად უფრო წამგებიანია, ვიდრე ნავთობის შესყიდვა. ეს უკანასკნელი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეულ პოლიტიკას ემსახურება. ამიტომ საქართველოსთვის ყოველი ზამთრის წინ დგება ქვეყნის საწვავითა და ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა.

რა გზები უნდა მოინახოს იმისთვის, რომ ქვეყანამ ენერგოკრიზისი აიცილოს თავიდან? როგორ უნდა მართოს საკუთარი რესურსები და რა ალტერნატივა უნდა მოიძებნოს ამ პრობლემის გადასაჭრელად? მეცნიერები ამ

მზის ავტომობილი

კითხვებზე განსხვავებულ პასუხებს იძლევიან. იკვეთება რამდენიმე მიმართულება, რომლითაც, მათი აზრით, საქართველომ უნდა გააგრძელოს მუშაობა: 1) გამოიყენოს საკუთარი მარაგი არა ბენზინის, არამედ ძვირადღირებული პროდუქციის საწარმოებლად; 2) მოახდინოს ნედლი ნავთობის შესყიდვა და გადამუშავება; 3) მონახოს ალტერნატიული ენერგიის წყაროები.

რა შეიძლება ჩაითვალოს ალტერნატიული ენერგიის წყაროებად?

სულ ცოტა ხნის წინათ ასეთად ითვლებოდა ატომური ენერგია, მაგრამ ის საშიში აღმოჩნდა, რაც დაადასტურა ჩერნობილის კატასტროფამ.

დღეს კარგ ალტერნატივად მიიჩნევენ მზისა და ქარის ენერგიებს, წყალბადის ენერგიას, ბიოენერგიას და ნახშირისაგან საწვავის მიღების ტექნოლოგიას. ეს მეთოდი ახალი არ არის, უბრალოდ, თავის დროზე კონკურენცია ვერ გაუწია ნავთობს.

რომელ მათგანს ან რა გზას ანიჭებენ ქართველი მეცნიერები უპირატესობას იმისთვის, რომ საქართველოს ენერგეტიკული მოთხოვნები დაკმაყოფილდეს?

საქართველოს აქვს ჯერ კიდევ გამოუყენებელი ენერგიის წყარო – წყალი

ირაკლი ედილაშვილი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

– საქართველო ნავთობის ქვეყანა არ არის. გარკვეულ პერიოდში აქაც მოიპოვებოდა წელიწადში 3 მილიონ ტონამდე ნავთობი და მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს. ამჟამად ეს მარაგი შემცირებულია – სადღაც 130 000 ტონის ფარგლებში თუ იქნება. ამიტომ ადგილობრივი ნავთობით ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფა არარეალურია.

ქართულ ნავთობს ერთი სიკეთე აქვს – ის უნიკალურია თავისი თვისებებით, რადგან მასში ნაკლები რაოდენობით არის გოგირდი. აკადემიკოს მელიქაძის იდეა იყო, რომ ქართული ნავთობი გამოგვეყენებინა ისეთი პროდუქტების მისაღებად, რომელსაც ფასიც მაღალი ექნებოდა და სახალხო მეურნეობისათვისაც გამოსაყენებელი იქნებოდა.

ამ ეტაპზე, საქნავთობის მონაცემებით, არსებობს ვარაუდი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის მარაგი დაახლოებით 580 მილიონ ტონამდე არის (ამ საქმეში ჩართულნი არიან უცხოელი ექსპერტებიც). ეს არც თუ მცირე მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ენერგომოხმარებისათვის წელიწადში 5 მილიონი ტონის გადამუშავება სრულიად საკმარისია (ყოფილ საბჭოთა კავშირში დაახლოებით ამ რაოდენობით ნავთობპროდუქტს ვიყენებდით).

1998 წელს სართიჭალაში, ამერიკელების ხელშეწყობით და თანამონაწილეობით გაიხსნა მინიქარხანა („გაორი"), სადაც ხდებოდა ქართული ნავთობების გადამუშავება შუალედურ პროდუქტებად – ბენზინის ფრაქციებად და დიზელის საკმაოდ მაღალხარისხოვან საწვავად. ქარხანამ ფუნქციონირება შეწყვიტა გააჩერეს 2002 წელს, რადგან, ჩემი აზრით, ინტერესთა გადაკვეთა მოხდა. დღეს ის რომ მუშაობდეს, კიდევ რაღაც გამოსავალს ვნახავდით. სხვა რომ არაფერი, მივიღებდით მაზუთს, რომელიც „გრესისათვის" გამოგვადგებოდა, მივიღებდით ჩვენი რეგიონისათვის გამოსაყენებელ დიზელის საწვავს, რომელიც, ნაწილობრივ მაინც, იმპორტირებულ დიზელს შეცვლიდა, ასევე მივიღებდით სხვა პროდუქტებს, რომელიც საწვავი არაა, მაგრამ საკმაოდ ძვირადღირებულია. ეს არის ნავთობური გამხსნელები, რომლებიც დღეს თურქეთიდან შემოდის, თავის დროზე კი ჩრდილოკავკასიიდან შემოდიოდა. ჩვენ ეს ტექნოლოგიები დამუშავებული და გადაცემულიც გვქონდა სართიჭალის ქარხნისათვის. მაშინ ტექნოლოგიური პროცედურის დასაწყებად პირველადი სამუშაოებიც ჩატარდა. ამით სახელმწიფო მოგებასაც მიიღებდა და ხალხიც დასაქმდებოდა.

ნავთობიდან მიღებული კიდევ ერთი პროდუქტი, მსუბუქი ბენზინი, რომელსაც ამუშავებდა სართიჭალის ქარხანა, საწვავად არ ვარგა, მაგრამ მისი გადამუშავებით შეიძლება მივიღოთ მაღალხარისხოვანი ბენზინები. ამ საკითხებს არაერთი მეცნიერული კვლევა და დისერტაცია მიეძღვნა.

ქართული ნავთობი არის პარაფინული ბუნების. ნავთობპროდუქტებში, განსაკუთრებით დიზელის საწვავში, შემავალი პარაფინური ნაერთები დაბალ ტემპერატურაზე გადადიან მყარ მდგომარეობაში (ხდება მათი გამოკრისტალება), რაც ხელს უშლის ზამთრის პირობებში საწვავის გამოყენებას. ჩვენს ლაბორატორიაში, სართიჭალის ქარხანასთან ერთად, შევიმუშავეთ რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა, მიგვეღო საკმაოდ მაღალი ხარისხის დიზელის საწვავი. ეს ყველაფერი – მეცნიერთა ნაშრომები, გამოთვლები, დღესაც ლაბორატორიებშია, მაგრამ ამით არავინ ინტერესდება. არადა, საქართველოში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები რომ მუშაობდეს, ჩვენ შევძლებდით ამ წამოწყების დასრულებას.

ალტერნატიული საწვავების რა მოგახსენოთ, მაგრამ იგივე ქარხნებში შეიძლებოდა ნავთის წარმოება.

ის, რომ საქართველოს მასშტაბით არც ერთი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა აღარ მუშაობს, ჩვენს ქვეყანას ძალზე ცუდ სამსახურს უწევს. ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყნებში ასე არ ხდება. თუმცა, აქვე იმასაც გეტყვით, რომ საქართველოს აქვს ჯერ კიდევ გამოუყენებელი ენერგიის წყარო – ჰიდრორესურსები. ჩვენი მთის მდინარეების გამოყენება ელექტროენერგიის მისაღებად – ეს არის ყველაზე კარგი გამოსავალი. ყველა მდინარეზე რომ დაიდგას თითო პატარა ჰესი, 3-4 სოფელს უზრუნველყოფს ელექტროენერგიით. ეს დიდად შეეხიდება ქვეყანას ენერგიით უზრუნველყოფის საქმეში.

მრავალპროფილიანი პატარა საწარმოები ენერგეტიკული რესურსების პრობლემას ნაწილობრივ გადაჭრიდა

ავთანდილ დოლიძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

– მე ვერ გავიზიარებ ბატონი ირაკლის ოპტიმიზმს ქართული ნავთობის მარაგების თაობაზე, რადგან ნახსენები ციფრი მხოლოდ ვარაუდია. დამტკიცებული მარაგი მხოლოდ 60 მილიონი ტონა ნედლი ნავთობი გახლავთ.

„გაორი", რომელსაც ბატონი ირაკლი ქარხანას უწოდებს, სინამდვილეში არის ერთი დანადგარი, რომელიც ექ-

სპლუატაციაში ნამყოფია, აწყობილია დიზელის მისაღებად, მაგრამ მასზე ქარხანას ვერ ვიტყვით, რადგან კომპლექსური არ არის – ამ დანადგარზე არ ხდებოდა ნაფტას გამოყოფა, და არც ნავთისა და ბენზინის ფრაქციების გადამუშავებაა შესაძლებელი. იმ ფონზე, როცა ნავთობის გადამუშავების სიღრმე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იყო 50 პროცენტი, აზერბაიჯანი ამუშავებს 60 პროცენტით, პეტერბურგის ახლადაგებული ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა – 75 პროცენტამდე, ხოლო აშშ-ში 85 პროცენტია ნავთობიდან სასარგებლო პროდუქტის მიღების წილი, ქარხანად მოხსენიება „გაორისა", რომელიც მხოლოდ ნავთობის რამდენიმე ფრაქციას იღებდა, არ არის სწორი. ზოგადად კი, ჩვენ რომ კარგი ტექნოლოგიები გვქონდეს, ანუ ნავთობიდან 75 პროცენტ სასარგებლო პროდუქტს მაინც ვიღებდეთ, ამდენი ნედლი ნავთობი არც დაგვჭირდება.

ყველა ნორმალური ქვეყანა ნედლ ნავთობს ყიდულობს და ამუშავებს. მაგალითად, ასე იქცევა – სლოვაკეთი, ბულგარეთი, უნგრეთი. იმიტომ, რომ ტოტალური იმპორტის პოლიტიკის დროს, როგორიც ჩვენთან არის, მოგება ერთი ერთზეა, მაშინ, როდესაც გადამუშავების დროს მოგება ერთი სამთან არის. ქვეყანას თუ სერიოზული წინსვლა სურს, უნდა ფლობდეს მინიმალურად აუცილებელი სიმძლავრის რამდენიმე გადამამუშავებელ ქარხანას მაინც, რადგან ნედლ ნავთობს ყიდულობენ მტკიცე ფასებით, შედარებით იაფად და სახელმწიფოს აქვს ნორმალური პოლიტიკის გატარების საშუალება. ნედლი ნავთობის გადამუშავებით ამზადებენ ორი-სამი ხარისხის ბენზინს, აქვთ ფასწარმოქმნის მექანიზმიც და ხაზინაშიც ფული შედის.

მე მგონია, რომ ჩვენი ხელისუფლება ჯერ არ არის მზად იმისათვის, რომ ძირეული რეორგანიზაცია ჩაატაროს ამ დარგში. სახელმწიფომ მტკიცე ხელით ჯერ ყველაფერი ბიუჯეტში უნდა შემოიტანოს და მერე გაანაწილოს. ეს ვერ ხერხდება და ამიტომ, როგორც მეცნიერმა, ჩავთვალე – სჯობს, ამ ეტაპზე სხვადასხვა საწვავის ეკოლოგიური სისუფთავის საკითხებზე ვიმუშაო – 4-5 წელია ქიმიურ ეკოლოგიაში დავიწყე მოღვაწეობა.

რაც შეეხება ალტერნატიულ საწვავს, ჩვენთან ძალიან ცუდი ნახშირებია. თხევადი საწვავის მისაღებად იყენებენ მურა ნახშირებს. ჩვენი მურა ნახშირები კი ხასიათდება 50%-იანი ნაცრიანობით. ის რომ ჭკუაზე მოიყვანო და გენერატორებმა მაღალ დონეზე იმუშაოს, ძალიან ძვირადღირებული დანადგარებია საჭირო. ასეთ დანადგარებს მარტო გერმანია აკეთებს. მათ მურა ნახშირები ბევრი აქვთ და დიდი გამოცდილებაც დააგროვეს..

ეს მეთოდი ძვირია იმიტომაც, რომ მთელ მსოფლიოში მურა ნახშირი ღია კარიერში დევს, ჩვენთან კი სიღრმეშია და მისი მოპოვებისთვის დიდი თანხაა საჭირო.

რაც შეეხება ბიოგაზს. აქაც ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს. საქართველო მთიანი ქვეყანაა და აქ ნაკელის ველზე გაშლის და გაშრობის პირობები ნაკლებია. აი, ინდოეთის ლატიფუნდიებში ნაკელი გროვდება, იღებენ ბიოგაზს და კატალიზური პროცესის შემდეგ საწვავს, რომელიც ბენზინსა და დიზელს შორისაა. ისინი ამ საწვავზე ამუშავებენ დენის გენერატორს. სხვათა შორის, ასეთ ალტერნატივაზე ძალიან ბევრი ქვეყანა მუშაობს.

ისე, საქართველოშიც არსებობს ექსპერიმენტული დანადგარები, რომლებიც მუშაობდნენ ნაკელზეც, მწვანე ნედლეულ მასაზეც და ა.შ., მაგრამ მასიურად არ გაიყიდა. ეტყობა, არ იყო რენტაბელური და იმიტომ.

ჩემი აზრით, ახალი ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო, ჩვენ უნდა გვქონდეს პატარა მრავალპროფილიანი საწარმო, დაახლოებით 500-600 ათასი ტონა ნედლი ნავთობის გადამუშავების წარმადობისა, რომელიც მეტ ეკონომიურ მოგებას იძლევა და ენერგეტიკული რესურსების პრობლემა ნაწილობრივ გადაიჭრება.

შევძლებთ თუ არა ქარისა და მზის ენერგიის ათვისებას?

ტარიელ ბახია, უნივერსიტეტის სამეცნიერო განყოფილების გამგე:

– მეცნიერებისათვის კარგა ხანია ცნობილია ნახშირისაგან თხევადი საწვავის მიღების ტექნოლოგია. ახლახან კი ამერიკაში შეიმუშავეს მეთოდი, რომლითაც პირდაპირ ნახშირის შახტებში იღებენ ბუნებრივ აირს და ამას მიიჩნევენ ალტერნატიულ გზად.

იმის გამო, რომ ჯერჯერობით საქართველოსთვის ეს ტექნოლოგია ძვირადღირებული და მიუწვდომელია, მაინც სჯობს, მეტი ყურადღება გამახვილდეს ცნობილ მეთოდებზე. მაგალითად, ქარის ენერგიის გამოყენებაზე. ენერგიის ეს წყარო ევროპაში კარგად არის ფეხმოკიდებული – საფრანგეთსა და გერმანიაში, სადაც დიდი სივრცეებია და შესაბამისად, ჰაერის მოძრაობა მუდმივია, ქარის გენერატორებია ჩართული. ჩვენთან, რატომღაც, ამას გავურბივართ. არადა, აქ არის ასეთი გამჭოლი ადგილები – მაგალითად, ვაზიანის მხარე, ფარავნის ტბის მიდამოები, სადაც ძლიერი და მუდმივი ქარი ქრის, ასევე ზღვისპირეთი – აქ ნებისმიერ დროს უბერავს ქარი და მისი გამოყენება შესაძლებელია.

არის კიდევ ერთი ალტერნატიული წყარო – მზის ენერგია. ამ ზაფხულს ფრაიბურგში გახლდით. სახლების სახურავები და აივნის კედლები დაფარულია მზის ბატარეებით. აქედან გამომუშავებული ენერგიით თბება წყალი, სახლი, ბატარეა ანათებს რამდენიმე ნათურას, ამუშავებს ტელევიზორს... თუ შენ ასეთ ენერგიას იყენებ, ეს ძალიან დიდი შეღავათია სახელმწიფოსათვის.

ახლა იმის თაობაზეც, თუ რამდენად ძვირადღირებულია ეს ენერგია.

შემიძლია გითხრათ, რომ არ არის ძვირი. მით უფრო, რომ ეს ბატარეები მზადდება ნახევარგამტარებზე. ორგვარი მასალა არსებობს – სილიციუმისა და გალიარსენიკუმისა. განსხვავება იმაშია, რომ მსოფლიოში მიღებულია უფრო სილიციუმზე დამზადებული ფოტომიმღებები. ამ სისტემის შინ მოტანა და დამონტაჟება 800-1000 დოლარი ღირს.

არის კიდევ გალიარსენიკუმზე დამზადებული მოწყობილობა, რომელიც განსხვავდება სილიციუმზე დამზადებული მოწყობილობისაგან. თუ სილიციუმზე მარგი ქმედების კოეფიციენტი არის 12%, გალიარსენიკუმზე – 24%-ია. თავად გალიარსენიკუმი, როგორც მასალა, ძვირია, მაგრამ ჩვენთან ამის

ეე-9 გვერდზე

ბრძანება№625

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გულნაზი გალდავას ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის I პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 23-ე და 24-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „თ“ და „შ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 22 ნოემბრის სხდომის ოქმისა და თსუ-ს საარჩევნო კომისიის 22 ნოემბრის ოქმის გათვალისწინებით, 2006 წლის 22 ნოემბერს ქალბატონი გულნაზი გალდავას 4 წლის ვადით თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დამტკიცებასთან დაკავშირებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა), უნივერსიტეტების ფაკულტეტებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მომდინარე საფინანსო-ეკონომიკური შინაარსის, პერსონალის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის კანცელარიაში წარმოდგენილი ყველა სხვა დოკუმენტაციის მიმართვა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისადმი.

2. დაევალოს საფინანსო სამსახურს (მ. ცარციძე) უზრუნველყოს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების რეალიზაციისთვის საჭირო ღონისძიებების (მათ შორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირადი ხემოწერის შესაბამის უწყებებში დაფიქსირება) აღსრულება.

3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებამდე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელფასი განისაზღვროს თვეში: 723 ლარით, აქედან 273 საბიუჯეტო შემოსავლებიდან, ხოლო 450 ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე გულნაზი გალდავას დანიშვნის შესახებ“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 17 ნოემბრის ბრძანება №01-02/617.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ და განთავსდეს თსუ-ს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი პროფესორი
გიორგი ხუბუა

24.11.2006

ბრძანება№292

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების დირექტორებისათვის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე საკონკურსო კომისიის შექმნის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების დირექტორებს (გ. ნადირაშვილი, მ. პაპაშვილი, ზ. შარაძე) მიენიჭოთ შესაბამის ფილიალებში არსებულ ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე საკონკურსო კომისიის შექმნის უფლებამოსილება.

2. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა), დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა ფილიალების დირექტორებისათვის.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ და განთავსდეს თსუ-ს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი პროფესორი
გიორგი ხუბუა

01.12.06

ბრძანება№294

თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 15 სექტემბრის №01-01/223 ბრძანებაში „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006-2007 სასწავლო წლის შემოდგომის სემსტრში სტუდენტთა რეგისტრაციისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473-ე ბრძანებულების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მე-2 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 1 დეკემბრის №01-01/293 ბრძანების „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გულნაზი გალდავასათვის დროებით რექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ შესაბამისად დოქტორანტთა რეგისტრაციის შემდგომი რეგულაციისა და რეგისტრაციის ვადის გაგრძელების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატებები თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 15 სექტემბრის №01-01/223 ბრძანებაში „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006-2007 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა რეგისტრაციისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“;

ა) ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაგრძელდეს რეგისტრაციის ვადა 2006-2007 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში 30 ოქტომბრიდან: მაგისტრანტებისათვის 20 ნოემბრამდე, ხოლო დოქტორანტებისათვის – 8 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღე, შაბათის და კვირის გარდა, 10^{00}დან 18^{00} სთ-მდე“;

ბ)მე-12.4 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„13. თსუ-ის დოქტორანტურაში სასწავლო სემესტრებისათვის დადგინდეს ვადები:

შემოდგომის სემესტრი – 1 ოქტომბრიდან 28 თებერვლის ჩათვლით;

გაზაფხულის სემესტრი – 1 მარტიდან 31 ივლისის ჩათვლით;

14. 2006-2007 სასწავლო წლის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში შემოდგომის სემესტრი განისაზღვროს 1 დეკემბრიდან 30 აპრილამდე, ხოლო გაზაფხულისა – 1 მაისიდან 30 სექტემბრამდე;

15. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანის მოვალეობის შემსრულებლებს (რ. ბოჭორიშვილი, დ.თვალთვაძე, ი. სალუქვაძე, ა. ცომაია, დ.კერესელიძე, ა. ცისკარიძე) და სადისერტაციო საბჭოებს დოქტორანტურის გეგმიური საქმიანობა (მიღება, სასემინარო თემების და სადისერტაციო ნაშრომების დაცვები და ა.შ.) განახორციელონ დადგენილ ვადებში“;

გ) ბრძანების მე-13 და მე-14 პუნქტები გადაინომროს შესაბამისად;

2. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურს;

3. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“, განთავსდეს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინოებისათვის;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი,
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
გულნაზი გალდავა

01.12.2006 წ.

ბრძანება№298

„ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის (ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის) შენობის აგების 100 წლის იუბილეების აღნიშვნის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 7 ივლისის N137 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „შ“ და „ძ“ ქვეპუნქტებისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 1 დეკემბრის N01-01/293 ბრძანების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის (ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის) შენობის აგების 100 წლის იუბილეების აღნიშვნის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 7 ივლისის N137 ბრძანებაში და მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. შეიქმნას საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა. ხუბუა გიორგი – რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ.გალდავა გულნაზი – ადმინისტრაციის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ. სალუქვაძე იოსები – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;

დ. გაიპარაშვილი ზურაბი – სამუზეუმო სამსახურის უფროსი, კომისიის მდივანი;

ე. სანაძე სერგო – მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

ვ. ებანოიძე ლალი – იურიდიული სამსახურის უფროსი;

ზ. კერესელიძე დავითი – იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;

თ. ცერცვაძე მურმანი – საფინანსო სამსახურის უფროსი;

ი. ბოჭორიშვილი რამაზი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;

კ. ცომაია აკაკი – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;

ლ. თვალთვაძე დარეჯანი – ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;

მ. ცისკარიძე ალექსანდრე – მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;

ნ. ცქიტიშვილი ალექსანდრე – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;

ო. კალანდაძე იაგორი – ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

პ. ოვსიანიკოვა ნუნუ – საერთო განყოფილების უფროსი;

ჟ. წიკლაური ნუგზარი – გამომცემლობის დირექტორი;

რ. ყურაშვილი ბიჭიკო – კულტურის ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი;

ს. კაკულია ნინო – გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ კონსულტანტი.“

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი,
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
გულნაზი გალდავა

06.12.2006 წ.

რეფორმები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

სამაგისტრო პროგრამა

გვესაუბრა თსუ-ს ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საგანმანათლებლო პროგრამის, „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი
თემურ შენგელია

მიმდინარე სასწავლო წელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სერიოზული რეფორმებით დაიწყო.

ჩამოყალიბდა ორი პროგრამული მიმართულება "ბიზნესის ადმინისტრირება“ და „ეკონომიკა“. შესაბამისად კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხები. „ბიზნესის ადმინისტრირების“ დარგში გამოიყო რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა: „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“ (ხელმძღვანელი ლ. ჩაგელიშვილი), ,,ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა'' (ხელმძღვანელი თ. შენგელია), „ფინანსები და საბანკო საქმე“ (ხელმძღვანელი ი. კოვზანაძე), „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“ (ხელმძღვანელი ე. ხარაბაძე), „მარკეტინგი“ (ხელმძღვანელი ნ. თოდუა), „საგადასახადო და საბაჟო საქმე“ (ხელმძღვანელი მ. ჩიკვილაძე) „ინფორმატიკა“ (ხელმძღვანელი მ.მაღრაძე).

ევროპული და ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამის გამოცდილების საფუძველზე შეიცვალა სწავლების მეთოდიკა და მეთოდოლოგია. მოხდა სასწავლო გეგმების უნივერსალიზაცია ბაკალავრიატის (BBA) და მაგისტარტურის (MBA) დონეზე.

როგორ და სად შეიქმნა „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამები?

1902 წელს Dartmouth collegში აშშ-ი MCS (Master of Comercial Science)-ის სასწავლო კურსის გავლის შემდეგ შვიდმა სტუდენტმა მიიღო ბიზნეს-განათლების დიპლომები. ასე ჩაეყარა საფუძველი XX საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოში პირველად, ბიზნეს-განათლებას. ამიტომ ბიზნეს-განათლების სამშობლოდ მიჩნეულია აშშ-ის შტატი ნიუ-ჰეიმფშირი. ამჟამად მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბიზნესის სკოლებში მიმდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების მიხედვით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სწავლება (BBA, MBA, DBA).

ვის შეუძლია გახდეს MBA-ს პროგრამის მსმენელი?

MBA პროგრამები გათვალისწინებულია მათთვის, ვინც დაასრულა სწავლება ბაკალავრიატში, ან იმ მენეჯერებისათვის, რომლებმაც გადაწყვიტეს სწავლის გაღრმავება კონკრეტული სპეციალიზაციის სფეროში, ასევე ე.წ. Career Changers -ის პირებისათვის, რომელთაც სურთ შეიცვალონ პროფესია (მაგალითად, მარკეტინგიდან გადავიდნენ ფინანსურ მენეჯმენტში).

როგორია MBA პროგრამები?

MBA პროგრამები შეიძლება იყოს ზოგადი (general) ან სპეციალიზებული. მაგალთიად: MBA – ფინანსები, MBA – საერთაშორისო ბიზნესი, MBA – მარკეტინგი, MBA – ტურიზმი და სხვა.

MBA პროგრამები სწავლების ფორმით შეიძლება იყოს: დასწრებული (Full-time) საღამო (Part-time) ან ერთდროულად ამ ორი ფორმის შეთანწყობით: (დასწრებულ-დაუსწრებელი) modular executive. ამ პროგრამების რეალიზებისას მსმენელები გადიან ინტერნეტ-სწავლებას და სტაციონარულად უნივერსიტეტებში აბარებენ მხოლოდ გამოცდებს.

მოქმედების დროის მიხედვით ეს პროგრამები შეიძლება იყოს: ერთწლიანი, წელიწადნახევრიანი, ორწლიანი.

რას იძლევა MBA პროგრამებით სწავლება და რით განსხვავდება იგი სხვა პროგრამებისაგან?

MBA პროგრამებით სწავლება იძლევა შესაძლებლობას, მივიღოთ სრული სპექტრით სპეციალიზებული ცოდნა (ბაკალავრიატში-ზოგადი კურსი, მაგისტრატურაში-მხოლოდ ძირითადი სპეციალობის ირგვლივ მიღებული ცოდნა), დავადგინოთ ის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს ბიზნესის სხვადახსვა ელემენტს შორის, ანუ MBA-ის პროგრამებით ისწავლება არა განყენებული ეკონომიკური დისციპლინები, არამედ განისაზღვრება მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

MBA განსხვავებულია თეორიულ სეგმენტზე ორიენტირებული ვიწრო სპეციალიზაციების პროგრამებისაგან. ასეთია MS (Master of Science) ან MA (Master of Arts). MBA-ს პროგრამებში აქცენტი გადატანილია პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე, სტანდარტული სიტუაციების ანალიზზე, შემდგომ მათ გამოყენებაზე ბიზნესის სფეროში.

არის თუ არა განსხვავება სწავლების მეთოდიკაში?

MBA-ს პროგრამებში გამოიყენება სწავლების სტანდარტული მეთოდები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული) და, ამის გარდა, ე.წ აქტიური მეთოდები (case-studies). საუკეთესო ბიზნესის სკოლები ბოლო წლებში იყენებენ კიდევ ახალ ე.წ. soft skills მეთოდს, რომელშიც შედის ლიდერის თვისებები, გუნდური მუშაობა, ბიზნესის ეთიკური ნორმების დაცვა და სხვა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაკალავრო ნაშრომის და სამაგისტრო დისერტაციის დაცვას. სამაგისტრო დისერტაცია ასახავს მსმენელთა კომუნიკაბელურობას, მათი ერთობლივი საქმიანობის წარმართვის უნარს, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესში. სამაგისტრო დისერტაციას ასრულებს და იცავს 3-4 მაგისტრი. ამ ნაშრომში ასახულია ერთობლივი გამოკვლევის შედეგები. თითოეული მაგისტრი ახდენს მის მიერ შესრულებული სამუშაო ნაწილის პრეზენტაციას. მაგალითად, ერთი მაგისტრი იკვლევს პროექტის ფინანსურ, მეორე – საკადრო, მესამე – მარკეტინგულ მხარეებს, მეოთხე – პროექტის განვითარების სტრატეგიას.

რიგი ბიზნეს-სკოლები ღებულობენ შეკვეთებს კონკრეტულ ბიზნეს-პროექტებზე, ამუშავებენ მათ, მართავენ პრეზენტაციებს და ახდენენ რეალიზაციას.

რაში მდგომარეობს case – study მეთოდი?

ეს მეთოდი პირველად 1924 წელს ჰარვარდის ბიზნეს-სკოლამ გამოიყენა. დღეს იგი მენეჯერების მომზადების ყველაზე პოპულარული მეთოდია, რომელიც გამოიყენება აშშ-ის და ევროპის ქვეყნებში და სასწავლო-აუდიტორული ფონდის 30-40% ეთმობა.

ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა თეორიული ცოდნა შევავსოთ პრაქტიკული გამოცდილებით. მსმენელები ეცნობიან ბიზნესში არსებულ სირთულეებს და სწავლობენ მათი დაძლევის კონკრეტულ გზებს. მაგალითად, ერთერთმა კომპანიამ გადაწყვიტა კეისების კონკრეტული პრობლემა, რომლის მეშვეობით მსმენელი იღებს მზა რეცეპტს, თავისი მომავალი საქმიანობისათვის. დასავლეთის რიგ ქვეყნებში კომპანიები თანამშრომლებს სამუშაოდ ღებულობენ კეისებზე ტესტირების მეშვეობით.

საუნივერსიტეტო ინდუსტრიისათვის ეს მეთოდი მატერიალური თვალსაზრისითაც მომგებიანია, მაგალითად, ჰარვარდში, დარლენში, კეისის 1 ეგზემპლიარი ღირს 10 დოლარი. ეს სასწავლებელი დაახლოებით 700-მდე კეისს აწარმოებს წელიწადში.

სად შეიძლება შევიძინოთ კეისები?

არის სპეციალიზებული ორგანიზაცია European Case Clearing Houce, რომელიც ეწევა კეისების – რეალიზაციას. გარდა ამისა, კეისებს ყიდიან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიც.

თბილისის სახელმწიფო უნვიერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება დამოუკიდებლად ამუშავებს კეისებს. იმფორმაციის მოპოვება მიმდინარეობს საქართველოში მოქმედ კომპანიებში. ამ მეთოდს ეწოდება (field mesearch) და გულისხმობს ობიექტზე სპეციალური გამოკვლევის წარმოებას. არის მესამე გზაც, რომლის მიხედვით ხდება საზღვარგარეთ კეისების მოპოვება და თარგმნა, ეს სამუშაო რეალურად მიმდინარეობს კიდევაც.

როგორია სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და სტრუქტურა?

აქ მნიშვნელოვანია: 1. მეცადინეობის ფორმა, ლექციის, სემინარის, კომპიუტერული საქმიანი თამაშების სახით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესში საქმიანი პრაქტიკიდან სიტუაციის გარჩევას (ანალიზს) (case study), ერთობლივი პროექტის მომზადებასა და პრეზენტაციას (team worh), თხზულების დაწერას (essay). აქცენტი გადატანილია სტუდენტის დამოუკიდებელ სამუშაოზე. რაზეც 1,5-ჯერ მეტი დრო მოდის, ვიდრე აუდიტორულ მეცადინეობებზე.

2. სასწავლო პროცესის ორგანიზაციისას არსებითია ცოდნის კონტროლის და შეფასების სისტემა. აქ ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს შუალედური და საბოლოო (ფინალური) გამოცდები (midterms da finals). შეფასების პროცესში ქულები ნაწილდება შემდეგი სახით:

A ფრიადი 90-100
B კარგი 75-89
C დამაკმ. 60-74
D საშუალო 50-59
F არადამაკმ. 59 და ქვემოთ.

შუალედური კონტროლი მოიცავს 1) ამოცანებს და ტესტებს. მაგალითად, რამდენიმე ვარიანტიდან სწორის შერჩევას (multiple choice), გამოტოვებული ადგილების შევსებას (fill the Blanks), რომელიმე მტკიცებულების სიყალბის ან გულახდილობის შეფასებას (truth of false). ყველა გამოცდა MBA-ს სისტემაში არის წერითი.

არსებითი მნიშვნელობა სასწავლო პროცესის ორგანიზაციის პროცესში გააჩნია სტუდენტთა კომუნიკაციური თვისებების განვითარებას. აქ შედის როგორც სპეციალური საგნები, ასევე რეზიუმეს დაწერა, სპეციალური ტესტები GMAT და WST (წერითი ხელოვნება).

არსებითი ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესის ორგანიზაციის პროცესში სტუდენტთა კომუნიკაციური თვისებების განვითარებას.

BBA დონეზე სასწავლო გეგმა ყველა სპეციალიზაციისათვის ზოგადია, ის მოიცავს:

1) ბიზნესის გარემოს შემსწავლელ კურსებს (ეკონომიკის პრინციპებს, სამეწარმეო სამართალს, ბიზნესის ეთიკას და სხვა).

2) ბიზნესის მეცნიერულ საფუძვლებს (ფინანსურ მენეჯმენტს, ფინანსურ აღრიცხვას, ბიზნესის სტატისტიკას და სხვა).

3) საბაზო კურსებს (მარკეტინგს, მენეჯმენტს, პერსონალის მართვას და სხვა.).

4) სპეციალიზაციას და სპეციალურ დისციპლინებს ცალკეული მიმართულებების მიხედვით.

სტუდენტს უკვე მეორე კურსიდან ეძლევა შესაძლებლობა განსაზღვროს სპეციალობის პროფილი და თავისი შემდგომი ვიწრო სპეციალიზაცია, რომელიც კონკრეტდება მაგისტრატურაში.

რით განსხვავდება BBA და MBA პროგრამები?

აშშ-ის და ევროპის ბიზნეს სკოლებში მაგისტრატურა არ წარმოადგენს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის მექანიკურ გაგრძელებას, ე.წ. სწავლების მეორე საფეხურს. მაგისტრატურა არის ცოდნის მიზნობრივი გაგრძელება, ანუ ბაკალავრიატში მიღებული ცოდნა საკმარსია ბიზნესის სფეროში შრომითი საქმიანობის დაწყებისათვის, მაგრამ დაწყებისათვის და არა გაგრძელებისათვის. გაგრძელებისათვის უნდა მოხდეს ვიწრო სპეციალიზებული MBA სამაგისტრო კურსის შესწავლა. ამიტომაც არის, რომ ამ ქვეყნებში MBA-ს კურსების მსმენელთა საშუალო ასაკი 26-დან 29 წლამდე მერყეობს.

როგორია მსოფლიოს MBA ტიპის მაგისტრატურაში მიღების წესები?

მაგისტრატურაში მიღება მოიცავს რამდენიმე ეტაპს. ესენია:

1. სპეციალური ტესტის GMAT ჩაბარება.

2. ესეების დაწერა (აქ მსმენელი წარმოაჩენს აზრის გადმოცემას და წერის მაღალ კულტურას, ასაბუთებს თავისი პიროვნების განუმეორებელ თვისებებს, MBA-ს შესწავლის აუცილებლობას მისი პრაქტიკული საქმიანობისათვის).

3. რეკომენდაცია (ამასთან იკრძალება ბაკალავრიატის ლექტორების მიერ რეკომენდაციის გაცემა).

4. ინტერვიუ (აქ კომისიის წევრებთან პირად საუბარში იხსნება მსმენელის soft-shills).

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი MBA-ს საუნივერსიტეტო პროგრამებისთვის?

ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნვიერსიტეტი ამზადებს საქართველოს და არა მსოფლიოს დონის ეკონომისტებს, რის გამოც მათი დასაქმების არეალი იზღუდება. MBA-ს პროგრამების დანერგვა და მათი აკრედიტაცია შესაძლებლობას იძლევა, გავიდეთ მსოფლიოს მასშტაბებზე. თუმცა ამისათვის რთული გზაა გასავლელი. მნიშვნელოვანია, რომ უნვიერსიტეტმა დაიწყო ამ პროგრამებზე გადასვლის პროცესი, მეორე ეტაპი იქნება აკრედიტაცია.

როგორია MBA პროგრამების აკრედიტაციის მექანიზმი?

ევროპაში არსებობს, რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც ახდენს MBA-ს საუნივერსიტეტო პროგრამების აკრედიტაციას. ესენია:

1. AMBA (Association of MBA) დიდი ბრიტანეთის აკრედიტაციის ორგანიზაცია.

2. EQVIS (European Qulity Fmprovement sistem) სააკრედიტაციო ორგანიზაცია ბრიუსელში.

3. ECBE (European Counsil of Busness Education), რომლის შტაბ-ბინაა ბრიუსელში.

ცნობილია ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი გიორგი ხუბუა ამ მიმართულებით აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს ნიუ-იორკისა და სხვა უნივერსიტეტებთან.

როგორია აკრედიტაციის მექანიზმი?

სააკრედიტაციო კომისია სწავლობს საკითხებს:

1. BBA, MBA, DBA პროგრამების შეფასება სტუდენტების თანამშრომლების და ადმინისტრაცის მიერ.

2. პროგრამების შეფასება მააკრედიტებელი ორგანიზაციის მიერ.

3. პროგრამების შედარება ECBE -ს სტანდარტებთან.

როგორია MBA-ს საუნივერსიტეტო პროგრამების პერსპექტივები?

MBA-ს პროგრამების მიხედვით ბიზნეს-სკოლები არსებობენ უნივერსიტეტებში ან ცალკე სუბიექტების სახით. მაგალითად აშშ-ი, ჩიკაგოს უნივერსიტეტი ითვლება საუკეთესოდ ბუღალტერიასა და ფინანსებში, ბაბსონ კოლეჯი – მარკეტინგსა და მეწარმეობაში, პენსილვანიის უნივერსიტეტი ფინანსებში და სხვა.

არც თუ ისე შორია ის დრო, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზეც შეიქმნება სპეციალიზებული ბიზნეს-სკოლები, რომლებიც მოამზადებენ მსოფლიო დონის ვიწრო სპეციალიზაციის სპეციალისტებს.

საქართველო ქარის წისქვილებთან ბრძოლას თავს არიდებს

რა რისკთან არის დაკავშირებული ალტერნატიულ საწვავზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

ვეფხვსა გვირდიდან

პრობლემა არ არის, რადგან მისი დამზადებისთვის აუცილებელი დარიშხანი უხვად მოგვეპოვება.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ენერგიების გამოყენებას ხელშეწყობა უნდა. ამ ეტაპზე ალტერნატიული ენერგიის მიღების მეთოდები დამკვიდრებული არ არის, თუმცა ქართველი მეცნიერები მუშაობენ მის სრულყოფაზე და საკმაოდ საინტერესო შედეგები აქვთ.

„მოიღეს შეშაი და თივაი და ნაფთი...”

შოთა სიდამონიძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— მურა ნახშირიდან თხევადი საწვავის მიღების ტექნოლოგია ახალი არ არის. ის ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაამუშავეს გერმანელმა მეცნიერებმა ფიშერმა და ტროპშმა.

ნიურნბერგის საერთაშორისო სასამართლოზე ცნობილი გახდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ჰიტლერმა „ფარბენინდუსტრიის“ მესვეურთაგან მოითხოვა პასუხი კითხვაზე: „შეუძლიათ თუ არა მათ ახლო მომავალში სინთეზური საწვავითა და სინთეზური კაუჩუკით ქვეყნის უზრუნველყოფა?“ პასუხი დადებითი იყო. მეორე მსოფლიო ომში გერმანია თხევად საწვავზე (მაგალითად, საავიაციო ბენზინზე) მოთხოვნებს ძირითადად სინთეზური საწვავით იკმაყოფილებდა.

ქვანახშირიდან თხევადი საწვავის მიღების პერსპექტიულობაზე მიანიშნებს ქვანახშირის დაზვერილი მარაგი, რომელიც 50-ჯერ მეტია ნავთობრესურსებზე და სხვადასხვა კონტინენტზე თითქმის თანაბრადაა განაწილებული.

დღეისათვის შეიძლება დავასახელოთ ერთი სახელმწიფო — სამხრეთ აფრიკა, რომელიც მოთხოვნილებებს თხევად საწვავზე და საცხებ მასალებზე სავსებით იკმაყოფილებს მურა ნახშირიდან მიღებული სინთეზური საწვავი პროდუქტებით. მათ დახმარება გერმანელებმა გაუწიეს. იქ 1955-81-84 წლებში ააშენეს სამი ქალაქი-ქარხანა (სასოლბურგი), რომელიც ყოველწლიურად 4,5 მლნ. ტონა თხევად საწვავს (ძირითადად ბენზინს) აწარმოებს.

გასათვალისწინებელია, რომ ნავთობიდან ძრავის საწვავის მიღება ძვირდება, სინთეზური საწვავის ტექნოლოგია კი სულ უფრო ხელმისაწვდომი და იაფი ხდება.

ქართველი ხალხი თხევად საწვავს უძველესი დროიდან იყენებს. გაგახსენებთ იოანე საბანისძის ნაწარმოებს „ჰაბოს წამება“, რომელშიც ნავთი მოიხსენიება, როგორც ყოველდღიური საწვავი: („მოიღეს შეშაÍ და თივაÍ და ნაფთი და დაასხეს გვამსა მას ზედა წმიდისა და დააგზნეს ცეცხლი“).

ნავთისა და ნავთობპროდუქტების გამოყენებაზე მიუთითებდა ცნობილი ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური მარკო პოლოც, რომელიც თავის მოგზაურობის აღწერაში აღნიშნავს: „საქართველოს სამხრეთ საზღვარზე ზეთი, ნავთობი ძალიან ბევრია, მისი ჭამა არ შეიძლება, მაგრამ საწვავად და სამკურნალოდ მთელი ქვეყანა იყენებს და მის წასაღებად შორეთიდან მოდიან.“

რაც შეეხება მურა ნახშირიდან თხევადი საწვავის მიღებას, ჩვენი ქვეყნისთვის ეს მეთოდი ძალზე მომგებიანი და ხელმისწვდომია.

საქართველოში ქვანახშირის ბალანსური მარაგი 443 მილიონი ტონაა, პროგნოზული კი — 745 მილიონი ტონა. ჩვენ შესწავლილი გვაქვს ქართული ქვანახშირი, რომელიც ხარისხიანია თხევადი საწვავის მისაღებად. რაც შეეხება ქიმიურ პროდუქტებს და ნახევარპროდუქტებს, ამ კუთხით გერმანიისა და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებთან შედარებით, უპირატესობა გააჩნია ახალციხის, შაორის, ტყიბულის ნახშირს, რადგან მასში გოგირდი მცირე რაოდენობით არის. როცა ქვანახშირი იწვება, უნდა მიიღო CO. თუ მასში გოგირდია, SO_2 გამოიყოფა, რისგან გასუფთავებაც საკმაო ხარჯებთან არის დაკავშირებული. თანაც ამ პროცესის დროს SO_2 ჰაერში ადის და იქიდან წვიმის სახით გოგირდმჟავა მოდის (თქვენ რომ გგონიათ, თბილისში გაზაფხულზე ჟუჟუნა წვიმააო, სინამდვილეში განზავებული მჟავებია, რადგან გამონაბოლქვიდან გამოყოფილი SO_2 და აზოტის ოქსიდები ადის ჰაერში, იხსნება წყალში და მოდის წვიმის სახით). კიდევ ვიმეორებ, ჩვენს ნახშირებს აქვთ კარგი თვისება — მასში გოგირდის შემცველობა დაბალია. ამ თვალსაზრისით, უფრო მომგებიან პოზიციებზე ვართ, ვიდრე სამხრეთ აფრიკა.

ვერ დავეთანხმები ჩემს კოლეგებს, რომ ქართული ქვანახშირი ნაცრიანობის გამო არ ვარგა. ნაცარი რა არის? ეს არის დაწვის შემდეგ მიღებული მაგნიუმი და კალციუმი, რასაც გამოყენება უნდა. იცით, რომ სულ სამი სახის სასუქი არსებობს — კალიუმის, აზოტის და ფოსფორის. ნაცრიდან ვიღებთ კალიუმს, მასზე კარგი სასუქი არ არსებობს. მისი გამოუყენებლობის შემთხვევაში კალიუმის სასუქები იყრება. არადა, ამ პროდუქტს ნაცრიდან ამოღება უნდა, რასაც აკეთებს სამხრეთ აფრიკა. თუ გადაყარე... ცხადია, წამგებიანია... გამოუყენებელი პროდუქტი რა არის? ის პროდუქტი, რომელსაც თავის ადგილს ვერ მოუძებნი. ამ საკითხში ტექნოლოგებს ჭკუით ბევრად სჯობს ჩვეულებრივი გლეხი. აი, წალკის რაიონში მზესუმზირა ხომ არ ხარობს, მაინც თესავენ, რადგან მის ღერში ბევრი კალიუმია. მას ახმობენ, წვავენ და კარტოფილის სასუქად იყენებენ.

ამიტომ ამ ყველაფერს კომპლექსური მიდგომა საჭირდება, მაგრამ ჩვენი ბიზნესმენები ამ საქმეში კაპიტალდაბანდებას ერიდებიან გასაგები მიზეზების გამო — არ არის საამისო ნება და საჭიროა მოცდა, თორემ თავის დროზე რომ ამ საქმეში ჩადებულიყო კაპიტალდაბანდება, ჩვენ არც გაზი გვექნებოდა სამათხოვრო, არც ბენზინი და არავიზე დამოკიდებული არ ვიქნებოდით. ახლა ყოველთვის ვიღაცაზე დამოკიდებული ვართ, რადგან საკუთარი ენერგიის წყაროები არ გაგვაჩნია, თანაც ფასები იზრდება — ჩვენ მას ვყიდულობთ გადამყიდველის ხელიდან, რაც გაცილებით ძვირი ჯდება. ელემენტარული გათვლაა, რომ, რომელ ქვეყანასაც არ აქვს თავისი ნავთობი, მის შესყიდვაზე ხარჯავს ექსპორტის გზით მიღებული სავალუტო შემოსავლის 40-დან 100 პროცენტამდე.

როგორ უნდა მიიღო ნახშირისგან თხევადი საწვავი?

ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მყარი სათბობიდან (ქვანახშირი, მურა ნახშირი, საწვავი ფიქალი) თხევადი საწვავის მიღების ფიშერ-ტროპშის პროცესი ორ ძირითად საფეხურს მოიცავს: 1) მყარი საწვავის გაზიფიკაცია; 2) ნახშირბადის მონოოქსიდიდან და წყალბადის ნარევიდან თხევადი საწვავის მიღება. ნახშირმა უნდა განიცადოს არასრული წვა და უნდა გამოიყოს CO. ამას დაემატება წყალბადი, დაუხვედრებ კატალიზატორს და მიიღებ ნებისმიერ ნაერთს. ამ მეთოდში კარგი რა არის, იცით? შეგიძლია მოთხოვნის მიხედვით ცვალო პროდუქციის სახეობა. მაგალითად, თუ სამხრეთ აფრიკის ქარხანა „სასოლი“ მუშაობს და იღებს ბენზინს, რომელზეც კონკრეტულ პერიოდში მოთხოვნა არ არის, იმავე საწყისი ნედლეულიდან ხდება ტექნოლოგიური გადართვა და იღებენ საპონს, პარაფინს, სამედიცინო პრეპარატებს, სარეცხ საშუალებებს და ა.შ.

ამ მოწყობილობის თავიდან გამოგონება არაა საჭირო, რადგან თავის დროზე გერმანელებმა ყველაფერი შექმნეს.

დიახ, მესმის, რომ საჭიროა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების აგება, რაც ამ ეტაპზე აუცილებელიც არის, მაგრამ დაახლოებით 50 წელიწადში ნავთობი აღარავის დასჭირდება, რადგან სხვა წყაროები წამოიწევს წინა პლანზე — ხომ ხედავთ, რუსებიც კი ცდილობენ, რომ თავიდან მოიცილონ საწვავი და გაყიდონ.

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებს, ცხადია, მათაც აქვს თავისი ადგილი, მაგრამ არც ისაა იაფი, რადგან მოვლა სჭირდება. ეს კი დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული... ენგურჰესზე წელიწადში 3-4 თვე სარემონტო სამუშაოებია.

ანალოგიური ეფექტი არც მზის ენერგიის გამოყენებას აქვს და არც ქარის ენერგიას. პირველს სჭირდება მუდმივი მზიანი დღეები და ერთ შენობას ჰყოფნის, ხოლო მეორესთვის საჭიროა მუდმივი ძლიერი ქარი. საქართველოში ასეთი ადგილები არის, მაგრამ ამ მეთოდსაც არ ექნება ისეთი რენტაბელობა, როგორიც ნახშირისგან თხევადი საწვავის მიღებას აქვს.

ასე რომ, მე მაინც იმ აზრზე ვრჩები, რომ საქართველომ უნდა ააგოს ნახშირიდან თხევადი საწვავის მიმღები ორი პატარა ქარხანა, რაც სრულიად საკმარისი იქნება. მეცნიერები დღეს უკვე ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ეს მეთოდი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ალტერნატივა, ეს გარდაუვალი აუცილებლობაა.

ახალი პროექტი

მედიატორის დახმარებით მორჩენილი პრობლემები

მაია ტორა ე

კონფლიქტოლოგიის ცენტრი მედიატორებს მოამზადებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2002 წლიდან ამზადებს კონფლიქტოლოგებს. 2002-2005 წლებში თსუ-მ, პროფესორ გუგული მაღრაძის ხელმძღვანელობით, ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტთან ერთად მოიგო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტი უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობისათვის. ამ გრანტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა კონფლიქტოლოგიის ცენტრი და შემუშავდა სამაგისტრო პროგრამა კონფლიქტოლოგიაში.

ამავე ცენტრმა, აშშ-ს დენვერის უნივერსიტეტთან ერთად, მოიპოვა ამერიკის განვითარების სააგენტოს გრანტი, რომლითაც 2006-2008 წლებში გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიაციის კლინიკის გახსნა და შესაბამისი სასწავლო კურსის მომზადება.

პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრს ნოემბრის თვეში სტუმრობდა დენვერის უნივერსიტეტის დელეგაცია პრორექტორ **ჯეიმს მორენის** ხელმძღვანელობით.

ვიზიტის მიზანი იყო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მედიაციის კლინიკის გასახსნელად.

დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ დენვერის უნივერსიტეტის პროფესორი, კონფლიქტოლოგიის ცენტრის დირექტორი **ტამრა დესტრე**, კოლორადოს სასამართლოს მედიაციის ცენტრის დირექტორი **სინტია სევიჯი**, კერძო მედიატორული კომპანიის დირექტორი **რობინ ამადეი** და დენვერის უნივერსიტეტის პროფესორი კონფლიქტის კვლევის დარგში **რუდ პარსონსი**, საქმიანი შეხვედრები ჰქონდა როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ასევე საქართველოს პარლამენტის დეპუტატებთან და მოსამართლეებთან.

დელეგაციის წევრებმა მომავალ მედიატორებს ჩაუტარეს ტრენინგები მედიაციის საკითხებზე, დაინტერესებული პირებისათვის გაიმართა საჯარო ლექცია.

გუგული მაღრაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი:

— სამაგისტრო პროგრამამ კონფლიქტოლოგიაში ნამდვილად გაამართლა. უკვე გვქონდა მაგისტრატურის ორი გამოშვება — პირველ წელს დაამთავრა 12-მა, ხოლო მეორე წელს 11-მა მაგისტრანტმა. მათი ნაწილი სწავლას აგრძელებს შვედეთის, ნორვეგიის, იაპონიისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში. ვინც უცხოეთში არ წავიდა, მუშაობს სახელმწიფო მინისტრთან და სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია უნივერსიტეტში მედიაციის კლინიკის გახსნა. ამგვარი კლინიკა ამერიკის არაერთ შტატს აქვს. მისი მეშვეობით უამრავი პრობლემა წყდება არა სასამართლოში, არამედ მოლაპარაკების დონეზე, რასაც აქვს ლოგიკური მიზეზები: მედიატორის მეშვეობით კონფლიქტი გაცილებით სწრაფად გვარდება, საჭირო არ არის დამღლელი პროცედურა და დიდი თანხები. გარდა ამისა, საქმის წარმოება კონფიდენციალურია.

ამ ინსტიტუტის შესაქმნელად გავიმარჯვეთ საკმაოდ მკაცრ კონკურსში და მოვიპოვეთ ამერიკის განვითარების სააგენტოს გრანტი. ეს არის სამწლიანი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად კურიკულუმის შექმნას, მისი მეშვეობით მომზადდება სპეციალისტები — მედიატორები. გარდა ამისა, იქმნება ორკრედიტიანი კურიკულუმი, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს ასწავლის მედიატორობას. მედიატორის უნარ-ჩვევები სჭირდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს — პედაგოგებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებს, იურისტებს, ბიზნესმენებს. მედიატორისთვის აუცილებელი მოლაპარაკების კარგი ტექნიკა მათ მისცემს საშუალებას, ადვილად მიაღწიონ შეთანხმებას თავიანთ სფეროში.

დენვერის უნივერსიტეტის დელეგაცია ამ მიზნით პირველადაა საქართველოში. დელეგაციასთან ერთად ჩამოსული იყო უნივერსიტეტის პრორექტორი, რომელიც შეხვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს. გვქონდა საჯარო ლექცია და ტრენინგი იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ხვალ-ზეგ მედიატორები უნდა გახდნენ. დელეგაცია შეხვდა პარლამენტარებს და მოსამართლეებსაც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვალდებულებას კისრულობს, რომ მედიატორულ სამსახურს მისცეს ოფისი. რაც შეეხება სპეციალისტების მომზადებას, ლიტერატურით მომარაგებას, ტრენინგებს, დელეგაციების გაცვლას — დენვერის მხარე აფინანსებს.

ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ ვაპირებთ გამოკვლევას — რამდენად დიდია მოთხოვნა საზოგადოებაში მედიატორის ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის.

დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება იძულებით გადაადგილებულ პირებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან და ქალებთან. მიგვაჩნია, რომ საზოგადოების ეს სეგმენტი კონფლიქტების მოგვარების ყველაზე კარგი რესურსია, რადგან მათ წინასწარ შეუძლიათ მიიღონ კონფლიქტის საწინააღმდეგო პრევენციული ზომები.

ქართული მენტალიტეტისთვის ეს ინსტიტუტი მისაღებია, რადგან ჩვენთან ასეთი მექანიზმი ისტორიულად არსებობდა. მაგალითად, გვქონდა ტრადიცია, როდესაც ქალი დგებოდა მოჩხუბართა შუაში, როდესაც ოჯახებს შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად მედიატორის ფუნქციას აკისრებდნენ ღირსეულ ადამიანებს... მთელი ჩვენი ისტორია მოწმობს სწორედ იმას, რომ მედიატორობის ძალიან დიდი კულტურა და გამოცდილება გვაქვს.

ტამრა დესტრე, დენვერის უნივერსიტეტის პროფესორი:

— მედიატორული ინსტიტუტი ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა დაახლოებით 20-25 წლის წინ, როცა გამოიხატა საზოგადოების უკმაყოფილება სასამართლო სისტემის მიმართ.

არსებობს ოჯახური, მეზობლებს შორის, ფირმებს შორის კონფლიქტები, ისინი ყველა ქვეყანაში ერთი და იგივეა. აქედან გამომდინარე, ამ კონფლიქტების გადაჭრის გზაც ყველა ქვეყნისთვის ერთნაირია, მათ შორის, საქართველოსთვისაც.

ჩვენი ვიზიტის მიზანია მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება საქართველოში მედიატორული კლინიკის გასახსნელად. ვაკვირდებით, რომელ სფეროში (ეს იქნება ბიზნესი, განათლება თუ სხვა) შეიძლება კლინიკის წარმატებულად ჩამოყალიბება და შემდეგ მისი, ასევე, წარმატებული ფუნქციონირება. შემდგომ ეტაპზე ვთხოვთ ამ პროექტის მონაწილეებს, შეადგინონ კურიკულუმი, რომელიც, ისევ და ისევ, ამ კლინიკის წარმატებულ მუშაობას მოემსახურება.

რაც დღეს თამაშია, ხვალ შეიძლება რეალურ საქმიანობად იქცეს

მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის სტუდენტებისათვის გამართული ქართულ-იტალიური თამაშების უჩვეულო პრეზენტაცია

ჰქონდა თუ არა რევოლუციამდელ სტუდენტს სათამაშო? — რა თქმა უნდა, არა! თუმცა ამ საგნის უქონლობა არ ნიშნავს იმას, რომ ის გონებაჩლუნგი იყო, ამას ჩვენი ღვაწლმოსილ მეცნიერთა უდიდესი მიღწევებიც მოწმობს. თანამედროვე კომუნიკაციების პირობებში სწავლების ახალ-ახალი მეთოდები სინათლის სიჩქარით ვითარდება, დასავლეთის ინსტიტუტების და უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარება და მათთვის ფეხის აწყობა ძნელია, მაგრამ — შესაძლებელი. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები ამის ნათელი მაგალითია.

თურმე ნუ იტყვით და, შეიძლება, თამაშთამაშით ისწავლოთ — როგორ უნდა მართო უმსხვილესი საწარმო, დაადგინო პროდუქციის ხარისხი, მოიზიდო კლიენტი და მენეჯმენტის ახალი მოდელები რეალურ ცხოვრებაშიც დანერგო.

ასეთი თამაშები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების აქტიური მეთოდების ლაბორატორიაში უკვე ტრადიციად იქცა. მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტებმა საქმიანი თამაში კომპიუტერთან დიალოგურ რეჟიმში გამართეს. სტუდენტებმა შერჩეული სფეროებიდან აირჩიეს სასურველი დარგი და „სინთეზის ცხრილის“ და „შესაძლებლობების რუკებზე“ დაყრდნობით შეადგინეს მოცემული საწარმოს განვითარების საბოლოო პროექტი. საქმიან თამაშებს კოორდინაციას უწევდა პროფესორი ჟანა თოლორდავა.

ვინაიდან აღნიშნული მოდელი შემუშავებულია მილანის უნივერსიტეტში, შესაბამისად, თამაში იტალიურ ენაზე მიმდინარეობდა. სტუდენტებისათვის წინასწარ იყო შედგენილი თანმხლები ქართული ტექსტი. ქალბატონ ჟანა თოლორდავას ინიციატივით სტუდენტებმა კონსულტანტად იტალიელი მენეჯერ-კონსულტანტი ეკონომიკის, კულტურისა და განათლების დარგში ბატონი კლაუდიო დე ბიაზი მოიწვიეს. როგორც სტუდენტებმა და ქალბატონმა ჟანამ აღნიშნეს, კლაუდიო დე ბიაზი უაღრესად საინტერესო პიროვნებაა და თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით საქართველო-იტალიის ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. სტუდენტების თხოვნით, შევეცადეთ ბატონი დე ბიაზის საქმიანობის შესახებ უფრო ვრცლად მოგვეთხრო ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის.

კლაუდიო დე ბიაზი ჩრდილოეთ იტალიაში, ტრენტოს პროვინციაში, პატარა ქალაქ როვერეტოში დაიბადა 1954 წლის 1 იანვარს. დაამთავრა კომერციულ-ტექნიკური ინსტიტუტი ვაჭრობა-ეკონომიკის ექსპერტის სპეციალობით. 1973-80 წლებში ჯერ ვერონაში, შემდეგ კი ურბინოს უნივერსიტეტებში სწავლობდა გერმანისტიკის სპეციალობით. მუშაობდა ტრენტინოში, ალტოადიჯეში საშუალო და ტექნიკური სკოლების გერმანული და იტალიური ენების მასწავლებლად. იტალიურ ენას ასწავლიდა გერმანიაში, შტუდგარტში, სტაჟირებაზე იმყოფებოდა იენის შილერის სახელობის უნივერსიტეტში. 1988 წლიდან ცხოვრობს საქართველოში.

2007 წლისთვის გამოსაცემად მზადდება ქართულ-იტალიური ლექსიკონი

ინტერვიუ კლაუდიო დე ბიაზთან

— თქვენ საკმაოდ წარმატებული მენეჯერი და კონსულტანტი ბრძანდებით. ამ მხრივ ევროპაში უფრო ფართო არეალი გექნებოდათ. რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში ცხოვრება?

— ჩემი ურთიერთობა ქართველებთან რომანტიკულად დაიწყო. თავდაპირველად მიზეზი საყვარელი ქალი იყო, რომელსაც ჩემი ბედი დავუკავშირე. მეუღლე ნარგიზ ცინცაძე ვაიმარში გავიცანი. იგი სპეციალობით გერმანისტია, საქართველოში პირველივე სტუმრობისას მივხვდი, რომ ამ ქვეყანაში დიდ ხანს დავრჩებოდი. ჩემი კულტურული და ბიზნეს საქმიანობა საქართველო-იტალიის ურთიერთობებზეა დამყარებული. მას შემდეგ აქტიურად ვარ ჩაბმული სხვადასხვა პროექტებში.

— თქვენი საქართველოში საქმიანობის ნუსხა ვრცელი და მრავალმხრივია, ვიცით, რომ როგორც კონსულტანტ-კოორდინატორი, აქტიურად თანამშრომლობთ უცხოელ ინვესტორებთან. თქვენი თაოსნობით ქართველი სპორტსმენები და ხელოვნების მოღვაწეები მონაწილეობას იღებენ იტალიაში გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე. რას გვეტყვით თქვენს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით?

— ამ მხრივ საკმაო გამოცდილება დამიგროვდა. თავდაპირველად თბილისის დასავლური კულტურისა და ენების ინსტიტუტში ვასწავლიდი იტალიურ ენას. ჩემი მონაწილეობით გამოიცა ქართული ენის სახელმძღვანელო იტალიელებისათვის. მასალების შეგროვების და დამუშავების პროცესშია ახალი მონოგრაფია. ეს იქნება იტალიური განათლების სისტემის უახლესი მოდელი, რომელიც შესაძლებელია საქართველოს განათლების სამინისტრომ საშუალო სკოლებსა და კოლეჯებში დანერგოს. 2006 წლის მაისში ჩემი მოწვევით ჰუმანიტარული ფაკულტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ისტორიის სპეციალობის სტუდენტებთან ლექცია წაიკითხა იტალიის სახელმწიფოსა და ტრენტინო ალტოალიჯეს ავტონომიურ რეგიონს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი კომიტეტის წევრმა, მალტის ორდენის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მანფრედ გირტლერმა. მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ გამოიცა იტალიურ-ქართული ლექსიკონი. ეს იმ ღვაწლისა და ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც სათავე დაუდეს იტალიელებმა: სტეფანე პაოლინიმ (1629 წელს რომში გამოიცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი) და ფრანჩესკო მარია ბავჯომ („ქართული, ანუ იბერიული სასუბრო“, რომელიც ზედიზედ ორჯერ გამოიცა მე-17 საუკუნის 70-იან წლებში). 2007 წლისთვის გამოსაცემად მზადდება ქართულ-იტალიური ლექსიკონი. მომავალში იტალიის საელჩოსთან ერთად ვგეგმავ თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლითი პროგრამის მომზადებას. ეს მცირე ჩამონათვალია ჩემი გეგმებისა, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებ.

კლაუდიო დე ბიაზი

— როგორც კონსულტანტი, როგორ შეაფასებდით ქართველი სტუდენტების პოტენციალს და რას ურჩევდით მათ?

— მე ვხედავ, რომ რეფორმა მათთვის დიდი სტიმულის მიმცემია. ევროპაში, დიდი ხანია, დანერგილია თამაშების სისტემით სწავლება და ის დიდი მოწონებით სარგებლობს. მათთან მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. მათ შემიძლია ვუთხრა, რომ ის, რაც დღეს მათთვის თამაშია, ხვალ აუცილებლად გახდება რეალური საქმიანობა. თამაში კარგია, მაგრამ ის მაინც სიმულაციაა, ამიტომ თეორიული ცოდნის გაღრმავება აუცილებელია. ვფიქრობ, ოპტიმიზმის საფუძველი გვაქვს.

P.S. კლაუდიო დე ბიაზი მუდმივად ადევნებს თვალს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსაც. ამის დადასტურებაა 2006 წლის ოქტომბერში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაშუქება იტალიის სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხით. ცნობილმა იტალიელმა ჟურნალისტმა დონატელა სკარნატიმ, დე ბიაზის დახმარებით, ინტერვიუები ჩაწერა მიხეილ საკაშვილთან, ნინო ბურჯანაძესთან და კოტე გაბაშვილთან, რაც იტალიის ტელევიზიით გადაიცა.

გზავნილი საქართველოდან

თქვენ შეძელით ფიქრი მტკვრის პირას

იან ბრაუნს რექტორმა 80 წლის იუბილე მიულოცა

ცნობილ პოლონელ ენათმეცნიერს, ქართველოლოგს, ბასკოლოგსა და კავკასიოლოგს იან ბრაუნს 80 წელი შეუსრულდა.

იან ბრაუნის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე არავის გაკვირვებია, როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი ხუბუამ მის შემოქმედებას ფასდაუდებელი უწოდა. **„ისიც კი არ ვიცი, საქართველოსათვის სტუმარი ხართ თუ მასპინძელი, ეს კი თქვენი დამსახურებაა. ამის დაფასება ისე არავის ძალუძს, როგორც რეალური დამოუკიდებლობის გზაზე მავალ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ღირსეულ წარმომადგენლებს. თქვენ შეძელით ფიქრი მტკვრის პირას და ეს დაგვიდასტურეთ საქართველოს ყოველი კუთხისადმი თქვენი ინტერესითა და პატივისცემით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თქვენი კვლევა-ძიებანი ქართველური ენებისა და ბასკურის გენეტიკური ურთიერთობის სფეროში. ამ ბოლო წლებში პოლონეთსა და საქართველოს შორის მეგობრობა სულ უფრო ღრმავდება, რასაც თქვენი ღვაწლი, თქვენი მეცნიერული ჰიპოთეზები კიდევ მეტად განამტკიცებს. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საქართველოში თქვენი პირველი ვიზიტის შთაბეჭდილებათა მთელი ქრონიკა, ქართულ უნივერსიტეტში თქვენი პირველი ნაბიჯები უნივერსიტეტის ერთერთი ფუძემდებლის აკაკი შანიძის სახელს უკავშირდება“**, — აღნიშნულია იუბილარისადმი მიძღვნილ გიორგი ხუბუას წერილში. მან ღვაწლმოსილ მეცნიერს იმდენი გულშემატკივარი უსურვა, რამდენ პოლონელსაც ასწავლა ქართული და რამდენ ქართველსაც გაუღვივა პოლონეთის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის სურვილი.

ცნობისთვის: იან ბრაუნი 1951 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში აკადემიკოს აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით განაგრძო. მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო „ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი“. ახალგაზრდა მეცნიერი ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იან ბრაუნმა პოლონურად თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, გიორგი ლეონიძის ლექსები, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები, ქართული ანდაზები. იგი იყო მეცნიერ კონსულტანტი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული თარგმანისა პოლონურ ენაზე, რომელიც ცნობილმა პოეტმა ეჟი ზაგურსკიმ თარგმნა. ვარშავის უნივერსიტეტში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა დავით ყოლბაიამ, რომელმაც გამოსცა „მოქცევაÎ ქართლისაÎ“ პოლონურ ენაზე. ეს თარგმანიც იან ბრაუნის კონსულტაციით გამოიცა. მისივე კონსულტაციით გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგია და ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დავით ლანგის წიგნი — „ძველი საქართველო“ (პოლონურ ენაზე).

იან ბრაუნი

ცალკე უნდა აღინიშნოს იან ბრაუნის მეცნიერული კვლევა-ძიება ქართველური ენებისა და ბასკურის გენეტიკური ურთიერთობის სფეროში. მისი ცამეტი ნაშრომი წაკითხულია საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, გამოქვეყნებულია ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში. ამ ციკლისათვის ავტორს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. მისი აზრით, ბასკურს უშუალო გენეტიკური კავშირი აქვს ქართველურ ენებთან, რაც ფონეტიკურ შესატყვისობათა კანონზომიერებებით დასტურდება.

იან ბრაუნი 1976-77 წლებში მოწვეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბასკოლოგიის კურსის წასაკითხად. ამ ლექციებმა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ლექციების კურსი გამოიცა ცალკე წიგნად — „ბასკოლოგიის შესავლის“ სახელწოდებით. იგი დღესაც დამხმარე სახელმძღვანელოს როლს ასრულებს მომავალი ფილოლოგებისათვის, რომლებიც ბასკოლოგიით არიან დაინტერესებულნი.

იან ბრაუნი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს სხვადასხვა ქვეყნის ენათმეცნიერთა წრეებში, განსაკუთრებით — საქართველოსა და ბასკეთში. საქართველოს იგი მეორე სამშობლოდ თვლის, შემოვლილი აქვს თითქმის ყველა კუთხე. მხცოვანი მეცნიერი ხშირად ჩამოდის ჩვენთან, მუდმივი კონტაქტი აქვს ქართველ მეცნიერებთან, მონაწილეობას იღებს სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

იან ბრაუნი არჩეულია საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, აგრეთვე არის ბასკეთის სამეფო აკადემიის წევრი. 1998 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივით იან ბრაუნს არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია მიანიჭა.

იან ბრაუნის დაბადების 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე თავიანთი კვლევები და ნაშრომები წარმოადგინეს თბილისისა და ქუთაისის უნივერსიტეტებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერებმა. იყო ბევრი მილოცვა და კეთილი სურვილი. განსაკუთრებული სითბოთი მეცნიერი მისი სტუდენტობის მეგობარმა, პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ გაიხსენა.

ზურაბ ჭუმბურიძე:

— თქვენ მრავალწლიანი მეგობრობა გაკავშირებთ ბატონ იან ბრაუნთან. როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— იანმა 1951 წელს დაამთავრა ლოძის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში აკადემიკოს აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით. სწორედ იმ დროს მეც ბატონი აკაკის ასპირანტი ვიყავი. სტუდქალაქში ვცხოვრობდი. ერთ დღეს, როდესაც უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკთა სამკითხველო დარბაზში ვიჯექი, გადმომცეს, პრორექტორი, პროფესორი სერგი ჟღენტი გიბარებსო. იქ დამხვდა მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც იერზე ეტყობოდა, რომ უცხოელი იყო. ეს გახლდათ იან ბრაუნი. — ეს კაცი პოლონელია, ქართული ენის შესასწავლად არის ჩამოსული და სტუდქალაქში შენთან იცხოვრებსო, — მითხრა ბატონმა სერგიმ. ბევრი სასიამოვნო მოგონება გვაკავშირებს ერთმანეთთან.

— როგორ შეეგუა ბატონი იანი ქართულ გარემოს. რა სიძნელეების გადალახვა მოუხდა ენის ბარიერთან დაკავშირებით?

— იანი წყნარი, კეთილი, კარგი სამეგობრო ადამიანი აღმოჩნდა. ძალიან ბევრს მუშაობდა. თავდაპირველად გაუჭირდა ენის შესწავლა, მაგრამ ჯიუტი იყო და ეს თვისება ენის შესწავლაში გამოადგა. სულ რაღაცას იწერდა. ბატონი იანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეტიმოლოგიის შესწავლას. პირველი ჩამოსვლისას არდადეგებზეც დარჩა და ბატონი აკაკი შანიძის რჩევით, ზაფხული შუა ქართლში სოფელ მეჯვრისხევში გაატარა. მეგობარს მეგზურობა სიამოვნებით გავუწიე. როგორც თვითონ აღნიშნავდა, ეს მივლინება განსაკუთრებით გამოადგა ქართული სასაუბრო ენის სრულყოფილად დაუფლების საქმეში.

— როგორც ვიცით, ბატონ იან ბრაუნს ახლაც მჭიდრო კავშირი აქვს საქართველოსთან.

— იგი ჩვენი ქვეყნის დიდი გულშემატკივარია. ხშირად ჩამოდის საქართველოში და თვალს ადევნებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. **როდესაც გაიგო, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი მისი იუბილის აღნიშვნას აპირებდა, ძალიან გაიხარა, ტელეფონით დამიკავშირდა და მთხოვა, გულითადი მადლობა გადმომეცა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის.** იგი წარმატებებს უსურვებს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი ხუბუას დაწყებული რეფორმების განხორციელებაში.

გვერდი მოამზადა
ურთ ია ბერო ვილმა

„პატიება არის ხელოვნება, რომლის ნახვაც შეიძლება არა მუზეუმებში, არამედ დიპლომატიის პარკეტზე“

ინტერვიუ ჰროფესორ ტილმან ალერტთან

ანა კირვალი ე

ტილიმან ალერტი, 57 წლის, მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი, მუშაობს მიკრო სოციოლოგიაში და ოჯახის სოციოლოგიაში.

1999 წელს სადოქტორო დისერტაციისათვის მიიღო „Christa-Hoffmann-Riem“-ის ჯილდო თვისობრივ სოციალური კვლევისთვის. გასულ წელს გამოქვეყნდა მისი ბოლო ნაშრომი „გერმანული მისალმება”, რომელსაც დიდი ინტერესი და წარმატება ხვდა წილად არ მხოლოდ გერმანიში, არამედ მთელს ევროპაში. სწორედ ამ წიგნთან დაკავშირებით გამოაქვეყნა პოპულარულმა ფრანგულმა გაზეთმა „Le Monde“-მ რამდენიმე დღის წინათ საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ პროფესორ ტილმან ალერტთან.

თითქმის ათი წელია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტს რეგულარულად სტუმრობს ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგი ტილმან ალერტი. საქართველოში ტილმან ალერტმა უამრავი მეგობარი შეიძინა და საკმაოდ ახლოს გაიცნო ქართული კულტურა. ის ყოველთვის აღფრთოვანებით საუბრობს საქართველოზე, ქართველებზე და მათ იშვიათ ხასიათსა და ბუნებაზე. ამ შთაბეჭდილებების მიღმა არსებობს ფრანკფურტელი პროფესორის მიერ სოციოლოგიის პერსპექტივიდან დანახული ქართული საზოგადოების საკმაოდ საინტერესო სურათი.

როდესაც ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელს, პროფესორ ალერტს ჩვენი გაზეთისთვის ინტერვიუ ვთხოვე, მიპასუხა: — „დიდი სიამოვნებით, მაგრამ არსებობს პრობლემა — ეს არის დრო. დღეს სამშაბათია, ოთხშაბათს რვიდან თორმეტ საათამდე ლექციები მაქვს, რის შემდეგაც მივემგზავრები შვეიცარიაში კონფერენციაზე დასასწრებად, იქიდან გავემგზავრები იტალიაში, ასევე კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ტურინში გაიმართება. ამის შემდეგ ლექციები მაქვს ჩრდილოეთ გერმანიაში თითქმის მთელი დღის განმავლობაში. ასე რომ, ინტერვიუს ჩაწერა მხოლოდ კვირის ბოლოსთვის მოხერხდება“.

გერმანელები დროს მართლაც „ქვეშით ზომავენ“, მაგრამ ბატონი ალერტის გულისხმიერება აღნიშვნის ღირსია. ასეთი რეჟიმის პირობებში ქართველები, როგორც წესი, უარს ამბობენ ხოლმე ინტერვიუზე და სატელეფონო ზარზე პასუხსაც გაურბიან.

— ბატონო ალერტ, საქართველო თქვენი არჩევანი იყო თუ გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ შემოთავაზებული ქვეყანა?

— ქვეყნის არჩევა პროფესორის გადასაწყვეტია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იანი წლებიდან გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახური ახორციელებს პროგრამას, რომელიც აღმოსავლეთ ქვეყნების, განსაკუთრებით, კავკასიის რეგიონის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასა და კონტაქტებს ითვალისწინებს კვლევებისა და სასწავლო პროცესების დარგში. ჩემს განაცხადში საქართველოში მუშაობის სურვილი გამოთქვი, რაც პროფესიულმა და პირადმა მოტივებმა განაპირობა.

კავკასია მამაჩემის სამშობლოა. ის აზერბაიჯანიდან იყო, ოჯახთან ერთად თავდაპირველად ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ თბილისში ცხოვრობდა. ასე რომ, მე იმ მხარეში დავბრუნდი, რომლითაც აღფრთოვანებული იყო მამაჩემი. პროფესიული თვალსაზრისით, როგორც სოციოლოგიით გატაცებულ მეცნიერს, თქვენთან ქართული საზოგადოების ტრანსფორმაციის საკითხის კვლევა და ამ მიმართულებით მუშაობა მაინტერესებს.

— თქვენ ევროპის მრავალ უნივერსიტეტში ასწავლიდით. რით განასხვავებთ ქართველ სტუდენტებს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისაგან?

— მართალი გითხრათ, ძალიან დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. თბილისში ჩემი თითქმის ათწლიანი პედაგოგიური საქმიანობის შემდეგ, შემიძლია ვთქვა, რომ თქვენს უნივერსიტეტში სწავლას მოწყურებული და ყურადღებიანი ახალგაზრდები სწავლობენ. ჩემთვის მთავარია, ხელი შევუწყო მათ დიდ სურვილს და ჩემი გამოცდილება გავუზიარო. საქართველოში სტუდენტები პროფესორებს, როგორც ჩანს, ავტორიტეტებად აღიქვამენ. მე არ დამავიწყდება, როგორ მომიხადა ბოდიში ერთ-ერთმა სტუდენტმა თანაკურსელების დაგვიანებისთვის შემდეგი სიტყვებით: „ბავშვები მოგვიანებით მოვლენ“.

— თქვენ უკვე კარგად იცნობთ ჩვენს ქვეყანას. როგორია სოციოლოგის თვალით დანახული ქართული საზოგადოება?

— ძნელია, რამდენიმე სიტყვით ამის გადმოცემა. პირველ რიგში უნდა გამოვყოთ სამი რამ: სოციალური სტრუქტურა, პოლიტიკური წყობა და, ასევე, მოსახლეობის მენტალიტეტი. ამჟერად შევეხები ქართველების მენტალიტეტის საკითხს. ამ მხრივ საინტერესო მსგავსებას ვხედავ გერმანიასთან, რომელსაც მეცნიერებში „დაგვიანებულ ერად” მიიხსენიებენ. არსებითად იგივეს ვხედავ საქართველოსთან მიმართებაშიც. ეროვნული სახელმწიფოს შექმნა რთულია. კოლექტიური ავტოპორტრეტიც უფრო ლიტერატურასა და პოეზიას ემყარება, ვიდრე პოლიტიკურ წყობას. საქართველო, გერმანიის მსგავსად, პოეტთა და მოაზროვნეთა ქვეყანაა. კულტურული ტრადიციები — „სუფრა“, „თამადის“ ინსტიტუტი, რასაკვირველია, სტუმართმოყვარეობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ეს ისტორიულად საინტერესოა სტუმრის პოზიციაში უცხო ადამიანის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით.

ქართლის დედას, რომელიც თბილისს გადმოჰყურებს, ხელში უჭირავს არა მარტო ღვინის ფიალა, არამედ — მახვილიც. კავკასიელ ხალხებს აძვთ უცხოთაგან მუძარის გამოცდილება და, ასევე, სტუმრად და მეგობრად უცხოთა მილების უნარიც, რაც ცივილიზაციის მონაპოვრად შეიძლება განვიხილოთ. ეს იგრძნობა ბევრ ქართულ ტრადიციაში.

— თქვენი კვლევის უშუალო სფეროა ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორ აფასებთ ქართული ოჯახის მენტალიტეტს?

— ოჯახი პირადი ცხოვრების ღერძია. ქართული ოჯახი მკაცრად არის გამიჯნული საზოგადოებრივი სივრცისაგან, იგი ჯერ კიდევ მთავარი საყრდენია ადამიანთათვის, შესაბამისად, საქართველოში ოჯახის მიმართ ადამიანთა პასუხისმგებლობის გრძნობა უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთში. ქართველებისთვის საინტერესო ხდება საკითხები, თუ რომელი ინსტიტუტები ჩაენაცვლებიან, როდესაც მოდერნიზაციის ზეწოლის გამო ოჯახი თავის ფართო მნიშვნელობას კარგავს. შესაბამისად ჩნდება ახალი სოლიდარობები და იბადება კითხვა, თუ რა შეიძლება იყოს ეს? ეს მეგობრობაა, პროფესიული კოლეგიალობა თუ ამ ლოიალურობის მოთხოვნების ნარევი? ეს ღია კითხვებია, რომლებსაც გულმოდგინედ უნდა შესწავლა. საქართველოშიც აშკარად იგრძნობა დაძაბულობა თაობებს შორის და ახალგაზრდების მოუთმენლობა, რომელიც დასავლეთის ქვეყნებისადმი საქართველოს ორიენტაციის შედეგად სრულიად სხვაგვარად არტიკულირდება, რაც დაკავშირებულია მობილობის მეტ მზაობასთან, და ამავდროულად უფრო მეტ მობილობისკენ სწრაფვასთან.

— გასულ წელს გამოვიდა თქვენი წიგნი „გერმანული მისალმება”, რომელსაც გერმანულ საზოგადოებაში დიდი ინტერესი და წარმატება ხვდა წილად. ეს წიგნი სულ ახლახან გამოიცა ფრანგულ ენაზე, იგეგმება მისი გამოცემა აგრეთვე ინგლისურ და ჩინურ ენებზე. სამწუხაროდ ეს წიგნი ჯერ არ არის თარგმნილი ქართულად, რას ეტყოდით ჩვენს საზოგადოებას წიგნის შინაარსის შესახებ?

— წიგნს აქვს ცოტაოდენ უცნაური სათაური. რა თქმა უნდა, მასში არის იფორმაცია გერმანიის ისტორიის შაგბნელ პერიოდებზე და ყველაზე საყურადღებო სიმბოლოთი, ჰიტლერის მისალმებით მკითხველს უჩვენებს, თუ რა ადვილად შეიძლება ჩაიძიროს ბარბაროსობაში თანამედროვე საზოგადოება, როგორც ეს გერმანიის იმდროინდელ საზოგადოებას მოუვიდა. ამასთან ერთად წიგნი შეიცავს მისალმების მოკლე სოციოლოგიასაც, ე.ი. კომუნიკაციის ფიგურას, რომელსაც ადამიანები იყენებენ სხვებთან ურთიერთობის დაწყებისას. წიგნი გვამცნობს, როგორ იქნა დასაწყისი მორალური თვალსაზრისით დამახინჯებული, რომელშიც ქრისტიანული მისალმების ფორმა იმ მისალმებითაა შეცვლილი, რომლითაც ჰიტლერი, როგორც ყველგან მყოფი ღმერთი, პირადი ცხვრების სფეროშიც კი იჭრება. ეს არის ქარიზმის ზეგავლენა, რომელიც იმ დროში ჰიტლერს მიეწერებოდა.

— დღეს საქართველოში ისევე როგორც სხვაგან, ინტენსიურად მიმდინარეობს დებატები უნივერსიტეტის ორი — ამერიკული და ევროპული მოდელის შესახებ, რა აზრის ხართ ამაზე და რა მიგაჩნიათ ამ მოდელთა უპირატესობად თუ ნაკლად?

— უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ამერიკული უნივერსიტეტების ორი მოდელი. რაც ხშირად ავიწყდებათ. ამერიკული ელიტარული უნივერსიტეტები არ ასახავენ აკადემიური განათლების ყოველდღიურობას და საერთოდ, არსებობენ მხოლოდ მსხვილი კერძო შენატანებით, შემოწირულობებით. საინტერესოა, რომ ეს უნივერსიტეტები თავიანთ შიდა გარემოში ევროპულია და ჰუმბოლტისეულ იდეალს მისდევენ.

ამჟამად ევროპა ემშვიდობება ამ იდეალს, რაც პირადად ჩემთვის სამწუხაროა, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ახალი სასწავლო კურსების შემოღებით განათლების მრავალფეროვნება, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ევროპა, სულ უფრო მეტად იკარგება. ამით პარადოქსულად იზღუდება მობილურობა, რომელსაც ასე უსაფუძვლოდ მოითხოვენ მეცნიერებისაგან, ვინაიდან განათლების საფეხურები ერთმანეთს ემგავსება და ჰომოგენური ხდება. ამასთან დაკავშირებით ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტის რეფორმით ისეთი ქვეყანა როგორიც გერმანიაა, უფრო მეტს დაკარგავს, ხოლო ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველოა ალბად უფრო მოიგებს.

— გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის გენერალური მდივნის კრისტიან ბოდეს განცხადებით, გერმანიის უნივერსიტეტებში უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა 10 პროცენტით უნდა გაიზარდოს, იმ დროს, როდესაც გერმანიაში ამ რაოდენობამ რეკორდულ დონეს მიაღწია. გერმანიაში ხშირად სვამენ კითხვას: „გეჭირდება ამდენი უცხოელი სტუდენტი?“ თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— მსოფლიოს საუნივერსიტეტო სისტემები სულ უფრო ემსგავსება ერთმანეთს. ეს გათანაბრება საზღვარგარეთ სწავლის მიმზიდველობას უფრო შეამცირებს. მით უმეტეს, თუ მომავალში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მაღალ გადასახადებს შემოიღებენ. მეცნიერული შრომისთვის შერჩევის კრიტერიუმი, სხვათა შორის, სტუდენტთა ეთნიკური ან პოლიტიკური წარმომავლობა კი არ არის, არამედ ინტელექტუალური მონაცემები და აკადემიური დისციპლინებისათვის მზაობა. ამას არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტებში ესწრფვიან.

— 23 ნოემბერს საქართველომ „ვარდების რევოლუციის” მესამე წლისთავი აღნიშნა. როგორ განიხილავთ რევოლუციის ამ ახალ ფორმას?

— რამდენადაც შემიძლია ამასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა, ვიტყოდი, რომ თავის დროზე გამაოცა ცვლილებების სისწრაფემ, ასევე უსისხლო ტრანსფორმაციამ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მის ბატონობის ქვეშ მყოფმა ქვეყნებმა სწრაფად მიიღეს სახელმწიფო სუვერენიტეტი და ახლა ისინი დიდი სახელმწიფოს უბრალო დანამატს კი არ წარმოადგენენ, არამედ მსოფლიო პოლიტიკურ ძალთა თამაშში, ნებსით თუ უნებლიედ პარტნიორებად გვევლინებიან. ჩნდება ახალი დამოკიდებულება, ახალი კავშირები შესაბამისი პასუხისმგებლობებით. „ვარდების რევოლუციამ” საქართველოს ერთი ნაბიჯი გადაადგმევინა ავტონომიურობისაკენ, რაც მას საგარეო კონტაქტებში დიპლომატიას და მოსახლეობის მოლოდინის გამართლებას ავალდებულებს.

— დღეს საქართველოში ხშირად საუბრობენ ევროპის პასიურობაზე აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით. რით შეიძლება ამის ახსნა?

— საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა, ევროპა — მრავალი სახელმწიფოს წარმონაქმნი. ეს ნიშნავს, რომ ევროპელების დიპლომატია სისტემატურად იმსხვრევა და იფილტრება ცალკეულ სახელმწიფოთა კერძო, პარტიკულარული ინტერესებით. ეს გარემოება ევროპის კავშირს და მსოფლიო პოლიტიკაში მის საქმიანობას ინერტულსა და ნაკლებად ელასტიურს ხდის. კონფლიქტის მედიაციაში ხშირად ხდება პერსონალის შეცვლა და უმეტესად, სწორედ მაშინ, როცა კონტრაგენტებს შორის მშვიდობიანი გადაწყვეტის მზაობის მინიმუმია უზრუნველყოფილი. მეორეს მხრივ, რასაკვირველია, ევროპელები ძალიან სერიოზულად უდგებიან სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპს და ეთნოსებთან ან რეგიონებთან შიდა კონფლიქტების მქონე ქვეყნისაგან მოელიან პირველი ნაბიჯის გადადგმას. მშვიდობიანი ხელის გაწვდენა ხომ მსოფლიოში ყველაზე რთული ნაბიჯია, და როგორც დიდი ფილოსოფოსი ჰანნა არენდტი ამბობს: „პატიება, როგორც შურისძიების საპირისპირო ქმედება, ბოლოს უღებს დანაშაულის ანგარიშის მუდმივ წრებრუნვას, მაგრამ პატიება არის ხელოვნება, და ამ ხელოვნების ნახვა შეიძლება არა მუზეუმებში, არამედ დიპლომატიის პარკეტზე“.

ტილმან ალერტის წიგნი „გერმანული მისალმება“

მოკლედ

ჩემთვის მნიშვნელოვანია, საქართველოშიც მიცნობდნენ

ახალგაზრდა პოეტი ირაკლი ნადარაია ქართველი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია. მან ბავშვობა სოხუმში გაატარა, მისი პოეტური ბიოგრაფია კი ვენეციას უკავშირდება. იქნებ ამიტომაც, მის ლექსებში თითქოს ზღვის მიმოქცევა იგრძნობა. ზოგი ზვირთი ძალინ ძლიერია, ზოგი — ფრთხილი და წყნარი. ახალგაზრდა პოეტი ჯერ კიდევ ფორმის ძიებაშია, მის ლექსებში სიტყვები თავისთავად ჩნდებიან, შემდეგ კი სიჩუმეში იკარგებიან. ხანდახან ასეც ხდება — ვერ იგებ აზრს, მაგრამ გესმის მუსიკა. როგორც ირაკლი ამბობს, ერთია — გქონდეს გრძნობა, მაგრამ პოეტისთვის უფრო მნიშვნელოვანია მისი ფორმაში მოქცევა. „რასაც წერ, უნდა იყოს ჯადოსნური და ეს ჯადოსნური ენერგია უნდა გადაედოს სხვა ადამიანებს. ვეძებ ჰარმონიას საკუთარ თავთან. ჩემი პოეზია მოდის სიჩუმიდან, სიზმრიდან — რეალობაში“, — ამბობს პოეტი.

უნივერსიტეტელი სტუდენტები, რომლებმაც ირაკლი ნადარაია სტუმრად მოიწვიეს, დაინტერესდნენ, ევროპაში მცხოვრებ პოეტს რატომ არა აქვს წიგნი გამოცემული, ან რად არ ჩანდა აქამდე ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე. პოეტმა უპასუხა: „მართალია, ევროპაში იცნობენ ჩემს შემოქმედებას, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ჯერ წიგნის გამოცემამდე შორია. ჩემთვის პოეზია მთელი ცხოვრების აზრია, ვიცი, რომ უნდა ვწერო. მე არ უნდა შემრცხვეს, რომ ხელი მოვაწერო ჩემს ლექსებს. ამიტომ წიგნის გამოცემას არ ვჩქარობ. მიმიღებს თუ არა ქართველი მკითხველი, ამას დრო გვიჩვენებს“.

პოეტს მიაჩნია, რომ ყველა ადამიანს საკუთარი თავის წინაშე განსაკუთრებული მისია აკისრია. მისთვის ეს — პოეზიის სამსახურია.

ირაკლი ნადარაიამ უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს, რომლითაც უფრო საცნაური გახდა მისი ცხოვრების მძიმე გზა, რისი ცხადი ანარეკლიც მისსავე პოეზიაშია.

პოეტის საყვარელი შემოქმედები არიან ტერენტი გრანელი და ვაჟა-ფშაველა. და მართლაც, მის ლექსებში ადვილად იპოვით ამ პოეტთა ინტონაციებს, რაც ცხადად მიუთითებს გამორჩეულ წინაპრებთან მის სულიერ სიახლოვეზე.

სატანა კაცობრიობის წინააღმდეგ ნარკოტიკზე უკეთეს იარაღს ვერ გამოიგონებდა

მანანა ჯურა ა ე

უნივერსიტეტის სტუდენტებმა შიდს-თან ბრძოლის დღე აღნიშნეს

1 დეკემბერს, შიდს-თან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ კულტურის დეპარტამენტის მხარდაჭერით უნივერსიტეტის ბაღში აქცია გამართა – „მომავალი ნარკოტიკებისა და შიდს-ის გარეშე“. შიდს-ის ცენტრმა და ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობის ორგანიზაციებმა საინფორმაციო ბუკლეტები, შიდს-ისაგან თავდაცვის საშუალებები და ამ უკურნებელი სენით გარდაცვლილთა ხსოვნის აღმნიშვნელი გულსაბნევები დაარიგეს. აქციის შემდეგ, თსუ სხდომათა დარბაზში სტუდენტებისათვის ლექცია-სემინარი გაიმართა.

დარბაზში მყოფი სტუდენტები აქტიურობით გამოირჩეოდნენ. მათ შეკითხვებზე: – არის თუ არა აივ-ი და შიდს-ი ერთი და იგივე? რა გზები და საშუალებები არსებობს დაავადების თავიდან ასაცილებლად? არის თუ არა ნარკომანი კრიმინალი? რატომ იწყებს ადამიანი ნარკოტიკების მოხმარებას? რამდენად ეფექტურია მკურნალობის შედეგები? რამდენად უსაფრთხოა ე.წ. თავდაცვის საშუალებები? – ამამწურავი პასუხები გასცეს და დაავადების შესახებ ვრცელი ინფორმაცია მიაწოდეს მოწვეულმა სტუმრებმა – მაია ცინცაძემ (შიდს-ის ცენტრის ექიმი, ეპიდემიოლოგი), თეა გოგოტიშვილმა (დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფსიქოლოგი), არქიმანდრიტმა ბართლომემ, გელა ლეჟავამ (ნარკოლოგიის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე), მარინა კაჭარავამ (რელიგიური აღზრდის საკითხების სპეციალისტი).

ლექცია-სემინარზე აღინიშნა, რომ ყველაზე საშიში დაავადება, რომელიც სქესობრივი გზით გადადის, ეს არის – აივ-ი (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი). ინფიცირების პირველ წლებში თავს არ იჩენს არანაირი ხილვადი სიმპტომი, ადამიანი გამოიყურება ჯანმრთელად და ვიდრე არ გაიკეთებს შესაბამის სისხლის ანალიზს, შეუძლებელია, განსაზღვროთ, რომ იგი დაავადებულია. ამდენად, უდიდესი საფრთხე არსებობს, რომ მათ სხვა ჯანმრთელი ადამიანიც დააავადონ. აივ-ის ვირუსი ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თავიდან აიცილოს, მაგრამ დაინფიცირების შემთხვევაში განკურნება შეუძლებელია.

აივ-ი ყოველდღიური კონტაქტით არ გადადის, ვირუსის გავრცელება ხდება სქესობრივი გზით, ნარკოტიკის მიღების დროს საზიარო შპრიცის მოხმარებით (ანუ სისხლით), ასევე გადადის დედიდან ბავშვზე (ძუძუთი კვების, მშობიაროობის ან ფეხმძიმობის დროს).

აივ-ი არ ვრცელდება ჰაერით, ნერწყვით და საკვებით.

აივ-ის ინფექციის ბოლო სტადიაა შიდს-ი.

მთავარი პრიორიტეტი – ნარკომანიისადმი მიდრეკილების მეცნიერული კვლევა

თეა გოგოტიშვილი, დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფსიქოლოგი:

„უფალმა მოგვცა არჩევანის თავისუფლება – ვიაროთ ღვთის გზით, ან უარი ვთქვათ მასზე. ამიტომ, მოდით, თავად მიიღეთ გადაწყვეტილება.

რაც შეეხება თქვენ შეკითხვას, – რატომ იწყებს ადამიანი ნარკოტიკის მოხმარებას, გეტყვით, რომ 2005 წლიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დააფინანსა ფონდი, რომლის ეგიდითაც მიმდინარეობს ანტინარკოტიკული პროგრამა, მთავარ პრიორიტეტად გამოცხადდა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა და ნარკომანიისადმი მიდრეკილების მეცნიერული კვლევა.

ფონდი ფართომასშტაბიან სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიურ კვლევებს ატარებს, ვაწარმოებთ გამოკითხვას სხვადასხვა ასაკის, სქესის, ეკლესიურ თუ არაეკლესიურ, დასაქმებულ თუ დაუსაქმებელ ადამიანებთან. ვიგებთ, რა დამოკიდებულებასა და განწყობას ავლენენ ისინი ნარკომანის, როგორც ტიპაჟის, და ნარკოტიკების გამავრცელებლების მიმართ. კვლევის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული სურათი. ამ უმძიმეს პრობლემასთან მიმართებაში დავინახეთ ჩვენი საზოგადოების პოზიცია. დასკვნებზე დაყრდნობით ფონდი განახორციელებს ანტინარკოტიკული

განწყობის სტრატეგიას.

ჩვენი მიზანია, დაინტერესებულ ადამიანებს ავუხსნათ და მომავალ თაობებს ვაჩვენოთ, ამ მძიმე სენის მიმართ როგორ შეიძლება შევქმნათ ნეგატიური განწყობა, როგორ შევუწყოთ ხელი მათი მომავალის გადარჩენას.

ფსიქოლოგები და ნარკოლოგები ვაპირებთ ერთობლივად ვიმუშაოთ სპეციალური მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შექმნაზე, სადაც აღვწერთ ნარკომანის ფსიქოტიპს და ვისაუბრებთ იმ სიმპტომებზე, რაც ხელს უწყობს ნარკოტიკების მოხმარებისაკენ სწრაფვას“.

უფლის ნებით, ამ უკურნებელ სენს საქართველოში ფესვები არ აქვს გადგმული

მაია ცინცაძე, შიდს-ის ცენტრის ექიმი, ეპიდემიოლოგი:

„სამწუხაროდ, შიდს-ი უსიმპტომოდ მიმდინარეობს, აქედან გამომდინარე, ადამიანმა შეიძლება, არ იცოდეს, რომ ინფიცირებულია და კლინიკას არ მიაკითხოს, რაც დაავადების გავრცელების საშიშროებას ზრდის. აქვე აღვნიშნავ, რომ სისხლის საერთო ანალიზით დაავადების გამოკვლევა შეუძლებელია, საჭიროა შიდს-ის ცენტრში სპეციალური ტესტირების ჩატარება.

ჩვენ, ეპიდემიოლოგები, გარკვეულ პროფილაქტიკურ სამუშაოებს ვატარებთ, და, შეიძლება ითქვას, წარმატებებიც გვაქვს. წინა წლებთან შედარებით შემცირდა ნარკოტიკების გზით ვირუსის გავრცელება. ასევე, „უსაფრთხო ქცევის“ შედეგად იკლო სქესობრივი გზით გადამდებმა ინფექციებმაც.

საქართველოში აივ/შიდს-ი ძირითადად უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი ინფექციაა და უფლის ნებით, ჩვენთან ამ უკურნებელ სენს ფესვები არ აქვს გადგმული“.

„ვინტი“ ადამიანის სრულ დეგრადაციას იწვევს

გელა ლეჟავა, ნარკოლოგიის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

„ნარკომანი ავადმყოფია, მაგრამ დიდი შანსია, კრიმინალი გახდეს, რადგან იგი აბსოლუტურად კარგავს თვითკონტროლს და რას მოიმოქმედებს, არავინ უწყის. **მათ შორის, ყველაზე საშიში ე.წ. „ვინტის“ მოხმარებლები არიან. ეს იაფფასიანი და ადვილად ხელმისაწვდომი საშუალება სრულ დეგრადაციას იწვევს. მთელი უბედურება კი ის არის, რომ მათი საზოგადოებისაკენ მობრუნება პრაქტიკულად შეუძლებელია.** სატანა, კაცობრიობის წინააღმდეგ ნარკოტიკზე უკეთეს იარაღს, ალბათ, ვერ გამოიგონებდა.“

ვინც აკონტროლებს საკუთარ ვნებებს – ის არის თავისუფალი

მარინა კაჭარავა, რელიგიური აღზრდის საკითხების სპეციალისტი:

ამცირებთ ფიზიკურ ზიანს, მაგრამ რას უზამთ ზნეობას? ნარკოტიკის მოხმარება უკვე ცოდვაა, იგი არა მარტო ხორცს ვნებს, არამედ – სულსაც.

პიროვნება, რომელსაც ძალა შეწევს აკონტროლოს საკუთარი გონი, ვნებები, სხეული – თავისუფალი ადამიანია, ხოლო იგი, ვინც, რასაც მოისურვებს, იმას აკეთებს, ცოდვის მონაა. დაუფიქრდით, იქნებ ამიტომ ისჯება კაცობრიობა, რომ ამდენს სცოდავს?!“

ნარკოტიკის გამოყენების გზით ადამიანი საკუთარი ნებით ხდება მონა

არქიმანდრიტი ბართლომე:

„ერთი წელია, რაც თაბორის ფერისცვალების მამათა მონასტერში სამონასტრო-სარეაბილიტაციო ცენტრი ფუნქციონირებს. ამ ხნის მანძილზე 1000-ზე მეტმა ნარკოტიკის მოიმხარებელმა მოგვმართა. ცენტრიდან მათ სხვადასხვა მონასტრებში ვანაწილებთ. კერძოდ, მარტყოფის ყოველთა წმიდათა სახელობის მამათა მონასტერში, მცხეთის წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში და წალკის წმიდა ელენესა და კონსტანტინეს სახელობის მონასტერში. აქვე გაცნობებთ, რომ მონასტრებში მედიკამენტების მოხმარება აკრძალულია, ტკივილგამაყუჩებელი აბების მიღებაც კი დაუშვებელია, ამიტომ სასურველია, ავადმყოფებმა მხოლოდ სტაციონარული მკურნალიბის შემდეგ მოგვმართონ.

ჩვენთან მკურნალობის ერთერთი მეთოდია საუბრების ჩატარება, დანერგილი გვაქვს მსოფლიოში გავრცელებული ე.წ. „12 ნაბიჯის მეთოდი“, კონკრეტული მაგალითი პოლონეთიდან ავიღეთ და ვცდილობთ, იგი ქართულ სინამდვილეს მოვარგოთ.

შეგახსენებთ, რომ ნარკოტიკი ეს არის გზა, რომლითაც ადამიანი საკუთარი ნებით ხდება მონა. ვიდრე ის საკუთარ თავს არ დუსვამს შეკითხვას – „ვინ არის და რა შეუძლია“, მანამდე მისი გათავისუფლება არ მოხერხდება.

უნდა გითხრათ, რომ ჩვენთან მოსული რამდენიმე ადამიანი უკვე აბსოლუტურად განიკურნა. სამი მათგანი, დღეს, მონასტრული ცხოვრებით ცხოვრობს. გვყავს კიდევ ერთი ბერი, რომელიც 4 წელია მონასტერში იმყოფება. იგი 16 წლის განმავლობაში ჰეროინის მომხმარებელი იყო, დღეში ოთხგრამნახევარს იკეთებდა, ახლა კი უფლის ნებით, იმ ადამიანებისათვის იხარჯება, რომლებიც ამ სენისაგან თავის დაღწევას ცდილობენ.

ეკლესია ქადაგებს სიწმიდეს და თავისუფლებას, ადამიანი არ უნდა იყოს მართული, მან საკუთარი თავის მართვა თავად უნდა შეძლოს და მხოლოდ მაშინ იქნება იგი თავისუფალი.“

უნივერსიტეტში გამართულ სემინარს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ხუბუა ესწრებოდა, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა შიდს-თან ბრძოლის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებით ახალგაზრდების დაინტერესების გამო.

აივ ინფიცირებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით



საქართველოს შიდს-ის ცენტრის სტატისტიკური მონაცემები:

დღესდღეობით, ოფიციალური რეგისტრაციით დაფიქსირებულია 1133 შემთხვევა;

აქედან ინფიცირებულია 250 ქალი და 883 მამაკაცი (საშუალო ასაკია 29 წლიდან 40 წლამდე). გარდაიცვალა 233 პაციენტი; მკურნალობს 222 პაციენტი.

დაავადების გადაცემის გზები:

62,4% – ნარკოტიკები; 31% – ჰეტეროსექსუალური კონტაქტები; 3% – ჰომო და ბისექსუალიზმი; 1,5% – დედიდან; 1,2% – დაუდგენელი მიზეზით; 0,9% – სისხლის გადასხმის დროს.

მსოფლიო მასშტაბების გათვალისწინებით, საქართველოში დაავადების გავრცელების ძალზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელია.

ადამიანის სხეულის ენა უფრო მართალია, ვიდრე ის, რომლითაც ლაპარაკობს

საუბარი მხატვარ ეთერ ქკადუასთან

მაია ტორა ე

ეთერ ქკადუა ამერიკაში მცხოვრები ქართველი მხატვარია.

იგი არის ნიუ-იორკის ხელოვნების აკადემიის ინსტრუქტორი ნახატისა და კომპოზიციის განხრით; კალიფორნიის სანტა-ბარბარას უნივერსიტეტის პროფესორი, ნიუ-იორკის ხელოვნების ფონდის და პოლაკ-კრაშნერის ფონდის გრანტის მფლობელი.

1990 წლიდან მისი ნახატების გამოფენა წარმატებით ეწყობა ამერიკისა და იტალიის სამხატვრო გალერეებში.

ბოლო გამოფენა 2005 წელს გაიმართა. 2007 წელს კი, სხვა მხატვრებთან ერთად, მისი ნახატები ვენეციის ბიენალეზე იქნება წარდგენილი.

რამდენიმე ხნის წინ ქალბატონი ეთერ ქკადუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუმარი იყო. მასთან საუბარი პატარა მოთხრობას ჰგავს, რომელშიც საქართველოდან წასული ახალგაზრდა მხატვრის უკან დაბრუნების დიდი სურვილი შეიძლება ვერ დაინახოთ, მაგრამ ქართული ბუნებისა და ხასიათის შენარჩუნებისკენ სწრაფვას უეჭველად იგრძნობთ.

რას მოგვითხრობს მხატვარი ამერიკაში ნაპოვნ ,,ავტოპორტრეტზე"?

თვითდამკვიდრების ქართული ალღო ნიუ-იორკში

ნიუ-იორკში დამკვიდრება ძალზე რთულია. ქალაქი დიდია, მისი საზოგადოება კი ისეთივე სნობური, როგორც მთლიანად ამერიკული სამყარო — თუ საკმარისად ავტორიტეტული პროტეჟე არ გყავს, შეიძლება გალერეადან ორი ქუჩის იქით ცხოვრობდე და მისი პატრონი შენით არასოდეს დაინტერესდეს.

მანამდე ჩიკაგოში ვიყავი. შემთხვევით შევხვდი ქალბატონს, რომელმაც ჩემი ნახატები სათანადოდ შეაფასა. საერთოდ, ნიუ-იორკში ფერწერისადმი დიდი ინტერესი არ იგრძნობა, უფრო ფოტო-ვიდეო ხელოვნება მოსწონთ, რადგან ფერწერა, ტილო და საღებავები მათთვის მოძველებული ტექნიკაა, თუმცა ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია, ფერწერაში გამეგრძელებინა მუშაობა.

ნიუ-იორკში დასამკვიდრებლად 7-8 წელი დამჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩიკაგოში მქონდა რამდენიმე წარმატებული გამოფენა, რომელიც გაშუქდა ტელევიზიით და პრესით, ყურადღება მაინც ვერ მივიპყარი, რადგან არ მყავდა ხელოვნების სამყაროში ნაცნობი და გზის გამკვალავი. ალბათ, ჩემი ცხოვრების სტილი და ბუნებაც არ მეხმარებოდა იმაში, რომ მებრძოლა, გამეცნო ხალხი, დამეგზავნა სლაიდები სხვადასხვა დილერთან და გალერეას მეპატრონესთან. ასეთი ცხოვრების სტილით კი იქ შეიძლება წლები გავიდეს და ვერ გაძლო იმ დროამდე, როცა ხატვით შეძლებ თავის შენახვას. ჩემს შემთხვევაში სხვაგვარად მოხდა — ნაცნობმა მხატვარმა მომიყვანა ამერიკასა და ევროპაში ცნობილი დი-



ლერი, ჯიან-ენცო სპერონე, რომელიც ძირითადად ევროპაშია დაფუძნებული, მაგრამ ნიუ-იორკშიც აქვს გალერეა. არ ვიცი, ალბათ, ეს შემთხვევით მოხდა, მაგრამ ამის შემდეგ რაღაც აეწყო. ჩემი ნახატები გამოიფინა სხვადასხვა ქვეყნის გალერეებში.

ახლა შემიძლია ვთქვა — ცხოვრება გარანტიებს არ იძლევა, მაგრამ რადგან ასეთი რანგის დილერებმა გადაწყვიტეს ჩემთან მუშაობა, ალბათ, კარგი მომავალი გვექნება მე და ჩემს ნახატებს.

ხატვა ჩემთვის პროფესიაა და კვირაში ერთი დღეც არ გადის ისე, რომ არ ვიმუშაო. დილით საყიდლებზე გავდივარ, ყავას და საჭირო ნივთებს ვყიდულობ და ვიწყებ მუშაობას. ღამის პირველ საათამდე ვხატავ. განწყობა ზოგჯერ არის, ზოგჯერ არა — მე ხომ წელიწადში 2-3 ტილოს ვქმნი.

საქართველოში ორ წელიწადში ერთხელ ჩამოვდივარ. აქ გამოფენის მოწყობაზე ჯერ არც ვოცნებობ — ჩემი სურათები ჩემს დილერებს ეკუთვნით. მათ ჩამოტანას დიდი თანხა და დაზღვევა სჭირდება. თუ ეს მოხერხდება, ბედნიერი ვიქნები.

ტროპიკული ქვეყნების ფერები

ნიუ-იორკში რომ ჩავედი, მოყავისფრო, მუქ ტონებში ვხატავდი მანამ, სანამ ერთმა ჩემმა ამერიკელმა ამხანაგმა არ გამაკრიტიკა — რა არის ეს, შენს ნახატში ცოცხალი ფერი არ არისო. ძალიან გამიკვირდა და მეწყინა, იმიტომ, რომ ჩვენში დამკვიდრებულია ამ ფერებში ხატვა. საქართველოში, ხალიჩებსაც თუ დააკვირდებით, უფრო ნაცრისფერი, ყავისფერი და შინდისფერი დომინირებს.

წავედი მექსიკაში და ფერებიც სხვაგვარად დავინახე — ქალების კაბები, ორნამენტები, ჩიტები, ცა — მთლიანად ზურმუხტისფერი იყო. ყველაფერი სხვანაირი მომეჩვენა. დავიწყე ტროპიკული ქვეყნების ფერებში ხატვა და ჩემი ნახატის არაერთ გმირ ქალბატონს ასეთივე ფერის კაბა ჩავაცვი.

ერთი ნახატის დასრულებას 3-4 თვე ვუნდები. დიდხანს ვმუშაობ იდეაზე. ნახატს თითქმის ვასრულებ ფანქარში და მხოლოდ ამის შემდეგ გადამაქვს ტილოზე.

ხშირად მეკითხებიან — რა ჰქვია ჩემს მხატვრობას... ეს ფერწერაა, ჩვეულებრივი ფერწერა, ოღონდ ფერები მაქვს გაინტენსიურებული.

ერთ დიდ გამოფენაზე ჩემი ტილო უნდა გამოფენილიყო. ირგვლივ ისეთი მკაფიო ფერები ანათებდა, მომეჩვენა, რომ ჩემი ნახატი ამ ფონზე ძალიან წყნარი იყო თავისი ფერებით. წამოვიღე, გადავხატე, გავამკვეთრე და თანამედროვე სტილს მივუახლოვე. არის ხალხი, რომლებსაც ჩემი ძველი ნამუშევრები უნახავთ და უფრო აფასებენ, რადგან მეტად ჰგავს კლასიკურს. დღეს სპეციალურად ვხატავ მკაფიო ფერებში.

საკუთარი სახის ძიება ნიუ-იორკში

მეუბნებიან, რომ ჩემს ტილოებზე გამოსახული ქალბატონები მე მგვანან. ჩემმა დილერებმა გადაწყვიტეს, რომ ადამიანებს ჩემი თავი ამ იმიჯით გააცნონ. მათ უნდათ, რომ მე მგავდეს პორტრეტი, ვინაიდან ჩემი სახის გამომეტყველება უფრო კარგად გამოხატავს იმას, რასაც გადმოვცემ. მე ვერ ვხედავ ჩემს ტილოებში საკუთარ თავს, მაგრამ ვიცი, რომ მსგავსება არის.

,,ავტოპორტრეტი"

ფილმ ,,ნატვრის ხის" ფრაგმენტი ჩამრჩა მეხსიერებაში. თავიდან მინდოდა ეს ქალბატონი ვირზე შემესვა და მისთვის დამერქმია „მოღალატე ცოლი". როცა დავხატე, ტილო დეპრესიული გამოვიდა — ქვები... ტალახი... მთლიანად იცვლებოდა სურათის ხიბლი. გადავწყვიტე პროტესტი გამომეხატა ამ ფორმით — და რადგან ქალბატონი ძალიან მგავს, სურათს ,,ავტოპორტრეტი" დავარქვი.

„დაგვიანებული სტუმარი" და ჩემი ქუდი

ამერიკელ სტუმრებს უკვირთ ერთი ქართული ტრადიცია, როცა ჯვარიმის სახით სუფრაზე დაგვიანებული სტუმარი განსხვავებულ სასმისს სვამს. ამ ტრადიციის ახსნის დროს დაიბადა ნახატის იდეა. დეტალები მერე მოვიდა — ვეძებ ხოლმე ისეთ ელემენტს, რაც მოულოდნელია და კომპოზიციას უხდება. დიდი ხანი ვფიქრობდი, რა დამედო ნახატის კუთხეში. მერე უცებ თვალში მომხვდა ეს ქუდი, რომელიც წინა ჩამოსვლაზე ფასანაურის გზაზე ვიყიდე და ამერიკაში წავიღე.

„სხეულის ენა"

მიმაჩნია, რომ ადამიანების ფსიქოლოგიას ვიცნობ. ეს აისახება მათ გამომეტყველებაზე. მე თითოეულ მიმიკაზე იმდენ ხანს ვმუშაობ, სანამ იმ გამომეტყველებას არ დავიჭერ, რომელიც რაღაცას მეუბნება. ეს კი ფსიქოლოგიის ცოდნას მოითხოვს.

თურმე ადამიანის სხეულის ენა უფრო მართალია, ვიდრე ის, რომლითაც ლაპარაკობს. მე მგონია, რომ ეს ენა ვიცი.

წიგნის თარო

რაინდულო საქართველო, აღსდექ!

დიმიტრი კორძაია,
მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი

ამას წინათ, ჩვენი ქვეყნის სულიერებასა და ტრადიციებზე აღზრდილმა ახალგაზრდა კაცმა ლაშა ზაალიშვილმა, რომელიც კარგად იცნობს აღმოსავლური ორთაბრძოლების სისტემას, მაჩვენა 2002 წელს გამოცემული წიგნი — იური ყეინიშვილის „რაინდულო საქართველო, აღსდექ!" (ქართველთა საბრძოლო სისტემები, ტრადიცია და ისტორია) და მითხრა, — გადახედე, ვფიქრობ, მოგეწონებაო!

წიგნი მომეწონა და მერე როგორ! ეს პატარა წერილიც სწორედ ამ შთაბეჭდილებით დაიწერა.

„რაინდულო საქართველო, აღსდექ!" ეძღვნება ქართული ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების, მათ შორის, ქართული ჭიდაობის, ასევე, ფალავნობისა და რაინდობის ტრადიციისა და სულიერების ისტორიული ფესვების წარმოჩენას, ჩვენს დღევანდელობაში რაინდული საქართველოს სულისკვეთების აღდგენისა და ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტულ-სპორტული აღზრდის სწორი გზებისა და მიმართულებების მონიშვნას.

უკანასკნელ წლებში ბევრი პუბლიკაცია და ნაშრომი გვიხილავს, რომელიც გვმოძღვრავს, რომ თითოეული ჩვენგანიც და მთელი საზოგადოებაც უკეთესები უნდა ვიყოთ, მაგრამ იშვიათადაა მათში შემოთავაზებული ამ „უკეთესად გახდომის" გზა და საშუალება. იური ყეინიშვილის წიგნი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ავტორი ამ „უკეთესად გახდომის" არა მარტო იდეას, არამედ მისი რეალიზაციის გზებს, მეტიც, ამ გზების გავლის ეტაპებსაც გვთავაზობს: ესაა ქართული ტრადიციული საბრძოლო და სპორტულ თამაშობათა ხელოვნების აღდგენა, შესწავლა-შემეცნება და მისი დანერგვა ჩვენს საგანმანათლებლო, სპორტულ და, თუ გნებავთ, სამეცნიერო რეალობაში.

წიგნში დამაჯერებლადაა დადასტურებული, რომ ზემოაღნიშნული ტრადიციული სისტემები ეფუძნება შესაბამისი სააზროვნო სისტემით ჩამოყალიბებულ (თუმცა ზოგჯერ ეზოთერულ ცოდნაზე დამყარებულ) მსოფლმხედველობას. მაგალითად, ბატონი იური ყეინიშვილისათვის „ხევსურული ფარიკაობა", „ქართული ცეკვები", თუ „ყარაჩოღელების საბრძოლო შერკინებები" მხოლოდ დახვეწილი ტაქტიკის და სრულყოფილი ტექნიკის ილეთების კრებული კი არაა, არამედ საბრძოლო ყაიდაზე მომართული ეთნოსის მიერ სამყაროს აღქმისა და გააზრების ტრადიციული ფილოსოფიის გამოხატულებაც არის.

ავტორი თავის ნაშრომს უძღვნის პროფესორ ვასილ ელაშვილის ხსოვნას; ხსოვნას ადამიანისას, რომელმაც „როდესაც საბჭოთა იმპერიის მიერ ყოველგვარი ეროვნული და, მითუმეტეს, საბრძოლო ტრადიციები იდევნებოდა, ათეულობით ნაშრომი დაწერა და დაუტოვა შთამომავლობას, რათა არ გამქრალიყო ეს განძი". ეს ის ვასილ ელაშვილია, რომლის „ხევსურული ფარიკაობა" რუსმა კოლეგებმა მოსკოვში, რუსული საბრძოლო ხელოვნების სკოლაში — „ალექსანდრე ნეველში" — „ახალი ტრადიციული რუსული" საბრძოლო ხელოვნების დასაფუძნებლად გამოიყენეს.

ყურადღებას იქცევს ავტორის დახვეწილი ქართული და ადვილად აღსაქმელი სტილი. ამ ფონზე სასიამოვნოდაც კი აღიქმება ზოგჯერ მომეტებული პატრიოტული შემართება და ეპითეტები „ჩვენთა ძველთა მიმართ", რომელიც ხშირად ჩაერთვის ხოლმე თხრობას და მწერლის სამშობლოს უზომო სიყვარულით გაჯერებული სულის ანარეკლია.

უაღრესად საინტერესოა იური ყეინიშვილის რუსთველოლოგიური ძიებები და მიგნებები. მათ შორის, მოსაზრება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის პორტრეტის თაობაზე...

„რაინდულო საქართველო, აღსდექ!" უდავოდ იმსახურებს საქართველოში განათლების, სპორტის, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების პოლიტიკური მესვეურების და თვით ამ სფეროთა სპეციალისტების ყურადღებას.

ვისურვებდი, ამ წიგნის წაკითხვა ქართველ ახალგაზრდობას მოთხოვნად ექცეს.

მე კი, როგორც ერთერთი რიგითი მკითხველი, მადლობას ვუხდი ავტორს ასეთი წიგნის შექმნისათვის და ჩემს წერილს ვაჟა-ფშაველას სიტყვებით ვამთავრებ:

„სანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს,
კეთილსა ვყვანდე ზიარად;
ვერ მივცემ მტერსა მამულსა
საჯიჯგნად, დასაზიანად...
ნუ გეგონებათ, დავლაჩრდი, —
ჯერ ისევა ვარ ფხიანად!"

მოკლედ

უნივერსიტეტში მარია კალასის დაბადების დღე აღინიშნა

2 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღინიშნა მსოფლიოში აღიარებული მომღერლის მარია კალასის დაბადების საიუბილეო თარიღი.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, საბერძნეთის საელჩო საქართველოში და საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაცია.

საღამო გახსნა საბერძნეთის ელჩმა საქართველოში ელევთერიოს ანგელოპულოსმა. მან მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს და ქართულ-ბერძნული ურთიერთობების სასიკეთო კავშირებზე გაამახვილა ყურადღება.

მომღერლის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებზე ისაუბრა საღამოს წამყვანმა ლაშა ბულაძემ.

ღვთაებრივი, განუმეორებელი, ერთადერთი, შეუდარებელი — ამგვარი ეპითეტებით ხშირად მოიხსენიებენ სახელგანთქმულ ბერძენ მომღერალს.

მარია კალასი 1923 წლის 2 დეკემბერს ნიუ-იორკში დაიბადა. მიუხედავად საოცარი ნიჭისა, თავის დასამკვიდრებლად მუდამ ბრძოლა უწევდა. მართალია, უდიდესი წარმატება და მსოფლიო აღიარება მოიპოვა, მაგრამ ბედნიერი მაინც არ ყოფილა. მარია კალასს, 1977 წელს სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ლონდონის ერთერთი სასტუმროს ნომერში ფურცელზე ჯოკონდას ბოლო არიის სიტყვები დაუწერია: „თვითმკვლელობა! ამ მძიმე ჟამს მხოლოდ შენღა დამრჩენიხარ". მარია კალასი პარიზში დაკრძალეს, ორი წლის შემდეგ კი, მომღერლის ანდერძის თანახმად, მისი ფერფლი ეგეოსის ზღვაში მიმოფანტეს.

უნივერსიტეტში გამართულ საღამოზე მარია კალასის ხელოვნების თაყვანისმცემლებს საშუალება მიეცათ, მისი შესრულებით მოესმინათ ფრაგმენტები ოპერებიდან — „ტრუბადური", „აიდა", „ტრავიატა", „კარმენი", „ლედი მაკბეტი", „ტურანდოტი", ასევე ნაწყვეტები კონცერტებიდან.

რა სად როდის

320 წლის წინ დამზადებული სტრადივარიუსის იშვიათი ვიოლინო, რომელიც ახლახან ცნობილი ამერიკელი მევიოლინეს პიტერ სტამფვის სახელოსნოდან მოიპარეს, მოულოდნელად საძალაძო ნაგვის ყუთში აღმოაჩინეს.

ქურდობიდან სამი კვირის შემდეგ, საავადმყოფოს მედდამ, მელანი სტივენსმა, პლასტიკატის კეისში ჩადებული ვიოლინო ნაგავ-

ში ჩაგდებული იპოვა. ნაგვის ყუთი მევიოლინეს სახლიდან ერთი მილის დაშორებით იდგა. მედდა პაციენტისგან ბრუნდებოდა, როდესაც მოულოდნელად ის პლასტიკატის კეისი დაინახა, რომელშიც სტრადივარიუსის ვიოლინო იდო. რა თქმა უნდა, ქალს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ღირსეული ნივთი იპოვა, ამიტომ მეგობარს სთხოვა, ან შეეკეთე, ან კომპაკტ-დისკების ჩასალაგებელ ყუთად გადამიკეთეო. სამ მილიონნახევრად შეფასებული ვიოლინო არც თუ ისე დაზიანებული აღმოჩნდა.

***

ლონდონში, „ვიქტორიასა და ალბერტის“ მუზეუმში, ცნობილ მხატვართა ასლების გამოფენა გაიხსნა. აქ წარმოდგენილი იყო ყველა ასლი, რომელიც ბრიტანეთის პოლიციამ ბოლო წლების მანძილზე შეკრიბა. ჯერჯერობით ექსპოზიცია მხოლოდ სპეციალისტებისათვის მუშაობს, მაგრამ გზეთ "The Times"-ის განცხადებით, გამოფენისადმი ინ-

ტერესი იმდენად დიდია, რომ შესაძლოა 2007 წლიდან ფართო საზოგადოებისთვისაც გახდეს ხელმისაწვდომი.

განსაკუთრებული ინტერესი ჯონ დრუისა და ჯონ მაიატის ნამუშევრებმა გამოიწვია. როგორც ცნობილია, ამ ორმა თაღლითმა, პრესტიჟული აუქციონების — „კრისტისა“ და „სოტბის“ მეშვეობით, მეოცე საუკუნის ცნობილ მხატვართა (ანრი მატისი, ალბერტო ჯაკომეტი) უამრავი ასლი გაყიდა. 1995 წელს, ბრიტანეთის პოლიციამ ისინი, როგორც იქნა დააპატიმრა, მაგრამ მათი შექმნილი 200 ტილოდან მხოლოდ ოთხმოცი იპოვა, დანარჩენის კვალს კი დღემდე ვერ მიაგნეს.

ინტერნეტის საიტებზე იმ მხატვართა სია გამოქვეყნდა, რომელთა ტილოების ასლებს ყველაზე ხშირად ამზადებენ. ესენი არიან: კორო, სალვადორ დალი, ვინსენტ ვან-გოგი, კაზიმირ მალევიჩი, ამადეო მოდილიანი, ოგიუსტ როდენი და მორის უტრილო.

***

ცნობილი ამერიკელი მსახიობი ალ პაჩინო დუბლინში ჩავიდა, რათა ირლანდიელი დრამატურგის ოსკარ უაილდისა და მისი დრამა „სალომეს“ შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღოს. 2003-2006 წლებში, ალ პაჩინო „სალომეს“ ერთ-ერთ

მთავარ გმირს, მეფე ჰეროდეს, ნიუ-იორკისა და ლოს ანჯელესის თეატრებში თამაშობდა. ახლა კი, იგი ოსკარ უაილდისა და მისი პიესის შექმნის შესახებ დოკუმენტური მასალების მოძიებას აპირებს. მსახიობმა ძიება დუბლინის უნივერსიტეტიდან დაიწყო, სადაც ახალგაზრდა ოსკარ უაილდი სწავლობდა. კოლეჯის ფილოსოფიურმა საზოგადოებამ მსახიობს „საპატიო პატრონის“ ტიტულიც კი მიანიჭა.

ეს ფილმი ალ პაჩინოსთვის პირველი მცდელობა არ არის. რამდენიმე წლის წინ მან შექსპირის „რიჩარდ III“ ითამაშა, შემდეგ კი დოკუმენტური ფილმი — „რიჩარდის ძიებისას“ გადაიღო.

***

ვატიკანში ანიმაციურ ფილმს იღებენ, რომელიც რომის ყოფილი პაპის, იოანე პავლე II-ს ცხოვრებას მიეძღვნება. ფილმი სახელად „იოანე პავლე II, მთელი კაცობრიობის მეგობარი“ მის განვლილ გზაზე მოგვითხრობს. პაპის ისტორიას ორი მტრედი, პიკოლო და ფიონა და კიდევ, პაპის დღიური და კალამი გვიყვებიან. „პაპის ცხოვრებას ბევრი ფილმი მიეძღვნა, მაგრამ ანიმაცია ჯერ არავის გადაუღია. მთხრობლებად მტრედები იმიტომ ავირჩიე, რომ ყველა სუ-

რათზე, პაპის გვერდით, როგორც წესი, მტრედები სხედან. გარდა ამისა, პაპის ცხოვრება იმდენად მკაცრი იყო, რომ ხალისიანი პერსონაჟების გარეშე, ბავშვებს მისი აღქმა გაუჭირდებოდათ“, — განაცხადა რეჟისორმა.

***

ფრენკ ჰაბნერის გამოგონებამ, რომელსაც ARL დაერქვა, კომპიუტერს საშუალებას აძლევს, ტუჩების მოძრაობა ხმოვან გგერებად გარდაქმნას. ამ მეთოდით მსოფლიო საზოგადოება მომსწრე გახდა უდიდესი დიქტატორის, ადოლფ ჰიტლერის ხმა მოესმინა. მეცნიერებმა ეს ტექნოლოგია ჰიტლერის არქივებში შენახული მუნჯი ფილმების გასაშიფრად გამოიყენეს. ამ ფილმებს თავის დროზე ევა ბრაუნი იღებდა.

საოჯახო ჩანაწერებში დიქტატორი დაახლოებულ პირთა მლიქვნელობას აკრიტიკებს და ევა ბრაუნს ეარშიყება. იგი კეთილმოსურნე კაცის სახით მოჩანს, ვისაც ბავშვები უყ-

ვარს და ხელოვნებას ეთაყვანება. სტუმრებთან იგი ხუმრობს და ხშირად კინოზე საუბრობს. როგორც აღმოჩნდა, განსაკუთრებით ჩარლი ჩაპლინის ფილმები და უოლტ დისნეის „მიკი მაუსი“ უყვარდა. ერთ-ერთი საოჯახო სცენის დროს ჰიტლერი ევა ბრაუნს ეუბნება: „ვიცი, რომ გუშინდელი ფილმი არ მოგეწონათ. ალბათ „ქარწაღებულებს“ ამჯობინებდით“. მეორე ფირზე ევა ბრაუნს ეარშიყება და უცხადებს: „ამ ბებერ კაცს რისთვის მიღებთ? მე უნდა გიღებდეთ“.

მკვლევარებისთვის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა დიდი დიქტატორის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების ამსახველი კადრები. ომის დასასრულს ჰიტლერი თავის გარემოცვას მძაფრად აკრიტიკებს, აგდებით იხსენიებს ჰიმლერის გამოკვლევას არიული რასის შესახებ და გერინგს ლანძღავს. „სადილის დროს შევცქეროდი და მესმოდა, რომ სამართლიანად ჭორავდნენ. ღორები ერთმანეთს თქვლეფენ“, — აცხადებს იგი ერთ-ერთ უკანასკნელ ფირზე.

ამ ფილმების არქივი ბავარიის რეზიდენციის იატაკქვეშეთში აღმოაჩინეს. უკანასკნელ ფირზე ჰიტლერს ხელები უკანკალებს. სპეციალისტების აზრით, იგი პარკინსონის დაავადებით იყო დასნეულებული.

***

საერთაშორისო არაკომერციულმა ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (RSF), იმ ცამეტი სახელმწიფოს სია გამოაქვეყნა, რომლებსაც „ინტერნეტის მტრებს“ ეძახიან. ამ სიაში მოხვდნენ საუდის არაბეთი, ბელორუსია, ბირმა, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, კუბა, ეგვიპ-

ტე, ირანი, უზბეკეთი, სირია, ტუნისი, თურქმენეთი და ვიეტნამი. შარშანდელ სიაში მოხვედრილი სამი ქვეყანა: ნეპალი, მოლდავეთი და ლივია, წელს სიიდან ამოიღეს, რადგან, საერთო აზრით, იქ მდგომარეობა გაუმჯობესდა. აი, ეგვიპტე კი ამ სიაში წელს პირველად მოხვდა, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ ინტერნეტზე კონტროლი გაამკაცრა და სამი ბლოგერი დააპატიმრა.

„ინტერნეტის მტერი“ ცამეტივე ქვეყნის ქსელში სიტყვის თავისუფლებას ახშობს. როგორც ცნობილია, ბელორუსია სისტემატურად ბლოკავს ოპოზიციის საიტებს, ჩინეთში ინტერნეტის არასასურველი საიტებისაგან „გაწმენდის“ მთელი კომპანია მიმდინარეობს. კუბაში ინტერნეტის მოხმარება დისიდენტებსა და დამოუკიდებელ ჟურნალებს ეკრძალებათ, რიგით მომხმარებელს კი, ინტერნეტით სარგებლობა მხოლოდ კომპიუტერულ კლუბებში, უნივერსიტეტებში ან ინტერნეტ-კაფეებში შეუძლიათ. უცხოური საიტებისთვის „კონ-



ტრრევოლუციური“ სტატიის მიწოდებისთვის კუბელებს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ, on-line-ში არალეგალურად გასვლისთვის კი ხუთი წლით პატიმრობა. ირანი „ამორალური ხასიათის“ 10 მილიონ საიტს ფილტრავს, საუდის არაბეთი კი ისრაელის საიტებს ბლოკავს.

დღესდღეობით მსოფლიოს ციხეებში 61 კაცი ზის, ვინც ინტერნეტ-თავისუფლების ჩახშობისთვის მთავრობის კრიტიკა გაბედა.

***

პოეტები ამ ქვეყანას უფრო ადრე ტოვებენ, ვიდრე რომანისტები ან დრამატურგები, — განაცხადა კალიფორნიის უნივერსიტეტის თანამშრომელმა ჯეიმს კაუფმანმა. მან სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები 1987 მწერლის ცხოვრება შეისწავლა და ფაქტებით დარწმუნდა, რომ პოეტები თავის თანამოკალმეებზე ადრე იხოცებოდნენ. კაუფმანის აზრით, ამ მოვლენის ახსნა იმით შეიძლება, რომ პოეტები ინტელექტუალური თვითგანადგურებისკენ მეტად არიან მიდრეკილები. გარდა ამისა, წარმატებასაც გაცილებით ადრეულ ასაკში აღწევენ. „20-30 წლის ასაკში, პოეტები ორჯერ უფრო მეტ ნაწარმოებს ქმნიან, ვიდრე რომანისტები... დიდი რომანისტი 28 წლის ასაკში რომ გარდაიცვალოს, შედევრის შექმნას უბრალოდ ვერ მოასწრებს“, განაცხადა მკვლევარმა და იქვე დაამატა — პოეზია ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნამდვილად არ არის და პოტენციურ პოეტებს ნურაფრის შეეშინდებათო.

მასალა მოამზადა
მანანა მიქელაძემ

რედაქტორი	ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი	გივი შეყილაძე
სტილისტი-კორექტორი	მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	რუსუდან ონეზაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1

22 10 34
www.tsu.ge
@newspaper@tsu.ge

ხელოვნება

უნივერსიტეტის წიაღში ახალი ფოლკლორული ანსამბლი „უნივერსიტეტი-2“ ყალიბდება

ურთ ია ბერო ვილი

ერთ პატარა ომახიან სიმღერას „ოდოიას“ ზუგდიდში, ხობსა და გალში, თურმე, სხვადასხვანაირად მღერიან. ქართული მუსიკალური ფოლკლორის უნიკალურობა მის მრავალფეროვნებაში გამოიხატება. ის უკვდავი მარგალიტების სალაროს ჰგავს, საიდანაც გამოტანილ საგანძურს განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“, რომელმაც ქართველი თუ უცხოელი მსმენელის მოხიბვლა შეძლო. დახვეწილი რეპერტუარი და განსაკუთრებული ვოკალური მონაცემები — აი, რა გამოარჩევდა მას სხვა ქართული ანსამბლებისგან. მისი როლი ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციაში განუზომლად დიდია. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ანსამბლი „უნივერსიტეტი“ ახლა უკვე ყველასათვის საყვარელი „ქართული ხმებია“.

ამჟამად უნივერსიტეტის წიაღში ახალი ფოლკლორული ანსამბლი ყალიბდება. უნივერსიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელის, თენგიზ ყურაშვილის განმარტებით, იგი ღირსეულად გააგრძელებს წინამორბედთა ტრადიციებს. ახლადშექმნილ ანსამბლს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი რობერტ გოგოლაშვილი უხელმძღვანელებს.

მის მიერ ხელდასხმული სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლები — „ფაზისი“, „თბილისი“, „უნივერსიტეტი“ — ესოდენ მრავალწლიანი გამოცდილება მას იმის განცხადების საფუძველს აძლევს, რომ ახალი ანსამბლიც წარმატებული იქნება. რობერტ გოგოლაშვილს ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, როგორც ნიჭიერ ვოკალისტს, დიდ საოპერო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. ყველასათვის მოულოდნელად კი, მან სხვა გზა აირჩია, დაინტერესდა ქართული ფოლკლორით, რასაც არ ნანობს.

ახალგაზრდები ღირებულ ფასეულობებზე უნდა აღვზარდოთ

ინტერვიუ რობერტ გოგოლაშვილთან

— რას იტყვის ახალს „უნივერსიტეტი-2“?

— უნივერსიტეტის ახალი ანსამბლის შექმნას შემეცნებითი მოტივაცია ექნება. ამ სფეროში, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი დამრჩა გასაკეთებელი. შეგროვებული მაქვს ძველი, უნიკალური სიმღერები, რაც გაშიფრულია და მზის შუქს ელოდება. გურული და მეგრული ნიმუშები ბოლომდე არ არის შესწავლილი. ახალგაზრდები ღირებულ ფასეულობებზე უნდა აღვზარდოთ.

— შესრულდება თუ არა თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების სიმღერები?

— ჟანრობრივი მრავალფეროვნებისათვის რეპერტუარში საესტრადო სიმღერებიც იქნება, თუმცა განსაკუთრებული სიფრთხილით ვეკიდები ამ თემას. თანამედროვე კომპოზიტორებთან, რომლებიც ნოტების მაგივრად პირობით ნიშნებს წერენ, ურთიერთობა არ მაქვს. „დესერტის“ სახით ქართული ესტრადის კლასიკურ ნიმუშებზე კი ვიმუშავებთ.

— როგორ შეხვდნენ ახალი ანსამბლის შექმნის ინიციატივას უნივერსიტეტის სტუდენტები, ინტერესი ხომ არ განელებიათ ხალხური შემოქმედების მიმართ?

— შესარჩევმა კონკურსმა ცხადყო, რომ ახალგაზრდებში ხალხური შემოქმედების სიყვარული არ განელებულა. მსურველი ძალიან ბევრია. უნივერსიტეტში სამი ვოკალური ანსამბლია, მათგანაც შევარჩევთ ბიჭებს. ზოგიერთ სიმღერაში ჯგუფი ორად არის გაყოფილი და ერთმანეთს ეპაექრებიან. ასეთია მაგალითად: შაირები, ორპირი ნადურები. საერთოდ, თუ გინდა, ხალხმა შენს სიმღერას მოუსმინოს, უნდა იცოდე, რა აინტერესებს. ძველი ანსამბლი ბედავდა, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტი გაემართა. მათ აღიარება მოიპოვეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ენერგიას არ დავიშურებ, რომ ახალმა ანსამბლმა ისეთივე წარმატებული გზა გაიაროს, როგორც მისმა წინამორბედმა. ამისათვის ჯერ ოჯახში გვმართებს ვივარგოთ და, შემდეგ, ბუნებრივად აღმოვჩნდებით დიდ სცენაზე...

შეკითხვა რედაქტორატს

უნივერსიტეტის კორპუსებში განთავსდა საფოსტო ყუთი წარწერით — „შეკითხვა რედაქტორატს“, რისი საშუალებითაც შეგიძლიათ მოგვაწოდოთ თქვენი ხედვა, შეკითხვა, აზრი, განწყობა...

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ ნახავთ პასუხს ყველა თქვენს შეკითხვაზე!

საკონტაქტო ტელეფონები:

რექტორის მისაღები	22-51-07
რექტორის მოადგილის მისაღები	29-08-25
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	23-03-80
საერთო განყოფილება (კანცელარია)	23-39-16; 22-59-44
სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური	29-08-46
სტუდენტთა მომსახურების განყოფილება	91-27-91
საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი	22-56-79
სამუზეუმო სამსახური	29-08-42
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	25-08-13; 25-36-18

ფაკულტეტების დეკანატები:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	29-08-07
ჰუმანიტარული ფაკულტეტი	22-21-08
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	29-05-94
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	30-45-36
იურიდიული ფაკულტეტი	22-37-10
მედიცინის ფაკულტეტი	94-34-54